ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

20 მარტი **სამშაბათი** 2012
№ 066 (13 672) ფასი 80 თეთრი


## მუამბას მთელი ქვეყანა ამხნევებს,

ესპანეთი ტრაგედიას გადაურჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა




8-9

ფაბრის მუამბა კვლავაც „ლონდონ ჩესტ ჰოსპიტალში“ რჩება. ექიმების თქმით, ლეტალური შედეგის მცირე შანსი ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ფეხბურთელმა უკვე ხელფეხი აამოძრავა. ამასობაში მუამბას მთელი ქვეყანა გვერდით დაუდგა, გარი კეჰილმა კი მთელ მსოფლიოს მისთვის სალოცავად მოუწოდა. მან და ლუის სუარესმა გატანილი გოლები მუამბას მიუძღვნეს, ხოლო ესპანეთში სიკვდილს სერხიო გრანერო გადაურჩა.

# კაშია სახლშია

### ვიტესი არ ეთმობა ...და ეინდჰოვენი, ტვენტე?




4

გურამ კაშია (ბურთით) გზაჯვარედინზეა

## ქართული ფეხბურთის ცივი გაზაფხული

2

დღეს საქართველოს ჩემპიონატში პლეი აუტის მესამე ტურია. თბილისში ორი, ბოლნისსა და საჩხერეში კი თითო მატჩია. დათვა და, იმედია, თამაშები აღარ გადაიდება

# ფაჩულიამ კავალერია დაამარცხა

### რატომ ითამაშა ზაზამ ჯონსონზე მეტი?




12

ზაზა ფაჩულია (ბურთით)



12

## ვლადიმერ ბოისა უკლუბოდ დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი | II ეტაპი. III ტურის წინათქმის ნაცვლად

პლეი აუტი (9-16 ადგილები)

# ქართული ფეხბურთის ცივი გაზაფხული


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მეორე ეტაპის დაწყებამდე (ანუ როცა გუნდები ზედა და ქვედა „რვიანებში“ გადანაწილდნენ) ვივარაუდეთ, რომ პლეი აუტშიც არანაკლებ საინტერესო თამაშები გველოდა. ეგ კი არა, „ქვედა რვიანში“ ბევრად უფრო მეტ ინტრიგას ვვარაუდობდით, ვიდრე — ზედაში. მიზეზსაც მოგახსენებთ: „ზედა რვიანში“ ხომ, ფაქტობრივად, ოთხ გუნდს შორის უნდა წარიმართოს მედლებისათვის ბრძოლა, აი, „ქვემოთ“ კი, რვავე გუნდს ერთნაირი მიზანი აქვს! ჰო, პლეი აუტში მოასპარეზე რვა გუნდიდან ოთხი საუკეთესო მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს, დანარჩენ ოთხს კი პირველი ლიგა „ელოდება“. ოღონდ, ეს ყველაფერი... რეგლამენტით არის გათვალისწინებული და როგორ ფიქრობთ, მომავალი სეზონისთვის მორიგ „ნოვატორულ ცვლილებებს“ არ უნდა ველოდოთ? გავკადნიერდებით და ვიტყვით: ალბათ, უნდა ველოდოთ და ნურავის გაუკვირდება, 2012-13 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა რომ გაიზარდოს! ეგ კი არა, სადაც კი „გაიხედავთ“, ყველგან იმას მოისმენთ თუ გაიგებთ, რომ ქართული ფეხბურთის განვითარება-აღორძინება-პოპულარიზაციას მხოლოდ და მხოლოდ ... თექვსმეტგუნდიანი ჩემპიონატი „უშველისო“! ჰო, ამას „ჩაგვძახიან“ ლამის მეორე თვეა და უკვე ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები თუ მწვრთნელებიც იმავეს „ახმოვანებენ“: გუნდების რაოდენობის გაზრდა რაიონებისათვისაც კარგი იქნება და თამაშების რაოდენობაც ოპტიმალურს მიუახლოვდებაო! თუმცა, საპირისპირო აზრის მქონე ხალხიც არსებობს, აბსოლუტურ უმცირესობას რომ წარმოადგენს, - ქართულ სპორტულ მედიას ვგულისხმობთ, მაგრამ ჟურნალისტების მოსაზრებებს, უმრავლეს შემთხვევაში, არავინ ითვალისწინებს და, სავარაუდოდ, სამომავლოდაც ასე იქნება. აღარ ჩავუღრმავდებით იმ მიზეზ(ებ)ზე საუბარს, თუ რატომ არ არის საჭირო უმაღლესი ლიგის „ხელოვნურად“ გაზრდა და მხოლოდ და მხოლოდ ორ ფაქტორზე გავამახვილებთ ყურადღებას; პირველი, რაღა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის მარადიული პრობლემაა, რასაც კეთილმოუწყობელი სტადიონები ჰქვია. ჰო, უკვე მერამდენედ გვიწევს ამ თემაზე საუბარი და იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში დღესდღეობით მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ისეთი სტადიონები, უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს; აღარაფერს ვამბობთ მეორე და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორზე, რასაც სპორტული პრინციპების დაცვა ჰქვია! ეგ კი არა, ლამის არის, ტრაგიკომიკური ხასიათიც მიიღოს ამ ბოლო წლებში დამკვიდრებულმა ტრადიცია-ტენდენციამ: სეზონის ბოლო მოახლოვდება თუ არა, გარკვეული გუნდები უმაღლესი ლიგიდან არგავარდნის... გარანტიებს იღებენ! ასე იყო წინა სეზონში, როცა ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შეიცვალა უმაღლესი ლიგიდან გავარდნის „წესი“, იმის წინ „სხვა“ რამე მოიფიქრეს და ასე შემდეგ; არადა, სხვა ქვეყნებში, სადაც ფეხბურთს ჩვენზე „ოდნავ უკეთ“ თამაშობენ და ჩვენზე „ოდნავ უკეთესი“ ჩემპიონატები ტარდება, სპორტულ პრინციპებსა თუ გათამაშების რეგლამენტს მკაცრად იცავენ. მაგალითები გნებავთ, სიამოვნებით მოგახსენებთ: „დეპორტივო“ (ესპანეთი), „აინტრახტი“ (გერმანია), „სამპდორია“ (იტალია) და „მონაკო“ (საფრანგეთი) დღესდღეობით თავიანთი ქვეყნის ჩემპიონატებში ქვედა ლიგაში ასპარეზობენ, რადგან წინა სეზონში ზედა ლიგიდან გავარდნენ; როგორ ფიქრობთ, ამ კლუბებს თავიანთ ქვეყანაში (გნებავთ, საერთაშორისო სარბიელზე) საკმარისზე მეტი სახელი თუ ავტორიტეტი არ გააჩნიათ? როგორ არ გააჩნიათ, მაგრამ ესპანეთშიც, გერმანიაშიც, იტალიაშიც და საფანგეთშიც სპორტული პრინციპების დაცვით ატარებენ ჩემპიონატს და რეგლამენტში თუ რაიმე ცვლილებას დააპირებენ, გათამაშების დაწყებამდეა ხოლმე ცნობილი. ჰო, „რივერ პლეიტი“ არ დაგვავიწყდეს — არგენტინის ყველაზე ტიტულიანი და პოპულარული კლუბი: ვერ შეინარჩუნა გუნდმა ადგილი თავის ქვეყნის უმაღლეს ლიგაში და „რივერის“ მილიონობით გულშემატკივართა პროტესტის მიუხედავად, დღესდღეობით არგენტინის მეორე ლიგაში მონაწილეობს! ჩვენთან კი რა ხდება: ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც გვრჩება, რომ საქართველოს ჩემპიონატის ამ ვითომ-ინტრიგას... ჟურნალისტები „ვიგონებთ“; უფრო ზუსტად, მიამიტად გვგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატის ყოველი მეორე თუ მესამე მატჩი დამაინტრიგებელია და გულშემატკივრებსაც ვსაყვედურობთ ხოლმე, სტადიონ(ებ)ზე რატომ არ დადიხართ-თქო; არადა, ქართველი გულშემატკივარი ყველაფერს ხედავს და ყველაფერს ამჩნევს: იმასაც, სტადიონების უმრავლესობა კეთილმოუწყობელი რომ არის და იმასაც, ჩვენს ჩემპიონატში სპორტული პრინციპების უგულებელყოფა ჩვეულებრივ ამბად რომ იქცა; აღარაფერს ვამბობთ (საერთოდაც, შეამჩნევდით, რომ დღეს ამ თემას არ შევეხებივართ) ამ ბოლო წლებში მომრავლებულ „საეჭვო შინაარსის“ მატჩებზე, ერთობ უნიჭო „სცენარის ავტორი“ და არანაკლებ უნიჭო „რეჟისორი“ რომ ჰყავს. თუმცა, ჯერ სადა ხართ: ტრაგიკომიკული შინაარსის მქონე შეხვედრები წინ გვაქვს, თანაც არა მხოლოდ ჩემპიონატში...

**გია ტუხაშვილი**

**P.S.** ისე, მგონი გვეშველა: გაზაფხულის შესაფერისი ამინდიც „გვეწვია“ და იქნებ, ქართული ფეხბურთისთვისაც დათბეს...

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი-მერცხალი | 20.03. | თბილისი, ბენდელა | 15:00 |
| გაგრა-ვიტ ჯორჯია | 20.03. | თბილისი, მერანი (ზემდა) | 15:00 |
| სიონი-გურია | 20.03. | ბოლნისი, თ. სტეფანია | 15:00 |
| ჩიხურა-ბათუმი | 20.03. | საჩხერე, ცენტრალური | 15:00 |

პლეი აუტი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები | | ქ |
| | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | | | | | | გატ | გაშვ | |
| 1 | ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | გაგრა | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| 3 | სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 | გურია | 2 | 0 | 2 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 |
| 5 | სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 6 | ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 |
| 7 | ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| 8 | მერცხალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |

ლეგიონერი



კახა კალაძე

# ოთხივე დამარცხდა

სერია A-ში **კახა კალაძის** "ჯენოა" "რომას" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ამით გენუელებმა სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულეს და ნელ-ნელა ელიტიდან გავარდნის საფრთხის წინაშეც დგებიან. საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო და გაფრთხილება მიიღო.

დიდი იმედი გვქონდა, რომ **ჯანო ანანიძეს** მოსკოვურ დერბიში მონაწილეობის საშუალება მიეცემოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შემოიფარგლა. მისი "სპარტაკი" ცსკა-სთან 1:2 დამარცხდა და რუსეთის ჩემპიონობის მცირე შანსსაც გამოეთხოვა, ცსკა კი ლიდერ "ზენიტს" 6 ქულით ჩამორჩება.

უკრაინულ პრემიერლიგაში ლვოვის "კარპატიმ" სტუმრად 1:3 წააგო ხარკოვის "მეტალისტთან" და კვლავ გასავარდნი ზონის სიახლოვესაა. **მურთაზ დაუშვილმა** სტუმართა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა.

საფრანგეთის ლიგა 2-ში "ლე მანი" შინ 0:1 დამარცხდა "რეიმსთან" და კვლავ აუტსაიდერთა შორისაა. "ლე მანის" კარი ამჯერადაც **გიორგი მაკარიძემ** დაიცვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


გიორგი მაკარიძე

ინტერვიუ

## მალხაზ ჟვანია

# მერანმა ნამდვილი სახე დაიბრუნა



მალხაზ ჟვანია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**სეზონის** მეორე ნახევრის ერთ-ერთი გამოსარჩევი ამბავი ეროვნულ სტადიონზე მოხდა, სადაც თბილისის "დინამომ" მარტვილის "მერანს" უმასპინძლა და ფრეს დასჯერდა. მატჩის პერიპეტიები კარგად გეხსომებათ – სტუმრებმა ორბურთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და გამარჯვებაც კი შეეძლოთ. "მერანის" წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მის მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჟვანიას მიუძღვის, რომლის შრომასაც კლუბის ხელმძღვანელობა ჯეროვნად აფასებს – ჟვანია ერთადერთი უმაღლესლიგელი სპეციალისტია, რომელიც კლუბში წლების განმავლობაში მუშაობს. შეგახსენებთ, დანარჩენ 11 უმაღლესლიგურ გუნდს მიმდინარე სეზონისას მწვრთნელი მინიმუმ ერთხელ შეუცვალეს.

ჟვანიას ამ შეხვედრის შეფასებაც ვთხოვეთ და "მერანის" ბოლოდროინდელ ამბებსა თუ სამომავლო გეგმებზეც ვესაუბრეთ.

**- პირველ რიგში, თქვენი გუნდის ლამაზ და შედეგიან თამაშს გილოცავთ. წინა მატჩებიდან გამომდინარე, "მერანისგან" ასეთი ხარისხის ფეხბურთს ბევრი არ ელოდა.**

- დიდი მადლობა მილოცვისთვის. "ლელოს" მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი ის მიზეზები, რის გამოც "მერანმა" სეზონის მეორე ნახევარი უფერულად დაიწყო. დიდთოვლობამ ყველაზე მეტად ჩვენ დაგვაზარალა, მარტვილში ყველაზე დიდი ნალექი იყო და ამის გამო საწვრთნელი პროცესი სანახევროდ ჩაგვივარდა. წარმოიდგინეთ, ერთი პერიოდი დარბაზშიც კი ვვარჯიშობდით, ასეთ პირობებში სრულყოფილად მომზადება კი შეუძლებელია. რაც შეეხება "დინამოსთან" მატჩს, იმ დროისთვის უკვე ნორმალურ კონდიციებში ვიყავით, რასაც ფეხბურთელთა განსაკუთრებული მოტივაციაც დაემატა და სასურველ შედეგს მივაღწიეთ. შეიძლება ითქვას, რომ "მერანმა" თავისი ნამდვილი სახე დაიბრუნა. სწორი გზით მივდივართ და განვითარებას განვაგრძობთ.

**- 2:2-ის შემდეგ "მერანს" გამარჯვებაც შეეძლო. თქვენს ფეხბურთელებს აქამდე საკუთარი თავის რწმენა ხომ არ დააკლდათ?**

- ალბათ, მიზეზი სწორედ ეს იყო. მართალია, "დინამო" მარტვილში დამარცხებული გვყავს, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე თამაში სულ სხვა პასუხისმგებლობაა. "მერანის" რვა ფეხბურთელი იქ პირველად თამაშობდა და ბევრი ღელავდა კიდეც. თუმცა, მეორე მხრივ, ამ შესანიშნავმა გარემომ და კარგმა მოედანმა ბიჭებს მოტივაცია გაუორმაგა, ფეხბურთელებმა სამწვრთნელო შტაბის ჩანაფიქრი სრულად განახორციელეს და ამ შედეგს მივაღწიეთ. ყველას დავანახეთ, რომ მაღალი ხარისხის მოედანი ყველაზე მეტად სწორედ ჩვენნაირი სტილის გუნდებს სჭირდებათ. ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ "დინამოს" ფეხბურთელის გაძევების გარეშე ამ წარმატების მიღწევა ძალიან გაგვიჭირდებოდა.

**- წინა შეხვედრებმა რაიმე პოზიტივი თუ დაგანახათ?**

- ოთხი მატჩიდან სამი წავაგეთ და ერთი ფრედ ვითამაშეთ. ეს შედეგი ჩვენს ამბიციებს საერთოდ არ შეესაბამება, მაგრამ როგორც ვთქვი, მოსამზადებელი ეტაპი შეგვიფერხდა და ამიტომაც ეს შედეგები სრულიად კანონზომიერი იყო. შეიძლება ითქვას, რომ განვლილი მატჩები ფორმაში შესასვლელად გამოვიყენეთ, შემდეგ შეხვედრებს კი გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარებთ.

**- "მერანს" თითქმის ყველა რგოლში მაღალი დონის შემსრულებლები ჰყავს, თუმცა ისიც აშკარაა, რომ გუნდს არ ჰყავს ძლიერი ცენტრფორვარდი.**

- საქართველოში მაღალი დონის თავდამსხმელების დეფიციტია და ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენ არ გვაწუხებს. ამ საკითხის მოსაგვარებლად ანზორ სუხიაშვილი დაცვიდან შეტევაში გადავიყვანეთ და ვფიქრობ, ეს ნაბიჯი დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაამართლებს. დაცვის მარცხენა ფლანგზე იგი სრულფასოვნად შეცვალა ლევან გეგეჭკორმა, იმავე პოზიციაზე მაღალ დონეზე თამაშობს ლაშა ჩალაძეც. უსიამოვნო კი ის არის, რომ "დინამოსთან" მატჩში კვლავ დაგვიშავდა მარჯვენა მცველი თორნიკე კაკუშაძე და უახლოეს პერიოდში ვერ დაგვეხმარება.

**- მარტვილის სტადიონზე ამჟამად როგორი მდგომარეობაა?**

- სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და თოვლიც მალე გადნება. დიდი ალბათობით, 25 მარტს ზუგდიდის "ბაიას" მარტვილში ვუმასპინძლებთ. ამჟამად კი თბილისში ვცხოვრობთ და "მარაკანაზე" ვვარჯიშობთ.

**- რვა საუკეთესო გუნდში დამაჯერებლად მოხვდით, თუმცა იქ წამყვან პოზიციებზე ვერ იქნებით. რა არის "მერანის" მოტივაცია მიმდინარე სეზონში?**

- ყველა კლუბს არა აქვს იმის საშუალება, რომ საპრიზო ადგილებისა და ევროთასების საგზურისთვის იბრძოლოს. ამ ეტაპზე მე ისიც კარგ შედეგად მიმაჩნია, რომ უმაღლეს ლიგას "მერანის" სახით საინტერესო და შინაარსიანი ფეხბურთის მოთამაშე გუნდი შეემატა. თუ მოგვეცა იმის საშუალება, რომ მომავალ სეზონშიც ნორმალური საარსებო პირობები გვქონდეს, უფრო დიდ შედეგებსაც შევეჭიდებით.

**- მომავალი სეზონის გეგმები უკვე დასახული გაქვთ?**

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ბევრი რამაა გასარკვევი. კლუბის ხელმძღვანელობას ბიუჯეტის გაზრდის დიდი სურვილი აქვს, საამისოდ კი ახალი სპონსორების მოძიებაა აუცილებელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ზესტაფონი ფიფაში საჩივარს ამზადებს

## რა მიზნით ჩამოვიდა თბილისში უკრაინელი იურისტი?

"ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება ლვოვის "კარპატისა" და საქართველოს ჩემპიონის დავის ამბავი: უკრაინული კლუბი არ აპირებს, "ზესტაფონს" **მურთაზ დაუშვილის** ტრანსფერის კომპენსაცია 360 ათასი ევრო გადაუხადოს.

ფეხბურთელმა ისარგებლა უფლებით და ქართულ კლუბთან კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ხუთი თვით ადრე, 2011 წლის აგვისტოში "კარპატისთან" კონტრაქტის გააფორმა. მასზე გაბრაზებულმა "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** ბოლო 5 თვის განმავლობაში დუბლშემადგენლობაში გადაიყვანა, მაგრამ ყველას ეგონა, რომ ლვოველები "ზესტაფონს" საკომპენსაციო თანხას, 360 ათასი ევროს გადაუხდიდნენ, ბუბა უკრაინაში თამაშის უფლებას მიიღებდა და კონფლიქტი ამოიწურებოდა. დაუხადოს. დაუშვილი "ზესტაფონში" 6 სეზონი თამაშობდა და იმერულ კლუბს 360 ათასი ევრო ეკუთვნოდა.

რადიკალურად იცვლება ვითარება "ლვოვის" შემთხვევაში: უკრაინის პირველი ლიგის კლუბი ჩემპიონატების მეოთხე კატეგორიაშია და "ზესტაფონს" ბევრად ნაკლები, სეზონზე 10 ათას ევრო, ანუ სულ 60 ათასი უნდა გადაუხდოს.

ეს ილია კოკაიამ თავიდანვე თაღლითურ სქემად მონათლა, რადგან კლუბს კომპენსაციისთვის თავის არიდება სურს.

*"თუ ლვოველებს ეს სქემა დაუმტკიცდათ, მაშინ ფიფასგან სერიოზული სანქციები წამოვა... „ზესტაფონის" ინტერესის დასაცავად ბოლომდე ვიბრძოლებ. მეტსაც გეტყვით: ყველაფერს გავაკეთებთ, დემინსკის ფეხბურთში საქმიანობა რომ აუკრძალონ. ეს მათთვის პირველი სკანდალი არ არის, მის*



მურთაზ დაუშვილის (მარჯვნივ) კარპატიში ტრანსფერის ირგვლივ კვლავ დიდი ამბებია

თუმცა ლვოველებმა უკრაინული მასშტაბით ამ მიზერული თანხის გადახდაც არ ისურვეს. რადგან საქმეს ასეთი პირი უჩანდა, "ზესტაფონმა" ლვოველებს ოფიციალურად მიმართა, რომ "კარპატის" კუთვნილი საკომპენსაციო თანხა გადაეხადა. უკრაინელთა არაოფიციალური პასუხი უცნაურად ჟღერდა, ან 50 ათას ევროს გადაგიხდით, ან 1-ელ მაისამდეც მოვიცდითო. საქმე ისაა, რომ 1-ელ მაისს დაუშვილი 23 წლის გახდება და მის კონტრაქტში "კარპატის" კომპენსაციის გადახდა აღარ მოუწევს, "ზესტაფონი" კი უკრაინის პირველი ლიგის "ლვოვისგან" (სადაც ტრანსფერი დაარეგისტრირეს დაუშვილის "კარპატიში" იჯარით გაშვებამდე) მხოლოდ 60 ათას ევროს მიიღებს.

ცნობილია, რომ დაუშვილი "კარპატის" თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს: უკრაინის პრემიერლიგა ეროვნული ჩემპიონატების მეორე კატეგორიაშია და გუნდი ვალდებულია, 23 წლამდე თავისუფალ აგენტში გამზრდელ კლუბს სეზონზე 60 ათასი ევრო გა-

*„საქმეებს" თავად უკრაინაშიც კარგად იცნობენ"*, - განაცხადა კოკაიამ.

როგორც შევიტყვეთ, ამჟამად "ზესტაფონი" ამ ტრანსფერის იურიდიულ მხარეს დეტალურად სწავლობს, საჭირო ინფორმაციებს აგროვებს, დახმარებისთვის კი უკრაინელი იურისტი მოიწვია. ეს ინკოგნიტო პიროვნება თბილისში მცირე ხნის წინ იმყოფებოდა, მაგრამ ვინაობის დასახელება და კომენტარი არ ისურვა.

თუ ფიფა ქართული მხარის არგუმენტებს გაიზიარებს, მაშინ ლვოველები იძულებული გახდებიან, "ზესტაფონს" საკომპენსაციოსთან ერთად, დამატებით თანხაც გადაუხადონ.

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმ ფაქტს, რომ დაუშვილმა იჯარამდე "კარპატიში" 4 საკონტროლო მატჩი ჩაატარა.

"ზესტაფონი" ამ საკითხზე განცხადებას ჯერ არ აკეთებს, თუმცა დაგვიდასტურეს, რომ კონსულტაციებს აწარმოებენ და "კარპატისთვის" თანხის შერჩენას არ აპირებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

მწვრთნელთა განათლება

# სალიცენზიო კურსები გორში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თაოსნობით გუშინ გორში C კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზიის კურსები დაიწყო. სფფ-ს სალიცენზიო განყოფილების წარმომადგენლები **ეკა ნადირაშვილი, ბადრი მაჭავარიანი, ავთანდილ შენგელია** და **თენგიზ კაცია** კურსებს რვა დღის განმავლობაში უხელმძღვანელებენ. ლიცენზიის მოსაპოვებლად ამ რეგიონიდან, აგრეთვე სამცხე — ჯავახეთიდან და თბილისიდან კურსებზე 24 მწვრთნელი დარეგისტრირდა. *„აღსანიშნავია, რომ ასეთი კურსები შარშანაც ჩავატარეთ გორში. მაშინაც არა მხოლოდ ჩვენი რეგიონიდან მოიყარეს თავი მსურველებმა. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდამ ვზრუნავთ. გვინდოდა უახლოეს მომავალში გორშივე ჩაგვეტარებინა B კატეგორიის მოსაპოვებელი სემინარიც, ნებართვა მიღებული გვქონდა, მაგრამ მსურველთა რაოდენობის სიმცირის გამო ველარ მოვახერხეთ. გვინდა, რომ წლეულს მაინც შევძლოთ მისი ორგანიზება, თუმცა, რასაკვირველია, ეს მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მწვრთნელებმაც უნდა იაქტიურონ"*, — გვითხრა შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია რევაზიშვილმა**. ამ რეგიონში დღესდღეობით 30-მდე C კატეგორიის ლიცენზიის მწვრთნელია.

**ვასილ ბალახაძე**

გორიდან

დავით ასპანიძის ფოტო



სემინარის მიმდინარეობისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერი

# გურამ კაშია: ალბათ, ისევ ვიტესში

**გურამ კაშია** სულ რაღაც ორი წლის წინ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა. მართლაც საგრძნობი იყო ახალგაზრდა ცენტრალური მცველის პროგრესი — თბილისის "დინამოს" დუბლებიდან მოკლე პერიოდში მის ლიდერად და შეუცვლელ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა. მერე იყო მერაბ ჟორდანიას "ვიტესში" მიწვევა, დამკვიდრება და კაპიტნობაც!

გურამ კაშია ევროპული კლუბების ინტერესთა სფეროში მოექცა. "ლელო" ჯერ კიდევ 29 დეკემბერს წერდა ინგლისურ მედიაზე დაყრდნობით, რომ არნემელთა კაპიტნით ლონდონის „ჩელსი“ დაინტერესდა. ამის შემდეგ მცირე ხანში ფეხბურთელის მენეჯერმა გოგა გახოკიძემ თქვა, რომ გურამს "ვიტესზე" უფრო ტიტულოვან ჰოლანდიურ კლუბებში იწვევენ.

გურამ კაშიას არნემში დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- "ჩელსის" ინტერესზე აღარაფერი ისმის. რეალურად ინგლისელებთან მოლაპარაკება გქონდა?**

- ეს ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა და მეტის თქმა არ შემიძლია. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ "ჩელსისთან" მოლაპარაკება პირადად მე არ მქონია.

**- ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ "ვიტესმა" ახალი კონტრაქტი შემოგთავაზა.**

- შემოთავაზება არის და შესაძლოა, "ვიტესთან" უახლოეს დღეებში ახალი კონტრაქტი მართლაც გავაფორმო.

**- ახალი კონტრაქტი რამდენწლიანი იქნება?**

- ჯერ ეს არ გადაწყვეტილა. ძველი ხელშეკრულება კი 2013 წელს მთავრდება.

**- შენი მენეჯერის, გოგა გახოკიძის სიტყვებია, რომ "ტვენტესა" და "ეინდჰოვენში" გიწვევენ. ანუ ამ წინადადებებზე უარს ამბობ?**

- ინტერესი მართლაც იყო და არის კიდეც. უბრალოდ, მანამდე ბევრი საკითხია გადასაჭრელი და არ ვიცი, როგორ მოგვარდება.

**- კონკრეტულად?**

- "ეინდჰოვენი" და "ტვენტე" ძალიან სერიოზული გუნდებია და როდესაც შენით დაინტერესდებიან, შეუძლებელია, არ დაფიქრდე და გულმა არ გაგიწიოს. მაგრამ, მეორე მხრივ, გუნდის წინაშე წმინდა ადამიანურ მოვალეობას და პასუხისმგებლობას ვგრძნობ. ყველაფერს



გურამ კაშია

რომ თავი დავანებოთ, "ვიტესს" ძალიან შევეგუე, გუნდის კაპიტანი ვარ და ლიდერად მთვლიან. "ვიტესს" კი მიმდინარე სეზონში დიდი ამბიციები აქვს და ასეთ დროს გუნდის მიტოვებას ვერ გამიგებენ.

**- მიმდინარე სეზონში რა მიზნები გაქვთ?**

- გვინდა, ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ და ევროპის ლიგის საგზური მოვიპოვოთ. საერთოდ, ამ გუნდის განვითარებაში, ზრდასა და საერთო პროგრესში უკვე ისე ვარ ჩართული, თავადაც გამიჩნდა ინტერესი, რომ შედეგს სწორედ არნემში მივაღწიო. ისე, ძალიან მაინტერესებს, რამდენს შევძლებთ. ძნელია ამ ყველაფერზე უარი ვთქვა და სხვაგან გადავიდე.

**- „ვიტესში“ წასვლამდე "ტრანსფერმარკტი" 300 ათას ევროდ გაფასებდა, დღეს კი 4 - მილიონად. ეროვნული ნაკრების ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდი. უდავოდ დიდი ნახტომია.**

- ეს უპირველესად, ჰოლანდიის ჩემპიონატის დამსახურებაა. საქართველოში რაც უნდა კარგად ითამაშო, ფასის ჭერია დაწესებული და იმაზე მეტად არ შეგაფასებენ. ახალგაზრდა კაცი ჰოლანდიაში ძალიან ბევრ რამეს სწავლობ და იზრდები, მით უფრო, საქართველოდან წასული.

მიხარია, "ტრანსფერმარკტი" ასე ძვირად რომ მაფასებს. სხვათა შორის, საქართველოში თამაშის პერიოდში ჩემი ფასი 150 ათასი იყო და მხოლოდ ბოლო თვეებში გაიზარდა 300 ათასამდე. ამის შემდეგ ტრანსფერის ასეთი რადიკალური გადაფასება ძალიან მსიამოვნებს. მაგრამ ყველაზე მეტად სპორტული ზრდა მახარებს. ახლა მთავარია, რაც შეიძლება მეტი ვითამაშო, გავიზარდო და ბევრს მივაღწიო.

მეორე ის ფაქტორია, რომ საქართველოს ნაკრებში ბევრი მაღალი კლასის მოთამაშეა. სულაც არ ვთვლი, რომ ამ შეფასების გამო მე ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი გავხდი, მაგრამ რა დასამალია, ფაქტი მაინც მსიამოვნებს.

**- საქართველოს ევროპის საუკეთესო ნაკრებებში არ ასახელებენ, მაგრამ მილიონად შეფასებული მოთამაშეებით 20 საუკეთესოში მაინც ვართ.**

- ჩვენ ძალიან ნიჭიერი მოთამაშეები გვყავს და ეს ჩვენი ფეხბურთის პოტენციალზე მიუთითებს. დარწმუნებულიც ვარ, ჩვენს ნაკრებს დიდი მომავალი აქვს. თანაც გადახედეთ, ძალიან ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან. თუნდაც ჩემი თანაგუნდელები, გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

ფესვები



მამუკა გუგეშაშვილი

თბილისის "თბილისი" და საფეხბურთო სკოლა "ოლიმპი" – იყო დრო, როცა ეს ორი მონათესავე სტრუქტურა საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. "თბილისს" აღარ პროფესიული გუნდი აღარ ჰყავს, "ოლიმპის" სკოლას დაერქვა "თბილისი", ხოლო "ოლიმპი" ზოგადსაგანმანათლებო სკოლის სახელწოდება გახდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სახელების შეცვლას არსი არ შეუცვლია – არსებობს საფეხბურთო სკოლა და იმავე ტერიტორიაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაც, რომელთაც ერთი დამფუძნებელი ჰყავს – მამუკა გუგეშაშვილი.

# მამუკა გუგეშაშვილი: საუკეთესო ისევ ჩვენ ვიქნებით

"ჩვენს საფეხბურთო სკოლაში დაახლოებით 350 ბავშვი დადის, ჯგუფები ყველა ასაკში გვყავს," – გვითხრა გუგეშაშვილმა.

ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო სკოლა "თბილისის" განკარგულებაში ხუთი ხელოვნუსაფრიანი მოედანია, ერთი სტანდარტული, დანარჩენი მცირე ზომის. იქვეა ღია აუზი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ოლიმპს" ეკუთვნის, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ამით საფეხბურთო სკოლის მოზარდებიც სარგებლობენ.

"ოლიმპი" სპორტული სკოლა არ არის, მაგრამ ყველანაირად ხელს უწყობს იმ ბავშვებს, რომლებიც პარალელურად ფეხბურთზეც დადიან. ნორჩი ფეხბურთელების განკარგულებაშია სატრენაჟორო დარბაზიც.

"თბილისს" ამ დროისთვის ხუთი მოედანი აქვს, მაგრამ ყველა მისი საკუთრება როდია. სტანდარტული ზომის და ორი მომცრო მოედანი იმ ტერიტორიაზეა, რომელიც ესტონურ კომპანიას ეკუთვნის და "თბილისს" იჯარით აქვს აღებული.

"ესტონელები ბოლომდე ჯერაც არ არიან ჩამოყალიბებული, გაყიდონ თუ არა ეს ტერიტორია. მათი ყოყმანი ჩვენც ხელს გვიშლის. მოედნების საფარი გამოსაცვლელია, მაგრამ სანამ გაურკვევლობაა, ჩვენ გაჩერებულები ვართ. თუ ეს ტერიტორია გაიყიდება, სხვაგან უნდა მოვძებნოთ მიწა მოედნების ასაშენებლად და ორ სხვადასხვა ადგილას გვექნება მოედნები", – განგვიმარტა გუგეშაშვილმა.

"რა თქმა უნდა, ვთანამშრომლობთ სხვადასხვა კლუბებთან, მაგალითად, "საბურთალოს" 3-4 თაობის კარგი ფეხბურთელები მივაწოდეთ. ისე მოხდა, რომ **ლევან გვანცელაძემ** თბილისის "დინამოში" ჩვენთან მოლაპარაკების გარეშე ერთი თაობა წაიყვანა, 1999 წელს დაბადებულები, ეს ისეთი ასაკია, რომ "თბილისი" იურიდიულად პრეტენზიას ვერ წამოაყენებდა," – გვამცნო გუგეშაშვილმა.

"თბილისში" სწავლის საფასური 40-50 ლარია, 14 წლის ზევით ნიჭიერი მოზარდებისთვის კი გადასახადი გაუქმებულია.

გუგეშაშვილმა გვითხრა, რომ კარგი, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს თბილისის "ლოკომოტივთან" და მის პრეზიდენტ **ლექსო თოფურიასთან.**

"ჩვენგან სამი ნიჭიერი ფეხბურთელი უკვე გადავიდა "ლოკომოტივში" და ამ კლუბთან თანამშრომლობა გაგრძელდება. კარგი ურთიერთობა გვიყალიბდება ქუთაისის "ტორპედოსთანაც", სამი ნიჭიერი ფეხბურთელი ახლახან იქაც წავიდა "თბილისიდან".

გუგეშაშვილმა ისიც გვითხრა, რომ მის სკოლაში გადადგეს პირველი საფეხბურთო ნაბიჯები **გიორგი ჭანტურიამ** და **ვაკო ყაზაიშვილმა**, რომლებიც შემდეგ "საბურთალოში" გადავიდნენ და მერე აღმოჩნდნენ არნემის "ვიტესში". გუგეშაშვილის სკოლაში დაიწყო ფეხბურთის თამაში **სანდრო კობახიძემაც,** რომელიც თანდათან ყალიბდება ეროვნული ნაკრების საკვანძო მოთამაშედ.

"სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, პირველ რიგში მოედნების საკითხი უნდა მოვაგვაროთ. ამ პრობლემას რომ გადავჭრით, ჩვენი სკოლა კვლავ საუკეთესოზე განაცხადებს პრეტენზიას. მიმაჩნია, რომ სამუშაო პროცესის მხრივ "თბილისი" ახლაც საუკეთესოა. ჩვენთან 12 მწვრთნელია დასაქმებული და ვფიქრობ, სპეციალისტთა საუკეთესო კონტინგენტი სწორედ ჩვენთანაა თავმოყრილი. სკოლის დირექტორი და მთავარი მწვრთნელი **პაატა მეტრეველი** გახლავთ. არც იმის თქმის მოვერიდება, რომ ყველაზე ნიჭიერი ბავშვები ჩვენს სკოლაში დადიან".

გუგეშაშვილის თქმით, "თბილისთან" პარტნიორობის სურვილს რამდენიმე ქართული და უცხოური კლუბი გამოთქვამს. გამოჩნდნენ პოტენციური სპონსორებიც, რომლებთანაც მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

რაც შეეხება პროფესიული კლუბის შექმნას, "თბილისის" უახლოეს გეგმებში ეს არ შედის. გუგეშაშვილისვე განმარტებით, ეს უფრო შორეული პერსპექტივაა.

**დავით თავართქილაძე**



სანდრო კობახიძე(№7) თანდათან ეროვნული ნაკრების საკვანძო მოთამაშედ ყალიბდება

ქართველი მედიაოფიცერი

## მამუკა კვარაცხელია ევრო 2012-ზე პოლონეთში იმუშავებს

# ქართველი უეფას მიმართავს: მოთამაშეებმა მედია დააფასონ!



მამუკა კვარაცხელია

**მამუკა კვარაცხელია** ევრო 2012-ზე პოლონეთში იმუშავებს – ქართველი მედიაოფიცრის თქმით, ის უეფამ პოზნანის, ვროცლავისა და ვარშავის სტადიონებზე გაანაწილა, ბოლოს კი კიევში საფინალო მატჩზე იქნება. მანამდე კი კვარაცხელია ვარშავაში სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში სემინარებში მიიღებს მონაწილეობას.

მცირე ხნის წინათ, მამუკა კვარაცხელია ჟენევაში უეფას მედიაკომიტეტის შეკრებას დაესწრო, რომლის წევრადაც ახლახან აირჩიეს. სხდომაზე განიხილეს სოციალურ ქსელებთან (ფეისბუქი, იუთუბი, ტვიტერი და ა.შ.) უეფას დამოკიდებულება და სხვა საკითხები.

სხდომაზე კვარაცხელია გამოვიდა წინადადებით, რომ უეფამ დასაჯოს ის ფეხბურთელი, რომელიც მატჩისშემდგომ ჟურნალისტებს კომენტარებსა და ინტერვიუებზე უარს ეტყვის. ჩვენებურის მოსაზრება კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს და დისკუსია გამართეს. საბოლოოდ, კომიტეტმა გადაწყვიტა, უეფას სხავადასხვა ორგანოსთან მოლაპარაკებების შემდეგ ჩამოყალიბდეს მოსაზრება და მომავალ სხდომაზე საბოლოო სახეც მიეცეს.

*"ჟურნალისტობა 24 წლის წინ დავიწყე და უამრავი მატჩისა და ინტერვიუს მომსწრე გავმხდარვარ. უეფას ეგიდით გამართული მატჩების შემდეგ, ჩემპიონთა და ევროპის ლიგაში, შერეულ თუ ელვა-ზონებში ჟურნალისტთა შეკითხვას ნებისმიერმა ფეხბურთელმა უნდა უპასუხოს. ჩემი ოპონენტების აზრი იყო, შეიძლება, წაგების შემდეგ გალიზიანებულმა პასუხის გაცემა ვერ შეძლოსო. მაგრამ ეს მარტო ჟურნალისტს კი არ სჭირდება, მილიონობით მაყურებლის მოთხოვნაა, რომელიც ეკრანს დაძაბული მისჩერებია და თავისი კერპისგან მოგება-წაგების მიზეზების ახსნას ითხოვს. გარდა ამისა, ჩემპიონთა და უეფას ლიგაში ფეხბურთელები საკმაოდ დიდ გასამრჯელოს იღებენ კლუბებისგან, რომელთაც უეფა უხდის. უეფა შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს კი პირდაპირი რეპორტაჟებისთვის იღებს იმ ტელევიზიებიდან, რომელთაც ფულს ხალხი უხდის. ასე რომ, მთავარი და ზარალებული გულშემატკივარი გამოდის! მინახავს დიდი ვარსკვლავები, რომლებიც წაგებული მატჩის შემდეგ ჟურნალისტს არ ელაპარაკებიან, მაისურას კი სიამოვნებით უცვლიან მოგებული გუნდის ვარსკვლავებს, ან ავტობუსში შეცვივდებიან და მხიარულად ბაასობენ. კი მაგრამ, გულშემატკივარმა რა დააშავა? რატომ არ უნდა აუხსნას მატჩის საინტერესო მომენტები? განსაკუთრებით, როცა თამაში ახალი დამთავრებულია... შევთანხმდით, რომ მომავალ სხდომაზე სექტემბერში ამ საკითხს ძირეულად განვიხილავთ და რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებთ. გულშემატკივარს ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ჩვენი ფედერაციის საშეჯიბრო გამყოფილების უფროსი, ნოდარ კაკულია დამემოწმება, რომ 12 წლის წინათ საქართველოს ჩემპიონატის დებულებას ვწერდით და ჩემი ინიციატივა იყო, მატჩის შემდგომი პრესკონფერენციისთვის თავის ამრიდებელი მწვრთნელის დაჯარიმება. ეს წესი დღემდე კარგად მოქმედებს,"* - ამბობს მამუკა კვარაცხელია.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მიონხენგლადბახის ბორუსია

# გლადბახი ჩემპიონთა ლიგაში! როგორია?

## ლუსიენ ფავრი ამ გუნდს არ მიატოვებს



ასე ზეიმობდა გლადბახის მწვრთნელი ლუსიენ ფავრი შეგირდებთან ერთად იგორ დე კამარგოს (№10) გოლს

**იგორ დე კამარგომ** 88-ე წუთზე „ლევერკუზენს" გოლი რომ გაუტანა, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** სიხარულისგან გაგიჟებული მოედანზე შევარდა, 40 მეტრი ირბინა და გოლი, რომელიც „გლადბახის" გამარჯვებას მოასწავებდა, შეგირდებთან ერთად იზეიმა. „ბორუსიამ" დარჩენილ დროში 2:1 უპრობლემოდ შეინარჩუნა და 54 წლის შვეიცარიელი სპეციალისტის ერთი შეხედვით გადამეტებული სიხარული სულაც არ გახლავთ გადაჭარბებული, რადგან თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გოლმა გლადბახი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა.

მართალია, სეზონის ფინიშამდე კიდევ 8 ტურია დარჩენილი, მაგრამ ჯერ ერთი, ეს უშუალო კონკურენტთან გამარჯვება, ეგრეთ წოდებული „ექვსქულიანი" მოგება იყო და მეორეც: „გლადბახი" მეხუთეადგილოსან „ლევერკუზენს" ახლა უკვე მთელი 11 ქულით უსწრებს. რა უნდა მოხდეს დარჩენილ რვა ტურში ისეთი, რომ ფავრის გუნდმა ეს უპირატესობა გაანიავოს?

„დე კამარგოს გოლმა ისე გამახარა, რომ თავი ვეღარ შევიკავე. ბუნებრივად, მატჩიც ძალიან ემოციური გამოვიდა და იმედია, ამ სლალომის გამო არ დამძრახავენ. ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ 1:1-ის შემდეგ ჩემი ბიჭები მოგებაზე თამაშობდნენ. ჩვენს ადგილზე, სხვა გუნდი ფრეზე ითამაშებდა, ჩვენ კი ბოლომდე გამარჯვებისთვის ვიბრძოლეთ, რაც დაგვიფასდა კიდეც, - თქვა საფინალო სასტვენის შემდეგ ლუსიენმა და იქვე დასძინა, - კარგ ფორმაში ვარ, არა?"

„გლადბახის" თავკაცი მართლაც კარგ ფორმაშია – უკეთესში, ვიდრე თვით დორტმუნდის „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპი**. ამ უკანასკნელმა (44 წლისაა) დეკემბერში, „ფორტუნასთან" პენალტების სერიაში მოგებული სათასო მატჩის შემდეგ ანალოგიური სლალომი განახორციელა და ტრავმა მიიღო, შვეიცარიელს კი კუნთიც არ დაჭიმვია. მისი ასეთი სიხარული მიონხენგლადბახური პუბლიკისთვის იმის ნიშანი იყო, რომ ფავრი არსად წასვლას არ აპირებს და გუნდს ჩემპიონთა ლიგაშიც დამოძღვრავს.

„გლადბახი" ჩემპიონთა ლიგაში? საინტერესოა! ძალიან საინტერესო...

**გოტფრიდ ლენცი**

● მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგიუსონს რაღაც დააკლდა



ევანსი იუნაიტედში პირველ გოლს ზეიმობს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" 29-ე ტურში ვულვერჰემპტონის "მულინექსზე" მასპინძელი წელში გატეხა. დაგვეთანხმეთ, რომ გასვლით შეხვედრაში 5:0 იშვიათი მოვლენაა, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონის** თქმით, მისი ფეხბურთელების თამაშის ხარისხი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო. **რონალდ ზუბარის** გაძევების შემდეგ სტუმრებმა "მგლები" 5 წუთში შოკში ჩააგდეს, როცა დროის მცირე მონაკვეთში 2 გოლი გაიტანეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს. "მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენ ხუთი ბურთით შევამცირეთ ბურთების სხვაობა. "სიტის" უპირატესობა ახლა სულ რაღაც პლუს სამია. სეზონის ბოლოს ამანაც შეიძლება თავისი როლი ითამაშოს ჩემპიონის ვინაობის გარკვევაში. დღეს კარგად ვითამაშეთ, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს რაღაც განსაკუთრებული იყო. ალვნიშნავდი ვალენსიას მეორე გოლს. ანტონიო ტრავმის შემდეგ დაგვიბრუნდა და უბრალოდ ფანტასტიკურად ითამაშა. სწორედ მან შეუქმნა საგოლე სიტუაცია დენი უელბეკსაც. მატჩის ბედიც სწორედ ამ მონაკვეთში გადაწყდა. მიუხედავად ანგარიშში სხვაობისა, მიუხედავად კაცნაკლულობისა, მეტოქეს ბრძოლა არ შეუწყვეტია, თუმცა თამაშის შემობრუნება მათ ძალებს აშკარად აღემატებოდა. ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის. წინ კიდევ 9 ტურია სათამაშო და მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრაცია იქამდე შევინარჩუნოთ, ვიდრე თამაშების "მარაგს" არ გამოვლევთ," – განუცხადა ფერგიუსონმა "სქაი სპორტს".

"იუნაიტედიდან" **ანტონიო ვალენსიამ** ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს **ჯონი ევანსის** მიღწევაც, ვინც **მაიკლ კერიკის** პასით "იუნაიტედში" თავის 119-ე შეხვედრაში პირველი გოლი გაიტანა. "რა თქმა უნდა ჩემი საგოლე სტატისტიკა შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ მე მაინც ვამაყობ, რომ პირველი გოლი გავიტანე, - განუცხადა ჩრდილოირლანდიელმა "იუნაიტედის" საკლუბო არხს. – კერიკმა პასი ისეთ სიტუაციაში გამიკეთა, რომ გატანის გარდა არაფერი დამრჩენოდა. როგორც აღმოჩნდა, ამისთვის მზად არც კი გახლდით. ბიჭები მეხუმრებოდნენ, რომ სახე ცოტა შოკირებული მქონდა იმისგან, რაც ჩავიდინე. მაისურს, რომელიც დღევანდელ შეხვედრაში მეცვა, აუცილებლად საგანგებოდ შევინახავ. ანტონიო ვალენსიამ მშვენიერი ფეხბურთი გვიჩვენა. ის მთელი წელია, სტაბილურად თამაშობს, რაც მის კლასზე მიუთითებს".

**ლევან ბიბილაშვილი**

| პრემიერლიგა | |
|---|---|
| დღეს | |
| ბლექბრნი-სანდერლენდი | 00:00 |

● საფეხბურთო ხულიგნები



# ჩხუბი საბერძნეთში

ასე გამოიყურებოდა ათენის ოლიმპიური სტადიონი ჩხუბის შემდეგ

 პირეოსის "ოლიმპიაკოსისა" და ათენის "პანათინაიკოსის" დაპირისპირება ბერძნული ფეხბურთის ჭეშმარიტ კლასიკად მიიჩნევა. მათ შეხვედრებში ყველაფრის ნახვა შეიძლება – სპორტსმენების მხრიდან ზღვარს გადასული ემოციებისა თუ დიდი ფეხბურთის, ფანების მხრიდან კი საკუთარის ფანატიკური სიყვარულისა და მეტოქის უსაზღვრო სიძულვილის. ეს უკანასკნელი ხშირად უკონტროლო ხდება ხოლმე. ყველაფრის მიზეზი კი ის არის, რომ ეს კლუბები წლებია ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ემოციებმა ზღვარს ამ უქმეებზეც გადააჭარბა... ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით თამაშზე "ოლიმპიაკოსის" გულშემატკივრები არ უნდა მოხვედრილიყვნენ. ბილეთების მათთვის მიყიდვა ოფიციალურად აიკრძალა.

არბიტრმა თამაში რამდენჯერმე შეწყვიტა. მან 45 წუთით გადადო მეორე ტაიმის განახლება, რადგან ამ დროს პოლიციასა და გულშემატკივრებს შორის ტრიბუნებზე ლოკალური შეტაკებები მიმდინარეობდა. ტაიმი მხოლოდ მას მერე განახლდა, რაც სიტუაცია კონტროლქვეშ მოექცა. თუმცა სიტუაცია 51-ე წუთზე **ჯამელ აბდუნის** მიერ გატანილი ბურთის შემდეგ ხელახლა აფეთქდა. 83-ე წუთზე ფეხბურთელების მოედანზე ყოფნა უკვე სახიფათო გახდა. ხულიგნებს ამ დროს პოლიციის წინააღმდეგ მორიგი იერიში მიჰქონდათ - ესროდნენ ქვებს, ალმოდებულ ბოთლებს და ასე შემდეგ. 41 წლის არბიტრმა **ანატასიოს კაკოსმა** თამაში შეწყვიტა და გუნდებს გასახდელში უხმო. არეულობა სტადიონს მიღმაც გაგრძელდა. სამართალდამცავებმა 60 ადამიანის დაკავების შესახებ გამოაცხადეს. ისინი პოლიციისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით არიან დაკავებულები.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ამბები



იურგენ კლინსმანი

## კლინსმანმა, ტოტენჰემი არაო

ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა**, ვინც "ტოტენჰემის" გულშემატკივრებს დღემდე გამორჩეულად უყვართ, უარი თქვა "დეზების" გაწვრთნაზე. 47 წლის გერმანელის თქმით, ამ ეტაპზე მას მხოლოდ ერთი ამბიცია აქვს, გაიყვანოს ამერიკის ეროვნული გუნდი 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და შესაბამისად, სხვა თემებზე საფიქრალად დრო აღარ რჩება. "ტოტენჰემში" მომუშავე ადამიანებთან მე დღემდე მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, ისევე როგორც იმ კლუბების წარმომადგენლებთან, სადაც ოდესმე მითამაშია. ვიცი, რომ კლუბს უმაღლესი მიზნები აქვს, თუმცა ამ ეტაპზე მე ჩემი გეგმები მაქვს," – აცხადებს კლინსი "სანთან" ინტერვიუში. ფეხბურთელს 1994/95 და 1998 წლებში "დეზების" რიგებში 56 შეხვედრაში 30 გოლი აქვს გატანილი.

## ოსერმა ახალი თავკაცი დანიშნა

ლიგა 1-ის უიმედო აუტსაიდერად ქცეული "ოსერის" (მე-20 ადგილი) პრეზიდენტმა **ჟერარ ბურჟომ** ზედიზედ მე-11 მოუგებელი თამაშის შემდეგ კარისკენ მიუთითა მთავარ მწვრთნელ **ლორან ფურნიეს** და პოსტი 44 წლის სპეციალისტ **ჟან გი ვალემს** ჩააბარა. მას ლიგა 1-ში მუშაობის ძალიან მცირე გამოცდილება აქვს. ელიტურ დონეზე ის მხოლოდ "ლანსში" მუშაობდა და ისიც მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში.

**ლევან ბიბილაშვილი**



● იტალია. სერია A. XXVIII ტური




ედინსონ კავანი მეორე გოლის შემდეგ

# ფრე ლაციოს სასარგებლოდ

## გვიდოლინმა მსაჯობაზე დაიჩივლა

**უდინეზე-ნაპოლი 2:2**

**გოლები:** 1:0 პინცი (28), 2:0 დი ნატალე (52), 2:1 კავანი (81), 2:2 კავანი (85).

**გაძევება:** ფაბრინი (60. უდინეზე).

**XXVIII ტურის** ცენტრალური პაექრობა უდინეში გაიმართა და რადგან ეს მატჩი კვირას თბილისის დროით გვიან ღამე დაიწყო, მიმოხილვაში ვერ ავსახეთ. ამიტომ, „უდინეზე“-“ნაპოლის“ დაპირისპირებაზე დღევანდელ ნომერში უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. მით უმეტეს, თამაში მართლაც სანახაობრივი, მეტად დრამატული და შესაბამისად, საინტერესო გამოვიდა.

ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის მებრძოლი გუნდები წარსდგნენ და ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც სასწორზე სამ ქულაზე ბევრად მეტი დევს. ამ უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას ორივე გუნდი დანაკლისით შეხვდა, თუმცა უფრო მეტად მაინც ნეაპოლელები დაიჩაგრნენ, რომლებსაც **ესეკილ ლავეცის** გარეშე მოუხდათ ფონს გასვლა. თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს არგენტინელ შემტევს **ვალტერ მაცარის** გუნდისთვის, ამის ახსნა ზედმეტი გვგონია. მოკლედ, ნეაპოლელებს ლიდერის გარეშე უწევდათ ასპარეზობა და ამად იყო, რომ თამაშის დიდი ნაწილის განმავლობაში მათ იერიშებს სიმწვავე აკლდა.

მატჩი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო, რაც მალე სათამაშოში გადაიზარდა; შედეგად, ტაიმის შუაწელს უდინელებმა გახსნეს კიდეც ანგარიში - ნეაპოლელი **პაოლო კანავარო** უხეიროდ გაისარჯა და მისგან მოგერიებული ბურთი პირდაპირ **ანტონიო დი ნატალეს** მიუვიდა, ტოტომ **დიეგო ფაბრინი** ჩართო თამაშში, ამ უკანასკნელის ზუსტ გადაცემას კი **ჯამპიერო პინცის** გოლი მოჰყვა, 1:0. უდინელებს ანტრაქტამდე კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ.

მეორე ნახევრის სტარტზე, თამაშის სურათი არ შეცვლილა და ამ ყველაფერმა შედეგი მალევე გამოიღო - 52-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნეაპოლელთა კიპერმა **მორგან დე სანქტისმა** პირველი დარტყმული მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას ტოტო დი ნატალემ დაასწრო და ეფექტური გოლი გაიტანა, 2:0. თითქოს ყველაფერი გადაწყდა, როდესაც ფაბრინიმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, თანაგუნდელები რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა და ინტრიგაც გააჩინა.

ნეაპოლელები დიდი ძალებით გადავიდნენ შეტევაში და სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს. მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 20 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც სტუმრებმა თერთმეტმეტრიანი გამოიმუშავეს და ნიშნულთან **ედინსონ კავანი** მივიდა - ურუგვაელმა ფორვარდმა ბურთი ცენტრში დაარტყა და სულ ტყუილად, მორგან დე სანქტისმა ბურთი უკუაგდო და ანგარიში უცვლელი დატოვა... აი, აქ კი თითქოს უნდა დაეყარათ სტუმრებს ფარ-ხმალი, მაგრამ ასე არ მოხდა - პირიქით, კიდევ უფრო აქტიურად შეუტიეს, კავანიმ სულ მთლად გაიგიჟა თავი და 5-წუთიან მონაკვეთში ორჯერ დალაშქრა დე სანქტისის კარის ბადე - ჯერ საჯარიმო დარტყმა აქცია გოლად, შემდეგ კი მახვილი კუთხიდან აიღო უდინელთა კარი, 2:2. ბოლო წუთები მეტად დაძაბული გამოდგა, მსაჯთან კამათი, გაწევ-გამოწევა და არეულობა - საბოლოოდ კი საყაიმო შედეგი, რამაც პირველ რიგში „კატანიასთან“ დამარცხებულ „ლაციოს“ წისქვილზე დაასხა წყალი.

ნამატჩევს, ნეაპოლელთა შორის ყველაზე აქტუალური პერსონა დუბლის ავტორი გახლდათ - მოვუსმინოთ ედინსონ კავანის: *„შეხვედრის დიდი ნაწილი ძალიან ცუდად ჩავატარეთ და ჩვენივე ბრალია, რომ მარცხთან ახლოს ვიყავით. საბედნიეროდ, ბოლო მომენტში მოვიკრიბეთ ძალები და უმნიშვნელოვანესი ქულა ავიღეთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ“.*

კინაღამ გამოგვრჩა, რომ მეორე ტაიმის მსვლელობისას არბიტრმა წითელი ბარათი უდინელთა მთავარ მწვრთნელს, **ფრანჩესკო გვიდოლინსაც** აუფრიალა - მატჩის შემდეგ, „უდინეზეს“ თავკაცი ემოციური გახლდათ და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: *„არბიტრებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ფაქტია, რომ უკვე მერამდენედ დავიჩაგრეთ. თერთმეტმეტრიანი, წითელი ბარათები, უამრავი ჯარიმა ჩვენს საწინააღმდეგოდ და ამ ყველაფერმა შეხვედრის საბოლოო შედეგზე უდიდესი გავლენა იქონია. თუმცა, არ იფიქროთ რომ ყველაფერს მსაჯს ვაბრალებდე - შეცდომები მრავლად დავუშვით და ეს ჭკუის სასწავლებლად უნდა გამოვიყენოთ“.*

**გუშინ**

**რომა-ჯენოა 1:0**

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – ტადეი, კიაერი, ჰაინცე, ანხელი – გაგო (87. სიმპლისიო), დე როსი, გრეკო (74. მარკინიო) – ოსვალდო, ლამელა (58. ბოიანი), ბორინი.

**ჯენოა (4-3-1-2):** ფრეი – მორეტი, კარვალიო, **კალაძე**, მესტო – როსი (46. იანკოვიჩი), ველოზო, ბიონდინი – ბელუსკი (64. ხორკერა) - პალასიო, ჯილარდინო.

**გოლი:** 1:0 ოსვალდო (2).

**გაფრთხილება:** დე როსი – კალაძე, იანკოვიჩი.

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 6-0; **კარში დარტყმა:** 15(8)-7(4); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 45 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57-22 | 60 |
| 2. იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44-17 | 56 |
| 3. ლაციო | 28 | 14 | 6 | 8 | 42-34 | 48 |
| 4. ნაპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 52-30 | 47 |
| 5. უდინეზე | 28 | 13 | 8 | 7 | 39-26 | 47 |
| 6. რომა | 28 | 13 | 5 | 10 | 41-33 | 44 |
| 7. ინტერი | 28 | 12 | 5 | 11 | 38-36 | 41 |
| 8. კატანია | 28 | 10 | 11 | 7 | 36-35 | 41 |
| 9. ბოლონია | 28 | 9 | 9 | 10 | 31-33 | 36 |
| 10. პალერმო | 28 | 10 | 5 | 13 | 40-45 | 35 |
| 11. კიევო | 28 | 9 | 8 | 11 | 24-35 | 35 |
| 12. ატალანტა | 28 | 9 | 13 | 6 | 31-29 | 34 |
| 13. კალიარი | 28 | 8 | 10 | 10 | 29-35 | 34 |
| 14. ჯენოა | 28 | 9 | 6 | 13 | 35-49 | 33 |
| 15. სიენა | 28 | 8 | 8 | 12 | 32-30 | 32 |
| 16. ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27-33 | 32 |
| 17. პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33-44 | 31 |
| 18. ლეჩე | 28 | 6 | 8 | 14 | 31-45 | 26 |
| 19. ნოვარა | 28 | 5 | 8 | 15 | 24-46 | 23 |
| 20. ჩეზენა | 28 | 4 | 5 | 19 | 16-45 | 17 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 20 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 – დი ნატალე (უდინეზე); 18 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა), მილიტო (ინტერი).

**დღეს:**

იტალიის თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**იუვენტუსი-მილანი** 23.45 (2:1)

**მომდევნო ტური**

25 მარტი: ატალანტა-ბოლონია, ლაციო-კალიარი, ნაპოლი-კატანია, ჯენოა-ფიორენტინა, იუვენტუსი-ინტერი, ნოვარა-ლეჩე, ჩეზენა-პარმა, მილანი-რომა, კიევო-სიენა, პალერმო-უდინეზე.

● პალერმო

# პანუჩი: შეთანხმება მიღწეულია

## ძამპარინის მორიგი სიურპრიზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობ უცნაური ინფორმაცია გავრცელდა გუშინ იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც სულ მალე „პალერმოს“ მთავარ მწვრთნელად ცნობილი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი **კრისტიან პანუჩი** დაინიშნება. უცნაური კი ეს ამბავი იმად გახლავთ, რომ პანუჩის აქამდე არასდროს უმუშავია მწვრთნელად, რადგან საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, კომენტატორობას მიჰყო ხელი. კრისტიანს დღემდე აკავშირებს ხელშეკრულება „სქაი სპორტ იტალიასთან“ და სერია A-ს მატჩებს უძღვება. „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტი თავად პანუჩის დაუკავშირდა და მისგან შემდეგი მოისმინა:

*„დიახ, ეს სიმართლეა - მაურიციო ძამპარინისთან რამდენიმე დღის განმავლობაში ვაწარმოებდი მოლაპარაკებებს და პრაქტიკულად ყველაფერზე შევთანხმდით. ყველაზე პრობლემატური საკითხი ჩემი ხელშეკრულება გახლდათ „სქაი სპორტ იტალიასთან“, მაგრამ როგორც მაურიციომ მითხრა, საკომპენსაციო თანხას კლუბი გადაიხდის. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის შევუდგები ახალ სამუშაოს, მაგრამ შეთანხმება რომ მიღწეულია, ამას ვადასტურებ“.*

აი, ასეთი უცნაური ცნობა გავრცელდა პრესაში - არადა, „პალერმოს“ მესვეურებს ჯერ არაფერი დაუდასტურებიათ და გუნდს ისევ **ბერტოლო მუტი** უდგას სათავეში. ჟურნალისტები მუტისაც დაუკავშირდნენ, მაგრამ მისგან საინტერესო ვერაფერი შეიტყვეს - ბერტოლოს თქმით, მისთვის არავის არაფერი უთქვამს და ჩვეულებრივად აგრძელებს მუშაობას.



კრისტიან პანუჩი

● ფიორენტინა

# რუი კოშტა ვიოლაში ბრუნდება?

## დელა ვალემ წმენდა სპორტული დირექტორით დაიწყო

მას შემდეგ, რაც „ფიორენტინა“ „იუვენტუსთან“ ხუთი ბურთის სხვაობით დამარცხდა, ბევრი ალაპარაკდა **დელიო როსის** პოსტიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ. ფაქტია, რომ „ვიოლას“ მწვრთნელმა ბევრი ვერაფერი შეცვალა გუნდში და თითქოს გამოსავალიც არსად ჩანს. თუმცა, ამ მოსაზრებას კლუბის მესვეურები არ იზიარებენ და როსის სრულ მხარდაჭერას უცხადებენ. ამის შესახებ „ფიორენტინას“ დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა **ვინჩენცო გუერინმა** განაცხადა და იქვე დასძინა: თუმცა, გარკვეული ცვლილებები აუცილებლად იქნებაო. გავიდა ერთი დღე და გაცხადდა, რომ ზაფხულში კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობას **პანტელეო კორვინო** დატოვებს, რომელიც უკვე წლებია ამ პოსტზე მუშაობს. აი, რას ამბობს „ფიორენტინას“ პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე:**

*„ზაფხულში კორვინოს ხელშეკრულებას ვადა ეწურება და უკვე გადაწყვეტილია, რომ მას აღარ გავახანგრძლივებთ. პანტელეოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაკავშირებს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ვგონებ, ეს გადაწყვეტილება ჩვენს მეგობრობაზე უარყოფითად არ აისახება. გუნდში ძირეული ცვლილებებია საჭირო და ჩემი აზრით, ეს პროცესი სპორტული დირექტორის გამოცვლით უნდა დაიწყოს“.*

ამასობაში, უკვე აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებს კორვინოს მიერ გათავისუფლებულ ადგილს... ყველაზე რეალურ კანდიდატად **მანუელ რუი კოშტას** ასახელებენ, რომელიც დღეს „ბენფიკას“ სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს. ლისაბონური გუნდის ბოლოდროინდელ პროგრესს ბევრი სწორედ რუი კოშტას სახელს უკავშირებს, რომელიც თურმე უნარიანად წარმართავს სატრანსფერო პოლიტიკას. მანუელი ამჟამად 39 წლის გახლავთ, თავის დროზე, „ფიორენტინაში“ შვიდი სეზონი ითამაშა და 2001 წელს „მილანში“ გადაბარგდა. როდესაც ჟურნალისტები მანუელს ზემოხსენებულ საკითხზე სასაუბროდ დაუკავშირდნენ, მისგან ტრადიციული კომენტარი მოისმინეს:

*„დღეს, ლისაბონის „ბენფიკას“ სპორტული დირექტორი ვარ და მინიმუმ სეზონის ბოლომდე სხვა საფიქრალი ნამდვილად არ მაქვს. ისე კი, „ფიორენტინას“ ჩემს გულში დიდი ადგილი უკავია და ბედნიერი ვიქნები, თუ ამ კლუბში მუშაობის საშუალება კიდევ მომეცემა“.*

რუი კოშტას გარდა, კორვინოს პოტენციურ შემცვლელად „ფიორენტინას“ კიდევ ერთი ექსფეხბურთელი **მარტინ იორგენსენი** სახელდება... საგულისხმოა, რომ 36 წლის დანიელი ნახევარმცველი ჯერ კიდევ თამაშობს ფეხბურთს და მშობლიური გუნდის, „ორჰუსის“ ღირსებას იცავს. მარტინი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს და თუ ფლორენციიდან წინადადება მიიღო, ალბათ უყოყმანოდ დათანხმდება.




რუი კოშტა

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

## გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის გამოხმაურება

**საუკეთესო ფეხბურთელები**

26-ე ტურის სიმბოლური ნაკრები („კიკერი")

| ფეხბურთელი | კლუბი | ს.მ.რ |
|---|---|---|
| 1. რონ-რობერტ ცილერი | ჰანოვერი | 2 |
| 2. ხალიდ ბულარუზი | შტუტგარტი | 2 |
| 3. კრისტიან ფუქსი | შალკე | 4 |
| 4. სებასტიან ლანგკამპი | აუგსბურგი | 2 |
| 5. სოკრატისი | ვერდერი | 3 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 5 |
| 7. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 9 |
| 8. თომას მიულერი | ბაიერნი | 4 |
| 9. პატრიკ ჰელმესი | ვოლფსბურგი | 1 |
| 10. არიენ რობენი | ბაიერნი | 4 |
| 11. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 4 |

**შენიშვნა**: ს. მ. რ. - სიმბოლურში მოხვედრების რაოდენობა

**ტურის გმირი**

### არიენ რობენი (ბაიერნი, I)

როცა ჰოლანდიელი დრიბლიორი მოედანს ტოვებდა, მას არა მარტო „ბაიერნის", არამედ „ჰერტას" ფანებიც კი ფეხზე წარმოუდგნენ. 28 წლის გარემარბმა ქომაგებს მადლობა რიტმული ტაშით გადაუხადა. მოგვიანებით, „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა კრისტიან ნერლინგერმა თქვა, ეს ისევ ის არიენ რობენია, რომელზეც მთელი მიუნხენი გიჟდებაო. სამი გოლი, ერთი საგოლე პასი და ერთიც მშვენიერი საქციელი (მარიო გომესს პენალტი დაუთმო) – ასეთი იყო რობენის მონაგარი შაბათ საღამოს, ბერლინში 6:0-ზე მოგებულ მატჩში. თავად ჰოლანდიელი კი ამჯერად თავმდაბალი გახლდათ – ეს არ იყო ჩემი საუკეთესო თამაშიო.

**საუკეთესო ფეხბურთელები**
**26 ტურის შემდეგ. კიკერის შეფასებების მიხედვით**

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ |
|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.35 |
| 2. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.56 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.58 |
| 4. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.61 |
| 5. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.65 |
| 6. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 2.66 |
| 7. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.71 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.76 |
| 9. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.76 |
| 10. სებასტიან კელი | ბორუსია (დ) | 2.77 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 24 | 20 | 10 | 30 |
| 2. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 25 | 11 | 16 | 27 |
| 3. მარიო გომესი | ბაიერნი | 25 | 22 | 3 | 25 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 26 | 16 | 8 | 24 |
| 5. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 22 | 16 | 8 | 24 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 24 | 14 | 8 | 22 |
| 7. მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | 26 | 14 | 7 | 21 |
| 8. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 21 | 16 | 5 | 21 |
| 9. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 23 | 9 | 8 | 17 |
| 10. რაული | შალკე | 25 | 12 | 5 | 17 |

# მკვლელის ინსტინქტი ბავარიულად

## დორტმუნდელები ჯერჯერობით მაინც მხნედ გამოიყურებიან

**„ბაიერნმა" კიდევ ერთი მეტოქე გაასწორა მიწასთან – რეკორდმაისტერის მსხვერპლი ამჯერად ბერლინის „ჰერტა" გახლდათ. მიუხედავად ამისა, დორტმუნდის „ბორუსიაში" მშვიდად არიან. მეტიც: დორტმუნდელები ამ უქმეებზე პირველად ალაპარაკდნენ ჩემპიონობაზე – მხოლოდ ახლაღა დაადასტურეს ოფიციალურად, რომ ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.**

■ ■ ■

20 გოლი სამ მატჩში – აი, ასეთი ბრწყინვალე კვირა ჰქონდა მიუნხენის „ბაიერნს". ბავარიული გრანდი არა მარტო შესანიშნავ ფორმაშია, არამედ მკვლელის ინსტინქტიც დაიბრუნა – როცა მიუნხენელები ხედავენ, რომ მეტოქე წინააღმდეგობას ვერ უწევს, მადა უორმაგდებათ და მოწინააღმდეგეს ბოლომდე ქოლავენ. ის ფაქტი, რომ „ჰერტასთან" მატჩის დროს **ფრანკ რიბერიმ** და **ტონი კროოსმა** ყველასათვის კარგად ნაცნობი საბავშვო თამაში „ჯეირანი" ითამაშეს იმაზე, თუ რომელ მათგანს უნდა დაერტყა ჯარიმა, ბევრისთვის „ბაიერნის" გაკრიტიკების მიზეზი გახდა, ბევრისთვის კი იმის დასტური იყო, რომ დღესდღეობით მიუნხენელები ფეხბურთის თამაშით უდიდეს სიამოვნებას იღებენ.

მიუხედავად „ბაიერნის" ასეთი დაუჯერებელი ალმასვლისა, დორტმუნდელებს ნერვიულობა არ ეტყობათ – ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. „ბორუსიამ" „ვერდერთან" მორიგი გამარჯვება იზეიმა და აბა, გაიხსენეთ, როდის წააგო **იურგენ კლოპის** გუნდმა ბოლოს?..

### ეფენბერგი: თავში არ აგივარდეთ!

ლეგენდარულმა ბაიერნელმა **შტეფან ეფენბერგმა**, რომელიც დღეს ტელეკომპანია „სქაის" ექსპერტია, რეკორდმაისტერის ფეხბურთელები ჯარიმის შესრულებამდე „ჯეირანის" თამაშის გამო კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ეფემ „ბაიერნის" ფეხბურთელებისგან მეტი სერიოზულობა მოითხოვა და თქვა, „ეს კომედია დასჯადია", რაც არ უნდა დიდი ანგარიშით იგებდე, მეტოქის დაცინვა დაუშვებელიაო. მართალია, **რიბერიმ** (რომელმაც „ჯეირანი" მოიგო) თავი იმართლა, „ჰერტას" დაცინვა აზრადაც არ მომსვლია, უბრალოდ გავერთეთო, მაგრამ ეფენბერგის სიტყვები უფრო წონადი აღმოჩნდა – მისი კრიტიკა თითქმის მთელმა საფეხბურთო გერმანიამ აიტაცა.

საერთო ჯამში, ეს არ იყო მთავარი და არც ის, რომ მიუნხენელებმა ისევ ბევრი გოლი გაიტანეს – გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ რეკორდმაისტერმა „დორტმუნდს" უფრო მეტად დაწინაურების შანსი არ დაუტოვა და ისევ 5 ქულით ჩამორჩება. ბერლინელები კი ბედნიერები არიან იმით, რომ ბავარიელებმა გერმანიის დედაქალაქი დატოვეს და „ჰერტას" „ბაიერნთან" მომდევნო სეზონამდე საქმე აღარ ექნება...

### კელი: ხალხი დაგვცინებს!

მაინც როდის წააგო „დორტმუნდმა" უკანასკნელად? გერმანიის მოქმედი ჩემპიონის უკანასკნელ მარცხს დახმარების გარეშე მხოლოდ სტატისტიკის ფანატიკოსები თუ გაიხსენებენ. ეს 2011 წლის 18 სექტემბერს მოხდა: „ბორუსიას" მარცხი „ჰანოვერმა" აგემა (2:1). მას მერე ბუნდესლიგაში 20 ტური ჩატარდა და BVB-ს ფეხბურთელებს აღარ ახსოვთ, როგორია წაგების გემო. წესით და რიგით, დორტმუნდელები უკვე იმაზეც უნდა ფიქრობდნენ, თუ რომელი სასმელი უნდა დაილიოს საჩემპიონო ზეიმზე – ლუდი თუ შამპანური? მაგრამ „ბორუსიას" მთავარი მწვრთნელი იურგენ კლოპი ამ თემაზე საუბარს ისევ გაურბის და ოფიციალურად ჯერ კიდევ არ აღიარებს იმას, რომ მისი გუნდის მიზანი ტიტულის შენარჩუნებაა. სამაგიეროდ, „ვერდერთან" 1:0-ის შემდეგ ჩემპიონობაზე ოფიციალურად ალაპარაკდა დორტმუნდელთა კაპიტანი **სებასტიან კელი**: *„ვფიქრობ, ჩვენი მხრიდან უკვე სასაცილოა იმის მტკიცება, რომ ჩემპიონობის მთავარი კანდიდატები არ ვართ,"* - კაპიტანი მართალია!

### არა, ჰამბურგის საშველი არ იქნება!

„ჰამბურგისა" და „ფრაიბურგის" მატჩის (1:3) საფინალო სასტვენამდე ჩრდილოგერმანული კლუბის პირველ ბუნდესლიგაში გატარებული დრო 48 წელი, 206 დღე და 30 წუთი გახლდათ. წესით, შეხსენებას აღარ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ბუნდესლიგის დაარსების (1963 წელს) შემდეგ, „ჰამბურგი" ელიტიდან არასდროს გავარდნილა. არა, ჩრდილოელები ახლაც არ არიან გავარდნილები და მეტიც, გადარჩენის „ბარე ორ გუნდზე" უკეთესი შანსი აქვთ, მაგრამ ფინკის გუნდმა გადარჩენისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ფრაიბურგთან" ისე ცუდად ითამაშა, რომ არცთუ მცირეა შანსი, პირველად სწორედ წელს დაქვეითდეს.

მართალია, HSV-ს სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი არ გავარდება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ფინკის გუნდმა ისევ მაგრად აურია და ქვესკნელისკენ მიიწევს. ასე განსაჯეთ, „ჰამბურგს" უკვე ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია აქვს და სარელეგაციო მე-16 ადგილს ოდენ 2 ქულაღა აშორებს.

ჩვენი აზრით, „ჰამბურგი" მაინც არ გავარდება, რადგან ამ გუნდს არაერთ კონკურენტზე მეტი პოტენციალი აქვს. მთავარი ის არის, რომ გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი მეტროპოლისის გუნდის საშველი არ ჩანს. წლები გადის, HSV მწვრთნელებს ისე იცვლის, როგორც წინდებს და ხელმძღვანელობაც გამოიცვალა, მაგრამ ძველი დიდების დაბრუნებას ვინ ჩივის, ჰამბურგელები სეზონიდან სეზონამდე ერთი და იმავე პრობლემების წინაშე დგანან...

### კაიზერსლაუტერნში უიმედო სიტუაციაა

ბუნდესლიგის ყველაზე გაჭირვებული გუნდი უდავოდ „კაიზერსლაუტერნია" - „წითელ ეშმაკებს" უკვე წითელი აენთოთ! მართალია, პფალცელებმა „შალკესთან" საშინაო მატჩში ცოტა ხანს გაძლეს და იგებდნენ კიდეც, მაგრამ ცოტა ხანს გაძლება ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად საკმარისი არ არის – 1. FCK საკუთარ „ფრიც-ვალტერ-შტადიონზე" საბოლოოდ 1:4 განადგურდა და ბოლო ადგილზე დარჩა.

„კაიზერსლაუტერნის" განსაკუთრებული ფანები „ეს ყველაფერი ყელში ამოგვივიდას" სკანდირებდნენ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა კი ივარაუდეს, რომ თუ გუნდი უახლოეს მომავალში შედეგებს არ გამოასწორებს, დიდი შანსია, მწვრთნელი შეუცვალონ. „ლაუტერნის" ხელმძღვანელები კი ჯიუტად იმეორებენ, რომ **მარკო კურცის** შესაძლებლობები კითხვის ნიშნის ქვეშ ჯერ კიდევ არ დგას. ეს მენეჯერმა **შტეფან კუნტცმა** თქვა. საქმე ისაა, რომ უკვე თავად ჰერ კუნტცის შესაძლებლობები დგას კითხვის ნიშნის ქვეშ..

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 26 | 18 | 5 | 3 | 53-16 | 59 |
| 2. ბაიერნი | 26 | 17 | 3 | 6 | 64-17 | 54 |
| 3. ბორუსია (მ) | 26 | 15 | 6 | 5 | 39-16 | 51 |
| 4. შალკე | 26 | 16 | 2 | 8 | 58-34 | 50 |
| 5. ლევერკუზენი | 26 | 11 | 7 | 8 | 39-34 | 40 |
| 6. ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40-39 | 39 |
| 7. ჰანოვერი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-36 | 38 |
| 8. შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43-34 | 36 |
| 9. ვოლფსბურგი | 26 | 10 | 4 | 12 | 34-47 | 34 |
| 10. ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25-37 | 31 |
| 11. მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38-41 | 30 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29-37 | 30 |
| 13. კიოლნი | 26 | 8 | 4 | 14 | 33-50 | 28 |
| 14. ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 30-48 | 27 |
| 15. აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27-40 | 26 |
| 16. ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33-53 | 25 |
| 17. ჰერტა | 26 | 5 | 8 | 13 | 26-47 | 23 |
| 18. კაიზერსლაუტ. | 26 | 3 | 11 | 12 | 17-36 | 20 |

### იბიშევიჩი სენტიმენტების გარეშე

ფეხბურთელების აბსოლუტური უმრავლესობისთვის დაუწერელი კანონია ის, რომ ყოფილი გუნდის კარში გატანილი გოლი საუკეთესო შემთხვევაში საერთოდ არ უნდა იზეიმო, ან, როგორც მინიმუმ, მოკრძალებულად უნდა გაიხარო. **ვედად იბიშევიჩი** ამ კანონს არ აღიარებს!

ბოსნიელი თავდამსხმელი საფეხბურთო ევროპამ „ჰოფენჰაიმიდან" გაიცნო. სხვანაირად რომ ვთქვათ, „ვედო" „კაცად ჰოფეში იქცა". მიუხედავად ამისა, ბოლო დროს ხშირად ამბობდა, გუნდის გამოცვლა მინდაო და აი, იანვარში „სოფლელებმა" ბოლოს და ბოლოს გაუშვეს – იბიშევიჩი „შტუტგარტში" გადავიდა. ამ უქმეებზე კი ყოფილ გუნდს დუბლი შეუსრულა (შვაბებმა 2:1 მოიგეს) და ბოსნიელმა ორივე გოლი მაგრად იზეიმა...

*„გატანილი გოლით გახარებას მხოლოდ მე თუ ავუკრძალავ საკუთარ თავს. ეს დუბლი ძალიან გამიხარდა, რაც გამოვხატე კიდეც"*,- თქვა მატჩის შემდეგ იბიშევიჩმა.

უკიდურესად დაიძაბა გადარჩენისთვის ბრძოლაც. „ჰამბურგს" ეს საფრთხე თითქოს არ ემუქრებოდა, მაგრამ **ტორსტენ ფინკის** გუნდმა „ფრაიბურგთან" იმდენად ცუდად ითამაშა, რომ ახლა გამორიცხული არაფერია. ყველაზე ცუდ დღეში მაინც „კაიზერსლაუტერნია" - „ეშმაკები" მეორე ბუნდესლიგისკენ მიექანება.



აი, ასე ებრძოდნენ ბერლინის „ჰერტას" მცველები კრისტოფ იანკერი (მარცხნივ) და კრისტიან ლელი (უკან) თომას მიულერს და კომპანიას, მაგრამ მაინც 6 გოლი გაუშვეს

## გერმანიის თასი. ნახევარფინალის წინ

# დორტმუნდს [illegible] მართებს

**დღეს და ხვალ გერმანიის თასის ნახევარფინალებია**

| დღეს | |
|---|---|
| ფიურტი-ბორუსია (დ) | 23:30 |
| **ხვალ** | |
| ბორუსია (მ)-ბაიერნი | 23:30 |




დღეს და ხვალ გერმანიის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართება. დღეს მეორე ბუნდესლიგის ლიდერი „ფიურტი" დორტმუნდის „ბორუსიას" უმასპინძლებს, ხვალ კი, მიონხენგლადბახში ადგილობრივი „ბორუსია" მიუნხენის „ბაიერნს" მიიღებს.

„ფიურტმა" ახლო წარსულში ორჯერ შეძლო გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლა, ფინალში კი ვერც ერთხელ ვერ გააღწია. 2003/2004 წლების სეზონში ეს გუნდი მეოთხედფინალში „ვერდერთან" დამარცხდა (2:3), 2009/2010 წლების სეზონში კი, ასევე მეოთხედფინალში, „ბაიერნთან" (2:6). ამჯერად კი „ფიურტი" ნახევარფინალშია, რაც ამ გუნდის ისტორიაში პირველი შემთხვევა გახლავთ.

რა შანსი აქვს **მიხაელ ბიუსკენსის** გუნდს გერმანიის ჩემპიონთან? მართალია, გერმანულ ფეხბურთში „ფიურტი" ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ამ სეზონში ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. „ფიურტი" პირველ ბუნდესლიგაში გადასვლისთვის იბრძვის და მიზნის მიღწევასთან საკმაოდ ახლოსაა (56 ქულით ლიდერობს). ამასთან, ბიუსკენსის განკარგულებაში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელია. მას ორი საკმაოდ კარგი თავდამსხმელი ჰყავს: **ოლივიე ოუშენი** 15 გოლით მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, **კრისტოფერ ნიოთეს** კი 22 მატჩში 10 გოლი აქვს გატანილი. ამასთან, ფიურტელია გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ჯერალდ ასამოაც**.

„ბორუსიამ" გერმანიის თასი ბოლოს 1989 წელს (ფინალში 4:1 „ვერდერთან") მოიგო და შესაბამისად, დორტმუნდელები ძალიან მონდომებულები არიან. BVB-ს გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ფეხბურთელებს აფრთხილებს – „ფიურტი" საკმაოდ ძლიერი გუნდიაო.

*„ამ სეზონში მათი თამაში რამდენჯერმე ვნახე და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბიუსკენსს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. დარწმუნებული ვარ, რომ წელს პირველ ბუნდესლიგაში გადმოსვლას მოახერხებენ. მეორე ბუნდესლიგას დამსახურებულად ლიდერობენ და თუ ყურადღებით არ ვიქნებით, ჩვენთვის საქმის გართულება ნამდვილად შეუძლიათ,"* - აცხადებს ვატცკე.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიურტი (4-2-2-2)**: გრიუნი – ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი – ფიურშტნერი, პრიბი – კლაუსო, სარარერი – ოუშენი, ნიოთე.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1)**: ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, კელი – ბლაშჩიკოვსკი, კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. XXVII ტურის შეჯამება

# დაიჯერე პეპ, შანსი არის: დახედე კალენდარს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფეხბურთო ტრაგედია კინაღამ ესპანეთშიც მოხდა


ლიონელ მესისთვის ორი სევილიელის მოტყუება ძნელი არ ყოფილა

ტურის მთავარი მოვლენა ესპანეთის ნაკრებისა და „მალაგას" ნახევარმცველის, **სანტი კასორლას** გასროლა იყო, რომლის წყალობითაც პირველ-მეორე ადგილებს შორის სხვაობა „ადამიანურ", 8 ქულამდე დავიდა.

რიგით 27-ე ტურმა სეზონში მე-12 სამწვრთნელო ცვლილება გამოიწვია - „ყვითელ წყალქვეშა ნავ" „ვილიარეალს" მეორედ გამოუცვალეს „კაპიტანი" - იძირება, სხვა გზა არ არის.

თუმცა თხრობას ერთი ამბით დავიწყებთ, რომელიც ესპანეთის რანგით მე-3 დივიზიონში მოხდა:

მოგეხსენებათ, შაბათს ინგლისში „ბოლტონისა" და „ტოტენჰემის" სათასო მატჩში **ფაბრის მუამბა** მოცელილივით დაეცა გულის უკმარისობის გამო და ახლაც კრიტიკულ მდგომარეობაშია. მეორე დღეს ტრაგედია კინაღამ ესპანურ ფეხბურთშიც დატრიალდა. „პუერტა ბონიტასა" და „პოსუელოს" მატჩის 83-ე წუთზე „პუერტა ბონიტას" 31 წლის მცველი **სერხიო გრანერო** ორ მეტოქესთან ბრძოლაში დაზარალდა, მას ყბაში მოხვდა, ფეხბურთელს შოკისგან გული გაუჩერდა. კიდევ კარგი, გუნდის ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა დროულად მიიღო სათანადო ზომები, ხოლო ტრიბუნაზე ერთი ექიმიც აღმოჩნდა, მეტოქე გუნდის ფეხბურთელის მამა. გუშინ გრანერო უკვე ჰოსპიტალიდან გამოწერეს.

### ბარსა-რეალობა

„რეალი" მოედანზე **ერიკ აბიდალის** და ფაბრის მუამბას გამამხნევებელი მაისურებით გამოვიდა, თეთრ მაისურებზე ეწერა: „ანიმო, აბიდალ". „ბარსელონას" უმთავრეს მექიშპეს ეს საქციელი, რა თქმა უნდა, ჩაეთვალა ნეიტრალურ ქომაგთა თვალში. აი, მინდორზე კი „რეალის" დღე ნამდვილად არ იყო.

„ფეხბურთი უსამართლო იყო დღეს „რეალის" მიმართ", - ამ სიტყვებით იწყებს მიმოხილვას კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. მართლაც, მეორე ტაიმში **კრიშტიანო რონალდომ** და **ქარიმ ბენზემამ** ორი 100%-იანი მომენტი გაანიავეს, რონალდოს მეკარე **კაბალიერომ** აუღო, ხოლო ბენზემამ ახლო მანძილიდან ააცილა, 85-ე წუთზე კი მსაჯმა **მარსელოს** წაქცევისთვის აშკარა პენალტი არ დანიშნა. მოკლედ, „რეალის" უპირატესობა ცხადი იყო, თუმცა მატჩი 90 წუთს პლუს იმდენი წუთი გრძელდება, რამდენსაც მსაჯი დაამატებს. 91-ე წუთზე კი სანტი კასორლამ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და „მალაგას" ქულა მოუპოვა. „რეალის" გოლზე არ გვითქვამს - 35-ე წუთზე რონალდომ მარცხენა ფრთაზე გაილალა, სამი მცველი მიიზიდა და ბენზემას ბურთი „თავზე დაასვა", ფრანგმა ფაქტობრივად ცარიელ კარში გაიტანა. „რეალის" ოფიციალურმა საიტმა ბენზემა დაასახელა საუკეთესო ფეხბურთელად. ცოტა არ იყოს და, არ ვეთანხმებით!

სანტი კასორლა ლა ლიგაში საუკეთესოდ ასრულებს საჯარიმო დარტყმებს და სიმბოლურიცაა, რომ სწორედ მან შეწყვიტა „რეალის" 11-მატჩიანი გამარჯვებების სერია ლა ლიგაში, „სამეფო კლუბმა" 2012 წელს პირველი ქულები დაკარგა.

ერთი სერია დასრულდა, მეორე ჩვენ თვალწინ დაიბადა - „სევილიასთან" გამარჯვებით „ბარსამ" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო ლა ლიგაში. „ბარსას" ოფიციალურ საიტზე სწორედ დარჩენილი 11 მატჩის განხილვა დაიწყეს, რამდენად რეალურია, რომ სერია დიდხანს გაგრძელდეს? სავსებით!

„ბარსელონაში" ამაყობენ იმით, რასაც ვერც ერთი ტოპ კლუბი ვერ დაიკვეხნის მთელ მსოფლიოში - ამ სეზონში „ლა მასიას" ანუ კლუბის აკადემიის აღზრდილებმა ერთად 111 გოლი გაიტანეს ჯამური 145-დან! შარშანდელი სეზონის მაჩვენებელი 110 გოლი იყო (152-დან), ანუ რეკორდი მოხსნილია.

მადრიდის ლეგენდა **რაული** აღარ არის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ვინაც ლა ლიგაში 150-გოლიან ნიშნულს უწია, ახლა ასეთი 24 წლის **ლიონელ მესია**.

„ბარსელონას" და „რეალის" დარჩენილი მატჩების გრაფიკი. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ „ბარსელონას" უფრო კარგი კალენდარი აქვს, ვიდრე ლიდერს. ასე რომ, კატალონიელთა შანსი არც ისე მიზერულია.

| |
|---|
| ბარსელონა-გრანადა |
| მალიორკა-ბარსელონა |
| ბარსელონა-ბილბაო |
| სარაგოსა-ბარსელონა |
| ბარსელონა-ხეტაფე |
| ლევანტე-ბარსელონა |
| ბარსელონა-რეალი |
| ვალეკანო-ბარსელონა |
| ბარსელონა-მალაგა |
| ბარსელონა-ესპანიოლი |
| ბეტისი-ბარსელონა |

| |
|---|
| ვილიარეალი-რეალი |
| რეალი-სოსიედადი |
| ოსასუნა-რეალი |
| რეალი-ვალენსია |
| ატლეტიკო-რეალი |
| რეალი-სპორტინგი |
| ბარსელონა-რეალი |
| რეალი-სევილია |
| ბილბაო-რეალი |
| გრანადა-რეალი |
| რეალი-მალიორკა |

### მესი vs რონი

კრიშტიანო რონალდომ „მალაგასთან" 1:1 დასრულებულ მატჩში 3-ჯერ დაარტყა კარისკენ, 2-ჯერ ზუსტად. გააკეთა 1 საგოლე პასი, პორტუგალიელი თითოჯერ დაჯარიმდა და მასზე დაჯარიმდნენ.

ლიონელ მესიმ „სევილიასთან" 2:0 მოგებულ მატჩში 3-ჯერ დაარტყა კარისკენ, ერთხელ ზუსტად და გოლიც გაიტანა. ის სამჯერ დაჯარიმდა.

ეს რაუნდი მესიმ მოიგო 1:0 და კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა ჩვენს „ტურნირში" - 17:15 არგენტინელის სასარგებლოდ.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**goal.com 4-3-3**

დუდუ **ავატე** (მალიორკა, 1) - ხავი **ვენტა** (ლევანტე, 2), ალეხანდრო **არიბასი** (რაიო ვალეკანო, 1), ანხელ **დეალბერტი** (ვალენსია, 1), ხორდი **ალბა** (ვალენსია, 3) - **ჩავი** (ბარსელონა, 4), **ხავი ტორესი** (ლევანტე, 1), სანტი **კასორლა** (მალაგა, 1) - ლიონელ **მესი** (ბარსელონა), **დიეგო კოშტა** (რაიო ვალეკანო, 1), რობერტო **სოლდადო** (ვალენსია, 6).

ლიონელ მესი მეთერთმეტედ (!) მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში, რობერტო სოლდადო - მე-6-ედ, ხოლო ჩავი - მეოთხედ. სიმბოლურში 6 დებიუტანტია, მათ შორის სანტი კასორლა, რომელმაც „რეალის" გამარჯვებათა სერია შეწყვიტა.

### ტურის გმირი

**სანტი კასორლა** (მალაგა)

*კითხვა „რატომ"? ვფიქრობთ, აქ ზედმეტია - ტანდაბალმა კასორლამ „რეალის" 11-მატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტა.*

### ტურის ფრაზები

**კრიშტიანო რონალდო**: *„სანერვიულო არაფერია, სეზონი ჯერ არ დასრულებულა - ჩვენ ლიდერები ვართ და ტოპ ფორმაში შევედით"*, - „რეალის" გოლეადორი „მალაგასთან" 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ.


ხოსე მოლინამ რესურსი ამოწურა და ის შეცვალეს

**ჟოზე მოურინიო**: *„მსაჯმა „მალაგას" კარში ორი ძალიან ცხადი პენალტი არ დანიშნა"*, - „რეალის" პორტუგალიელი თავკაცი მატჩის შემდეგ.

**ვიქტორ ვალდესი**: *„ეს გამარჯვება აბიდალს მივუძღვენით"*, - „ბარსას" გოლკიპერი „სევილიასთან" 2:0 გამარჯვების შემდეგ.

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„დაივიწყეთ, ჩვენ ვერ მოვიგებთ ლა ლიგას ამ სეზონში"*, - მაინც სკეპტიკურად არის განწყობილი „ბარსელონას" მესაჭე.

**რობერტო სოლდადო**: *„სან მამესზე" ჰეთ თრიკს ყოველ დღე ვერ შეასრულებ, ამიტომ ეს მიღწევა კიდევ უფრო მახარებს"*, - „ვალენსიას" ფორვარდი ბილბაოში 3 გოლის გატანის შემდეგ.

**ხუან იგნასიო**: *„წინ გიგანტური ნაბიჯი გადავდგით"*, - „ლევანტეს" მწვრთნელი დერბის მოგების შემდეგ.

### ტურის 5 საუკეთესო გოლი

1. **ლიონელ მესი** (ბარსელონა) „სევილიას" კარში (საგოლე პასი: **ანდრეს ინიესტა**)
2. **სანტი კასორლა** (მალაგა) „რეალის" კარში (საჯარიმო დარტყმით)
3. **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა) „სევილიას" კარში (საჯარიმო დარტყმით)
4. **ელდერ პოშტიგა** (სარაგოსა) „ოსასუნას" კარში (საგოლე პასი: **ანხელ ლაფიტა**)
5. **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო) „მალიორკას" კარში (საგოლე პასი: **არდა თურანი**)

### ესპანური ფეხბურთის სისუსტე... მსაჯები

**აიასა გამესი** (რეალი-მალაგა). „მარკა" 4 (10-ბალიანი სისტემით)

***რა დააშავა***: *არ დანიშნა პენალტი მარსელოს წაქცევისთვის.*

### ტურის მსხვერპლი

**ხოსე ფრანსისკო მოლინა** (ვილიარეალის მწვრთნელი)

ვალენსიური დერბის ბოლო წუთია: „ლევანტე" საჯარიმოს ურტყამს, **სუარესმა** დიდებულად შეასრულა საჯარიმო, ბურთი ძელს მოხვდა და კარის ხაზზე გაგორდა და **ხავი ტორესმაც** დაამატა. აი, აქ ამოიწურა „წყალქვეშა ნავის" მწვრთნელის, ხოსე მოლინას ნდობის მანდატიც და მას იქვე, გასახდელში შესვლამდე უთხრეს, რომ თავისუფალია. 22 დეკემბერს ხუან კარლოს გარიდოს ნაცვლად დანიშნული სპეციალისტი 18 მარტს მოხსნეს.

„ვილიარეალის" ხელმძღვანელობა შესაშური ოპერატიულობით მოქმედებს (სხვა გზა არაა, გუნდი კატასტროფის წინაშეა) - გუშინ მოლინას ადგილზე **მიგელ ანხელ ლოტინა** დანიშნეს. 54 წლის სპეციალისტმა უკვე ავარჯიშა ვალენსიური კლუბი და მისი დებიუტი ზეგ „რეალთან" დაპირისპირებაში შედგება. ლოტინა ბოლო 4 სეზონი „დეპორტივოს" წვრთნიდა, რომელიც შარშან ლა ლიგას დაეთხოვა. მას „ესპანიოლის" თავკაცობისას ესპანეთის სამეფო თასი (2006 წ) აქვს მოგებული, 2008 წელს კი „დეპორს" ინტერტოტოს თასი „ჩააბუტა".

### ტურის სტატისტიკა

***შენიშვნა***: *წუხანდელი მატჩი გათვალისწინებული არ არის*

20 გოლი ტურში (2,22 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 2 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 52 ყვითელი და 4 წითელი ბარათი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **რობერტო სოლდადო (ვალენსია)**

დუბლი: **არავინ**

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **იკერ მუნიაინი** (ბილბაო, 19 წლის)

ყველაზე მეტი მაყურებელი: **78 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **9 000 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **22 - ვალენსია**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **9 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **25 - ბეტისი, ვალენსია**

ყველაზე მეტი კუთხური: **10 - ლევანტე, ატლეტიკო**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **7 - ლევანტე**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **65% - ატლეტიკო**

| გრანადა-სპორტინგი | 2:1 |
|---|---|
| საუკეთესო: კარლუშ მარტინში (გრანადა) | |

| სარაგოსა-ოსასუნა | 1:1 |
|---|---|
| საუკეთესო: ელდერ პოშტიგა (სარაგოსა) | |

| ხეტაფე-სოსიედადი | 1:0 |
|---|---|
| საუკეთესო: მიგელ მოია (ხეტაფე) | |

| სევილია-ბარსელონა | 0:2 |
|---|---|
| საუკეთესო: ჟერარდ პიკე (ბარსელონა) | |

| ვალეკანო-ბეტისი | 3:0 |
|---|---|
| საუკეთესო: დიეგო კოშტა (რაიო) | |

| ლევანტე-ვილიარეალი | 1:0 |
|---|---|
| საუკეთესო: ხავი ტორესი (ლევანტე) | |

| მალიორკა-ატლეტიკო | 2:1 |
|---|---|
| საუკეთესო: მიშელ პერეირა (მალიორკა) | |

| ბილბაო-ვალენსია | 0:3 |
|---|---|
| საუკეთესო: რობერტო სოლდადო (ვალენსია) | |

| რეალი-მალაგა | 1:1 |
|---|---|
| საუკეთესო: ლასანა დიარა (რეალი) | |

| ესპანიოლი-რასინგი | 3:1 |
|---|---|

**ესპანიოლი (4-2-3-1)**: კასილია - ხ. ლოპესი, ამატი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, კ. გომესი - ს. გარსია (40. ვეისი), ვერდიუ (69. რომარიკი), კოუტინიო (87. ა. ვასკესი) - კ. უჩე.

**რასინგი (4-2-3-1)**: ტონიო - ფრანსისი, ალვარო, ბერნარდო სუნიგა (46. ტორეხონი), კრისტიანი - გულონი, კოლსა - არანა (69. კენედი), ადრიანი, სამპერიო (60. დიოპი) - სტუანი.

**გოლები**: 0:1 სტუანი (12), 1:1 ვერდიუ (26), 2:1 კოუტინიო (32), 3:1 მორენო (80)

**გაფრთხილება**: გარსია, ვერდიუ, ფორლინი, კოუტინიო - გულონი, ფრანსისი

**გაძევება**: გულონი (50)

**კუთხური**: 6-2; **ჯარიმა**: 15-21; **თამაშგარე**: 8-3; **კარში დარტყმა**: 13-6 (7-3); **ბურთის ფლობა**: 65%-35%.

**მაყურებელი**: 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 27 | 23 | 2 | 2 | 89-24 | 71 |
| 2. ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 77-19 | 63 |
| 3. ვალენსია | 27 | 13 | 8 | 6 | 43-31 | 47 |
| 4. ლევანტე | 27 | 12 | 5 | 10 | 38-37 | 41 |
| 5. მალაგა | 27 | 12 | 5 | 10 | 38-38 | 41 |
| 6. ესპანიოლი | 27 | 11 | 6 | 10 | 35-36 | 39 |
| 7. ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 32-41 | 39 |
| 8. ბილბაო | 27 | 9 | 10 | 8 | 42-37 | 37 |
| 9. ვალეკანო | 27 | 11 | 4 | 12 | 40-43 | 37 |
| 10. ატლეტიკო | 27 | 9 | 9 | 9 | 37-33 | 36 |
| 11. ხეტაფე | 27 | 9 | 8 | 10 | 28-35 | 35 |
| 12. სევილია | 27 | 8 | 9 | 10 | 27-31 | 33 |
| 13. მალიორკა | 27 | 8 | 9 | 10 | 28-33 | 33 |
| 14. სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 12 | 30-37 | 33 |
| 15. გრანადა | 27 | 9 | 4 | 14 | 24-38 | 31 |
| 16. ბეტისი | 27 | 9 | 3 | 15 | 31-41 | 30 |
| 17. ვილიარეალი | 27 | 6 | 9 | 12 | 27-41 | 27 |
| 18. რასინგი | 27 | 4 | 12 | 11 | 22-40 | 24 |
| 19. სპორტინგი | 27 | 6 | 6 | 15 | 25-50 | 24 |
| 20. სარაგოსა | 27 | 4 | 7 | 16 | 22-50 | 19 |

**ბომბარდირები**: 32 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 31 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - გონსალო იგუაინი (რეალი), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 15 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 14 - ქარიმ ბენზემა (რეალი); 13 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), მიჩუ (რაიო ვალეკანო).

**ასისტენტები**: 13 - ანხელ დი მარია (რეალი), მესუთ ოზილი (რეალი); 9 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 8 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი), დანი ალვეში (ბარსელონა); 7 - კარლოს ველა (რეალ სოსიედადი), რაულ გარსია (ოსასუნა).

**ზამორას ტროფეი**: 0,7 (გოლი/მატჩში) - ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა); 0,88 - იკერ კასილიასი (რეალი); 1,08 - ტიბო კურტუა (ატლეტიკო); 1,14 - ხავი ვარასი (სევილია); 1,24 - ვილი კაბალიერო (მალაგა).

### მომდევნო ტური

**დღეს**

| ოსასუნა-ხეტაფე | 23:00 |
|---|---|
| ბარსელონა-გრანადა | 00:00 |

21 მარტი: სპორტინგი-მალიორკა, ატლეტიკო-ბილბაო, ვალენსია-სარაგოსა, რეალ სოსიედადი-ლევანტე, ვილიარეალი-რეალი.

22 მარტი: რასინგი-სევილია, ბეტისი-ესპანიოლი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინგლისი. ასოციაციის თასი. 1/4-ფინალები. გამოხმაურება

# დიდხანს გელოდით

## ელ ნინიოს აფეთქება: 2 გოლი და 2 საგოლე პასი


ფერნანდო ტორესი

კვირა საღამოს "ლივერპული"-"სტოკ სიტის" დასრულების შემდეგ ასოციაციის თასის 1/2-ფინალური წყვილების კენჭისყრა შედგა. ამ ეტაპზე მხოლოდ ორი გუნდის სახელია ცნობილი. "უემბლიზე" მოსახვედრად "ლივერპული" "სანდერლენდისა" და "ევერტონის" წყვილის გამარჯვებულს შეხვდება, "ჩელსი" კი "ტოტენჰემსა" და "ბოლტონს" შორის უძლიერესს. აღნიშნული მატჩები 14-15 აპრილს გაიმართება. ზემოთ ნახსენებ პირველ 1/4-ფინალურ წყვილს შორის მატჩი ფრედ დასრულდა (1:1). გამარჯვებულს ისინი 28 მარტს "სტედიუმ ოფ ლაითზე" გამოავლენენ. მეორეს შორის დაპირისპირება კი ფაბრის მუამბასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის გამო გადაიდო. ამ მოვლენამ საფეხბურთო ასოციაციას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას. "ტოტენჰემი" და "ბოლტონი" მატჩს თავიდან დაიწყებენ. "უაით ჰართ ლეინის" შეხვედრა შეიძლება ფრედ დასრულდეს, ასე რომ, ჩინოვნიკებს გადათამაშების საჭიროების შემთხვევაში დამატებით ერთი დღის გამონახვა მოუწევთ. აქვე შეგახსენებთ, რომ 1/2-ფინალში გადათამაშება უკვე აღარ იქნება. მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი ტაიმები და შემდეგ პენალტების სერია.

### ჩელსი და ელ ნინიო

"ჩელსიში" ასეთ **ფერნანდო ტორესს** დიდხანს ელოდნენ. "ლესტერთან" შეხვედრაში ესპანელმა დუბლის გარდა ორი შედეგიანი გადაცემაც მიითვალა. მე-18 წუთზე **კალუს** გაატანინა, 90-ეზე - **მეირელეშს**. "მელიებთან" შეხვედრამდე "ელ ნინიოს" უკანასკნელი გოლი 5 თვის წინ ჰქონდა გატანილი (24.09.2011. სუონსი 4:1), რამაც, სუფთა სათამაშო დროს თუ დავითვლით, 25 საათი და 41 წუთი შეადგინა. *"ეს გოლები ძალიან მჭირდებოდა. ამისთვის რომ მიმეღწია, ძალიან ბევრს ვშრომობდი. თავდამსხმელის საქმე მუდამ ასეა. შრომობ და თუკი რეგულარულად ვერ იტან, ხალხი ფიქრობს, რომ შენ ცუდად თამაშობ. ამ წუთას უკვე ვგრძნობ მწვრთნელის მხარდაჭერას,"* – განუცხადა ESPN-ს ფერნანდო ტორესმა.

თავისი თავდამსხმელით ძალიან კმაყოფილი დარჩა "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო დი მატეო**. აი, რას ამბობს ის: *"ფეხბურთელებს ყოველი გამარჯვება ულრმავებს საკუთარი ძალების რწმენას. მიმაჩნია, რომ ფერნანდომ ფანტასტიკური თამაში ჩაატარა. მან გუნდისთვის ბევრი იმუშავა და თანაც დუბლი შეასრულა. მისი წარმატება კლუბშიც და გულშემატკივრებშიც ყველას ერთნაირად ახარებს. მე მისიც მჯერა და ჩემი სხვა ფეხბურთელებისაც. ვინც ბევრს მუშაობს, ცხოვრება მათ ოდესმე აუცილებლად აჯილდოებს ამისთვის. ძალიან კმაყოფილი ვარ მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა კარი მშრალად შეგვენახა და ეს არ გამოგვივიდა. კმაყოფილი ვარ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დღეს ერთიანი გუნდის თამაში ვნახე, რაც შედეგზეც აისახა.*

*გამარჯვების დღესასწაულად გადაქცევისა და აღნიშვნის დრო არ გვაქვს, რადგან შუა კვირაში ჯერ "მანჩესტერ სიტისთან" მატჩი გველის, მერე - "ტოტენჰემთან". აუცილებელია, რომ ახლა ამ მატჩებისკენ მივმართოთ მაქსიმალური ყურადღება. მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, რომ "ჩელსის" თამაშის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი შემაქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს ყველაფერი მხოლოდ ფეხბურთელთა შრომისმოყვარეობის დამსახურებაა".*

*"ცხოვრება თავად გავირთულეთ. თამაშამდე ერთადერთი მიზანი გვქონდა, "ჩელსისთვის" მაქსიმალური პრობლემები შეგვექმნა, თუმცა ამ ამოცანის შესრულებას თავი ვერ გავართვით. გასაგები იყო, რომ რთული შესასრულებელი იყო, მაგრამ უფრო მეტი უნდა გვემოძრავა. განსაკუთრებით ცუდი ის არის, რომ ორი გოლი სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების შემდეგ გავუშვით. მეტოქის კართან რამდენიმე კარგი მომენტი შევქმენით. ისეთ შეცდომებს კი, როგორიც ჩვენ დავუშვით, ასეთი ძლიერი მეტოქე არ გვაპატიებდა,"* – განაცხადა "ლესტერის" მთავარმა მწვრთნელმა **ნაიჯელ პირსონმა**.

### თამაში ჰილსბოროს წლისთავზე?

"ლივერპულმა" ნახევარფინალის საგზური **ლუის სუარესისა და სტიუარტ დაუნინგის** გოლების წყალობით მოიპოვა. ჯერ თამაშს, შემდეგ კი კენჭისყრის პროცედურას დიდი დაღი დაასვა რამდენიმე საათით ადრე "უაით ჰართ ლეინზე" მომხდარმა ტრაგედიამ. ყოველივე ამის თაობაზე "მეფე კენიმ" ბრძანა: *"ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამხელა შოკი მიიღეს ფაბრის მუამბას ოჯახის წევრებმა და მისმა მეგობრებმა. როგორც ყველა, მეც იმედს ვიტოვებ, რომ ის უახლოეს მომავალში გამოჯანმრთელდება. დღეს მას გვერდით უდგას მთელი საფეხბურთო სამყარო. გულშემატკივართა საოცარი მხარდაჭერა ამის ნათელი დადასტურებაა.*

*ჩვენს თამაშს რაც შეეხება, ის მშვენიერი იყო ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. ბურთის კონტროლი ჩვენი მხრიდან იდეალური არ ყოფილა, მაგრამ ის, თუ როგორ ვიბრძოდით მის დასაუფლებლად, სამაგალითოდ მიმაჩნია. ურთულესი თამაში აღმოჩნდა. "სტოკმა" ისეთი ტემპი შემოგვთავაზა, რომ ერთი პირობა ამასთან შესაგუებლად გადაწყობაც კი მოგვიხდა. მიუხედავად იმისა, რომ რეინა მაინცდამაინც დაკავებული არ იყო, დაცვაში მაინც უამრავი პრობლემა შეგვექმნა.*

*ვიცით, რომ "სანდერლენდსა" და "ევერტონს" შორის გამარჯვებულს შევხვდებით. გარწმუნებთ, მთელი მერსისაიდი "ევერტონის" გასვლას დაელოდება, თუმცა ვისაც არ უნდა შევხვდეთ, თამაში ძალიან დაძაბული იქნება. მატჩები 14 ან 15 აპრილს მოგვიწევს. 15 ჰილსბოროს ტრაგედიის წლისთავია. იმედია, უეფასა და ასოციაციაში ანგარიშს გაგვიწევენ და ამ დღეს ჩვენს თამაშს არ დანიშნავენ. ამ ტრაგიკული დღის შემდეგ წლისთავზე არასოდეს გვითამაშია და ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა დავუშვათ გამონაკლისი წელს.*

თამაშის შემდეგ ფეისბუქის გვერდზე კომენტარი გააკეთა **ლუის სუარესმა**: *"ჩემს გოლს და "ლივერპულის" გამარჯვებას ფაბრის მუამბას ვუძღვნი. მინდა მას მივმართო – იბრძოლე, მეგობარო, იბრძოლე! ვიცი, შენ ამას შეძლებ"!*

"სტოკ სიტის" თავდამსხმელმა, ექსლივერპულელმა **პიტერ კრაუჩმა** კი ჟურნალისტებთან გასაუბრება არ დაიზარა. აი, რა უთხრა მან "ტრიბალფუტბოლს": *"ენდი კეროლს ჩემი რჩევები ნამდვილად არ სჭირდება. ის დიდი ტალანტია და უმჯობესია, თუკი ჭკუას საკუთარ შეცდომებზე ისწავლის. ის სწორედ ასე იქცეოდა "ნიუკასლში". ვფიქრობ, თავის პოტენციალს "ენფილდზე" ის ჯერ კიდევ წარმოაჩენს და ასეთ შემთხვევაში გულშემატკივრები ბევრად უფრო მეტად შეიყვარებენ. უფრო დიდ მხარდაჭერას, ვიდრე "ლივერპულის" ფანებისგან შეიძლება ელოდოს, ის ვერსად მიიღებს. მე დღემდე მადლობელი ვარ მათი ყველაფრისთვის. იმედი მაქვს, თავის დროზე მათი ნდობის რაღაც ნაწილი მაინც გავამართლე. ისინი, უბრალოდ შეუდარებლები არიან".*


ლუის სუარესმა გოლი ფაბრის მუამბას მიუძღვნა

ტრაგედია


ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაბრის მუამბას გულშემატკივრებიც ამხნევებენ

# მუამბას ქვეყანა გვერდით დაუდგა

**ფაბრის მუამბას** მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალიან მძიმეა. 23 წლის ფეხბურთელი აგრძელებს ბრძოლას სიცოცხლისთვის. "ლონდონ ჩესტ ჰოსპიტალის" ექიმების განცხადებით, ლეტალური შედეგის დადგომის შანსი მცირეა, მაგრამ ის ჯერ კიდევ არსებობს. "ბოლტონის" ნახევარმცველის გამხნევებას ლამის მთელი ქვეყანა თავის მორალურ ვალდებულებად მიიჩნევს. ბოლო ცნობით, მუამბამ ფეხებისა და ხელების ამოძრავება დაიწყო.

"ჩელსის" მცველმა **გარი კეჰილმა**, ვინც "სტემფორდ ბრიჯზე" იანვარში სწორედ "ბოლტონიდან" გადავიდა, მხარდაჭერა ყოფილ თანაგუნდელს სხვაგვარად გამოუცხადა - "ლესტერთან" შეხვედრის მე-12 წუთზე გატანილი ბურთი მან სწორედ ფაბრისს მიუძღვნა. შიდა მაისურზე მას წარწერა ჰქონდა გაკეთებული, რომელიც მთელ მსოფლიოს ფეხბურთელის ჯანმრთელობისთვის სალოცავად მოუწოდებდა. *"გოლის გატანა ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო იყო, რადგან იქამდე თამაშზე კონცენტრირება მიჭირდა. ეს ის შემთხვევა იყო, როცა უბრალოდ ვალდებული ვიყავი ჩემი საქმე გამეკეთებინა, ჩემი ფიქრები რეალურად სხვა ადგილას და სხვა ადამიანს დასტრიალებდა თავს,"* – აცხადებს კეჰილი.

*"ფაბრისი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ის საუკეთესო ადამიანია. მას იუმორის განსაკუთრებული გრძნობა და კეთილი ღიმილი აქვს. მასთან ურთიერთობა ძალიან ადვილია. ამ ვითარებაში, რაშიც ჩვენ ჩავვარდით, ფეხბურთისთვის აღარავის სცხელა,"* – განაცხადა "ბოლტონის" მთავარმა მწვრთნელმა **ოუენ კოილმა**.

უახლოესი 24 საათის განმავლობაში "ბოლტონის" ხელმძღვანელობა საფეხბურთო ასოციაციასთან კონსულტაციების შემდეგ აუცილებლად გადაწყვეტს, რამდენად ულირს ინგლისის თასის გათამაშებაში შემდგომი მონაწილეობა. სამწვრთნელო შტაბს უჭირს ფეხბურთელების დათანხმება, რომ ისინი მეორედ გავიდნენ "უაით ჰართ ლეინის" მინდორზე და "ტოტენჰემს" ხელახლა დაეჭიდონ. დღეს ბირმინგემის "ვილა პარკზე" გასამართი შეხვედრა "ასტონ ვილას" წინააღმდეგ უკვე გადაიდო. მეტიც, "ბლექბერნის" ხელმძღვანელობის ინიციატივით, თუკი "ბოლტონი" ამას მოისურვებს, "ვარდები" მზად არიან, 24 მარტისთვის დანიშნული 30-ე ტურის შეხვედრაც მოგვიანებით შედგეს. *"ბლექბერნი" ნებისმიერ წინადადებაზე ულაპარაკოდ დათანხმდება. რამდენი დროც არ უნდა დასჭირდეს ჩვენს მეტოქეს გონზე მოსასვლელად, მზად ვართ იმდენი ხანი დავიცადოთ. ახლა მთავარია ფაბრისი იყოს უკეთ. იმედია, უახლოეს საათებში საავადმყოფოდან საუკეთესო ამბებს შევიტყობთ,"* – განაცხადა **სტივ კინმა** კლუბის სახელით.

შანსი, რომ კლუბი თასის გათამაშებიდან მოიხსნას, ნამდვილად არსებობს. ინგლისური პრესა წერს, რომ ფეხბურთელის თავს დატრიალებულმა შემაძრწუნებელმა ამბავმა ლამის ყველაფერი დაჩრდილა: ის, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" "სიტის" უკვე 4 ქულით გაასწრო; ის, რომ 5-თვიანი პაუზის შემდეგ შეძლო თავის გამოჩენა **ფერნანდო ტორესმა**. 23 წლის მოთამაშის ფოტო გაზეთების პირველი გვერდებიდან არ ჩამოდის.

და იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა ფეხზე დგას და გაფაციცებით ელოდება ინფორმაციებს ფეხბურთელის ჯანმრთელობის შესახებ, ქალაქ სუონსის პოლიციამ დააკავა 21 წლის ახალგაზრდა, რომელიც ტვიტერის გვერდზე მუამბას რასისტული ხასიათის შეურაცხყოფა ედება ბრალად.

ამბები

### ტოტენჰემელები კარდიოტესტს გაივლიან

ბრიტანული გაზეთების ცნობით, "ტოტენჰემის" ყველა ფეხბურთელი დამატებით კარდიოტესტს გაივლის, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი უბედური შემთხვევა, რაც "ბოლტონის" 23 წლის ნახევარმცველ **ფაბრის მუამბას** დაემართა. თავდაპირველად ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ასეთი ტესტებისთვის სამედიცინო შტაბი ფეხბურთელებს თავად აარჩევდა, მაგრამ დამატებითი გამოკვლევის ჩატარების სურვილი ყველამ განაცხადა.

### ჩელსი და ბაჯო?

ბრაზილიური "ფლამენგოს" 17 წლის ვუნდერკინდმა **დუგლას ბაჯომ** რამდენიმე ევროპული გრანდის ინტერესი მიიპყრო - მათ შორის არიან "ჩელსი", "ნაპოლი", "რეალი" და "ინტერი". ბაჯო 1995 წელს არის დაბადებული და ამჟამად "ფლას" 19-წლამდელთა გუნდის თავდასხმის ლიდერად მიიჩნევა. კლუბი უარს აცხადებს ფეხბურთელის ტრანსფერზე მოლაპარაკებები აწარმოოს იქამდე, ვიდრე ის სრულწლოვანი არ გახდება. 18 წლისა კი ის 2013 წლის თებერვალში სრულდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ქართული სპორტი

ძიუდო. ევროპის თასი ჭაბუკებში

# ქართველებმა ანთალია გაძარცვეს

## 14 მედლით თურქეთიდან

ამუქმეებზე ანთალიაში დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა ევროპის თასი, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა 2 ოქრო, 5 ვერცხლი და 7 ბრინჯაო მოიპოვეს. აქედან 2 ბრინჯაო გოგოების მონაგარია, დანარჩენი - ბიჭებისა. ჩემპიონები **ბექა ნათათრალიშვილი** (55) და **ზაზა მეგრელიშვილი** (66) გახდნენ, ვერცხლის მედლები **ერეკლე არხოზაშვილმა** (55), **კობა მჭედლიშვილმა** (60), **ბაჩანა ბოლქვაძემ** (66), **დავით რამაზაშვილმა** (90) და **ზაზა გოჯიაშვილმა** (+90) მოიპოვეს, მესამე პრიზიორები კი **ირაკლი კუპატაძე** (50), **გიორგი კაციაშვილი** (55), **ნიკა მოველიძე** (81), **გიორგი გველესიანი** (90) და **გიორგი ძებისაშვილი** (+90) არიან.

ეს ტურნირი ერთ-ერთი შესარჩევი ეტაპია ეროვნული ნაკრების დასაკომპლექტებლად. ამ მიზნით ჭაბუკებმა უკვე ჩაატარეს რამდენიმე შიდა შეჯიბრება, რომელთაგანაც უმთავრესი საქართველოს პირველობა იყო. ანთალია ჩვენებურთა კალენდარში სეზონის პირველი უცხოური შეჯიბრებაა, სადაც მწვრთნელებმა ქვეყნის პირველობის თითქმის ყველა მედალოსანი წაიყვანეს, თუმცა უარი არც იმ რამდენიმე ფალავანს უთხრეს, ვინც საკუთარი ხარჯით მოისურვა წასვლა.

ტრადიციულად, ანთალიის ტურნირი ამჯერადაც ძლიერი შემადგენლობისა გამოდგა და მით უფრო სასიხარულოა ჩვენებურთა ასეთი კარგი გამოსვლა. როგორც ვხედავთ, ორ წონაში - 55-სა და 66-ში სულაც ქართული ფინალი გაიმართა. პირველში ნათათრალიშვილმა არხოზაშვილი დაამარცხა, მეორეში კი მეგრელიშვილმა ბოლქვაძეს სძლია.


ზაზა მეგრელიშვილი

### კონკურენცია და მწვრთნელთა საფიქრალი იზრდება

ამ ტურნირის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა კონკურენცია 55-ში. ანთალიაში ნათათრალიშვილმა ბელარუს **იაუჰენი პისარენკასთან**, სომეხ **არსენ გევორქიანთან**, რუს **ვილი ბაგადტინოვთან** და აზერბაიჯანელ **რამინ ალაკბაროვთან** წმინდა მოგების მერე ნახევარფინალში კაციაშვილს მოუგო. თანაგუნდელი დაინდო თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ მას მხოლოს იუკოთი აჯობა, რითაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალში წაგებისთვის რევანში აუღო. მან არხოზაშვილსაც იუკოთი აჯობა, რაც ამ სეზონში უკვე მეორედ მოხდა - ქვეყნის პირველობაზე ნახევარფინალშიც მოუგო. ეს წლეულს მათი მესამე შეხვედრა იყო - სულ პირველში, გორში გამართულ შიდა სარეიტინგო ტურნირში არხოზაშვილმა აჯობა, რომელმაც ახლაც კარგად იჭიდავა ანთალიაში და თავიდან სამი იპონი მიითვალა - აზერბაიჯანელ **რაუფ ხალილოვთან**, მასპინძელ **ჰაკან ასლანთან** და რუს **რუსტამ ბაბუჩიევთან**, მეორე რუსს, მომავალ ბრინჯაოსმედალოსან **საბუხი გაჯიევს** კი გაფრთხილებებით აჯობა ნახევარფინალში. კაციაშვილს შედარებით გაუჭირდა, თუმცა საქართველოს ჩემპიონობის გარდა მის წლევანდელ აქტივში გორის ტურნირის მოგებაცაა. ამ წონაში მაინც ეს სამეული გამოიკვეთა. ახლა საკითხავი მხოლოდ ისაა, ვინ მოხვდება ევროპაზე წამსვლელ დუეტში. აქვე დავძენთ, რომ კაციაშვილი შარშან 50-ში ჭიდაობდა და ამ წონაში ახალი გადმოსულია, ადაპტაცია კი გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

ანთალიის ტურნირმა საქართველოს ჩემპიონატის შედეგი 66-შიც თავდაყირა დააყენა, რადგან იქ ბოლქვაძემ მოუგო მეგრელიშვილს. თუმცა აქ რევანში ბოლქვაძის ტრავმამ განაპირობა - ამჯერადაც იგებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელი მოიტეხა და ამიტომ ვერც კვარცხლბეკზე ავიდა. ამ წონაში ქვეყნის პირველობის სხვა მედალოსნებმა თავი ვერ გამოიჩინეს. ბრინჯაოს მედალოსანთაგან **ჯემალ ბუჩუნტელი** პირველივე შეხვედრაში დამარცხდა, **გიგა გიგაურს** კი ბოლქვაძემ მოუგო და მერე სანუგეშოშიც მხოლოდ ერთხელ იმარჯვა. ამ წონაში ვერც საკუთარი ხარჯით წასულმა ფალავნებმა - **ზვიად მრელაშვილმა** (ამან მეგრელიშვილთან წააგო), **ლევან ბექაურმა** და **ვაჟა ქოროღლიშვილმა** გამოიჩინეს თავი. ამიტომ არაა გამორიცხული, მეგრელიშვილ-ბოლქვაძის დუეტს საევროპოდ კონკურენტი არც გამოუჩნდეს. შეგახსენებთ, რომ ბოლქვაძე შარშანაც გამოდიოდა ამ ნაკრებში და ევროპაზე მერვედფინალში აზერბაიჯანელ მომავალ ფინალისტ **ისკანდერ ტალიშნისკისთან** წააგო, ამ წონაში კი კონტინენტის ჩემპიონი **ვანო მამისაშვილი** გახდა, რომელიც უკვე გადავიდა ახალგაზრდებში. მეგრელიშვილი გორის ტურნირის ჩემპიონი და ამ წონაში შიდა რეიტინგის ლიდერია.

### ჩემპიონთა უჩემპიონობა

ანთალიური ტურნირის სხვა მედალოსანთაგან კუპატაძე, მჭედლიშვილი, რამაზაშვილი და ძებისაშვილი საქართველოს ჩემპიონები არიან, გოჯიაშვილი - მეორე პრიზიორია, მოველიძე და გველესიანი - მესამე. ბრინჯაოს მედლამდე ერთი მოგება დააკლდა ქვეყნის კიდევ ერთ ჩემპიონ **ვანო ჩურჩხელაშვილს** (73).

როგორც ეტყობა, 50 კილოგრამი წლეულსაც ერთ-ერთი ყველაზე სუსტი იქნება ჩვენს ნაკრებში, სადაც შარშან ჩავარდნა გვქონდა. კუპატაძე თურქეთში ნახევარფინალში აზერბაიჯანელ **სადიგ გურბანოვთან**, დამამშვიდებლის ფინალში კი რუს **პაილაკ გალოიანთან** მძიმე ბრძოლა მოიგო - ორივემ თითო ვაზარი მიითვალა, თუმცა კუპატაძემ მეტოქე ორჯერაც გაარფთხილებინა.

კარგად იჭიდავა მჭედლიშვილმაც - ბრიტანელ **გეორგ გულუმს** წმინდად აჯობა, აზერბაიჯანელ **ბაირამ ჰუსეინოვს** ვაზარ-იუკო აართვა, თურქ **რეცეპ კილინჩს** - ვაზარი და იპონი, **ბექა შინჯიკაშვილს** მომგები რუსი **სამველ ჩაკრა** კი დააიპონა. ფინალი აზერბაიჯანელ **ჰიდაიატ ჰეიდაროვთან** იუკოთი დათმო. შეგახსენებთ, რომ მჭედლიშვილი გორში მეორეზე გავიდა და ჯერჯერობით რეიტინგის ლიდერიცაა.

### თაობათა ცვლაც ვერაფერს აკლებს

ეტყობა, ზედა ორი წონა წლეულსაც ძლიერი გვეყოლება იმის მიუხედავად, რომ აქ თაობათა ცვლა მოხდა. მაგალითად, 90-დან ახალგაზრდებში გადავიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი **გურამ თუშიშვილიც** და ვიცე-ჩემპიონი **შალვა ჩოჩელიც**. მძიმეში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გიორგი ლაზუაშვილი კი დარჩა, მაგრამ ამჯერად არ უჭიდავია და თან შარშანდელებიდან სხვებიც წავიდნენ. ამჯერად 90-ში რამაზაშვილმა საქართველოს პირველობის შედეგი ვერ გაიმეორა, მაგრამ შიდა კონკურენციაში ფავორიტის იმიჯი კი გაიმყარა. მით უფრო, თურქ **სამეტ დედემლისთან** ვაზარიპონით მოგების შემდეგ მეორე წრეში საქართველოს ჩემპიონატის ფინალში დანამარცხებ თანაგუნდელ **მიხეილ ახალაურსაც** აჯობა წმინდად. მან ნახევარფინალში რუსი პაველ ნოვიკოვიც იოლად დაჯაბნა, ფინალში კი რუსთა ქართველ **კარლენ ფალიანთან** წააგო, ვინც მანამდე გველესიანსაც მოუგო. არადა, იმ შეხვედრაში მეტოქეებს თითო ვაზარი ჰქონდათ, გველესიანი კი მანამდეც იპონებით მივიდა - აზერბაიჯანელი **მაჰამად მახარამოვი**, თურქი **ფურკან კილიცარსლანი** და რუსი **ალექსანდრ ვორობიოვი** ბეჭებით გააკრა ტატამზე.


ბექა ნათათრალიშვილი

მძიმე წონაში შიდა ტურნირებზე ძებისაშვილი სულ უგებს გოჯიაშვილს - საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც აჯობა და გორშიც, თუმცა ამჯერად ანთალიაში ნახევარფინალში რევანში შედგა. აქ ორივემ ორ-ორი გაფრთხილება მიიღო, ამის შემდეგ კი გოჯიაშვილმა იპონი მიითვალა. ფინალში ის **მოჰამედ ხასიევთან** დამარცხდა, ძებისაშვილმა კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ქვეყნის მესამე პრიზიორ **ბაქარ კუხიანიძეს** წმინდად აჯობა. კუხიანიძე თურქ **თურან კირილდოლანთან** სუფთა გამარჯვების შემდეგ ხასიევთან დამარცხდა, დამამშვიდებელში კი თანაგუნდელ **გიორგი ფარადაშვილს** მოუგო.

### ნაძვის ხის ნახტომი

ჭაბუკთა ნაკრებში შარშან ნამდვილი კოზირი გვყავდა — **ბექა ლვინიაშვილი**, რომელმაც მოიგო ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, თუმცა ახლა ისიც ახალგაზრდებში გადავიდა. ანთალიაში ამ წონაში რუსმა **მიხაილ იგოლნიკოვმა** იმარჯვა, რომელიც ევროპის შარშანდელი ჩემპიონია, ოღონდ... 66 კილოგრამში და ცოტა გასაკვირია, ერთ წელიწადში ამხელა ნახტომი, ერთბაშად ორი წონით ზევით გადასვლა. თურქეთში მან **ელდარ მესხიშვილი** დაგვიმარცხა, მოველიძემ კი პირველივე წრეში წააგო და მერე დამამშვიდებელში იყოჩაღა - ოთხივე შეხვედრა წმინდად მოიგო.

### ჯანაშვილის მეორე თურქული

გოგოების ტურნირში ამჯერად მხოლოდ ოთხი ძიუდოისტი გამოდიოდა, ბრინჯაოს მედლები კი **მარიამ ჯანაშვილმა** და **გურანდა შოთაძემ** (ორივე - 57) მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ჯანაშვილი შარშან იქ ჩემპიონი გახდა. ამ წონაში მაშინაც ორი მედალი მოვიპოვეთ - **მარიამ ციხელაშვილი** მესამეზე გავიდა.

ჯანაშვილი ამჯერად მეოთხედფინალში რუს **კარინა ბოლოტოვასთან** დამარცხდა, მანამდე კი ორი იპონი მიითვალა - აზერბაიჯანელ ფარიდა ჰასანხანოვასთან და თურქ **ემინე ტოკდემირთან**. დამამშვიდებელშიც სამი წმინდა მოგება ჩაიწერა აქტივში - თურქ **მონე გოკოზთან**, ხორვატ **დორა მინალიევიჩთან** და ისევ მასპინძელ **აისეგულ ილმაზთან**, ვინც პირველივე წრეში შოთაძეს მოუგო. ჯანაშვილს რევანშისთვის მადლობა შოთაძემაც ანალოგიურად გადაუხადა, როცა ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ბოლოტოვა დააიპონა, მანამდე კი მასპინძლებს - **დენიზე ილმაზსა** და **მელიკე ბაკალოღლუსაც** ახეხვინა მშობლიური ტატამი.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ნაკრები

# იაპონიიდან კორეაში

## რიგში გერმანია-მონღოლეთია - ძიუდოისტების მორიგი ევროკრუიზი

კვირას საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები იაპონიიდან კორეაში გადავიდა და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას სეულში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენები იაპონიაში თებერვლის ბოლოს გაემგზავრნენ. ნაკრების ავსტრიელმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** იქ 14 ძიუდოისტი წაიყვანა: **ბეთქილ შუკვანი**, **ამირან პაპინაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა**, **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი**, **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ბექა ღვინიაშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ზურაბ ზვიადაური** (ორივე - 90), **ლომერ ყორყოლიანი**, **ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ზვიად ხანჯალიაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (სამივე - +100), რომლებსაც მოგვიანებით **ავთანდილ ჭრიკიშვილი** და **ლევან წიკლაური** (ორივე - 81) დაემატნენ. ისინი იაპონიაში წასვლამდე პრაღის ტურნირზე დაშავდნენ და გამოსაკვლევად თბილისში დაბრუნდნენ. საბედნიეროდ, ტრავმები არც იმდენად სერიოზული აღმოჩნდა და ნაკრებს შეუერთდნენ.

გუნდი ტოკიოში თავდაპირველად იაპონიის ნაკრებთან ერთად ემზადებოდა, მოგვიანებით კი ერთობლივ შეკრებაზე გადაინაცვლა, სადაც მასპინძლებთან თუ სხვა ლიდერ აზიურ გუნდებთან ერთად წამყვანი ევროპული ქვეყნები - საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია და სხვებიც მონაწილეობდნენ, თანაც - უძლიერესი შემადგენლობებით. მაგალითისთვის, ფრანგთაგან მძიმეწონოსანი **ტედი რინერიც** ვარჯიშობდა.

წინასწარი შეთანხმებით, ჩვენებს სეულში მასპინძელთა მთავარ ნაკრებთან ერთად ერთი კვირა უნდა ევარჯიშათ, თუმცა კორეელთა პრობლემების გამო, შესაძლოა, ეს ვადა 1-2 დღით შემცირდეს. ეს საკითხი ადგილზე გადაწყდება. შეკრების დამთავრების შემდეგ გუნდი თბილისში დაბრუნდება. რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიაში გაემგზავრება შეკრებაზე, იქიდან - მონღოლეთში, მერე ისევ საქართველოში გაივლის ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით შეკრებას, დასრულებისთანავე კი ჩელიაბინსკში გადაფრინდება კონტინენტის პირველობაზე.

მოკლედ, ზაიზენბახერი ახლაც იმავეს აკეთებს, რაც მსოფლიოს პირველობის წინ გააკეთა, როცა ნაკრები ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე ევრაზიულ კრუიზში ატარა (ევროპირველობა 26-28 აპრილს იმართება). საწყისი პუნქტი მაშინაც ევრაზიის უკიდურესი აღმოსავლეთი იყო - იაპონიით დაიწყო და პარიზით დაამთავრა. იმ ბედუინობის შედეგი მსოფლიოზე კარგად გამოჩნდა. უცნაურია, რატომ არ დაიგეგმა კორეიდან პირდაპირ მონღოლეთში გადასვლა და მერე წამოსულიყვნენ გინდ გერმანიაში, გინდ - საქართველოში. შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობა ბოლო სალიცენზიო ტურნირია. ჩვენს ნაკრებს 6 საგზური უკვე განაღდებული აქვს. ერთადერთი წონა, სადაც ლიცენზია ჯერ არ მოგვიპოვებია, 66 კილოგრამია, თუმცა იქაც დიდი შანსია, ევროპული კვოტით მივიღოთ. საამისოდ საჭიროა, შავდათუაშვილმა ლატვიელ **დენის კოზლოვსზე** მინიმუმ, ერთი წრით მეტი გაიაროს. ცხადია, არის სხვა ვარიანტებიც, მაგალითად, ბევრის განსაზღვრა შეუძლია სხვა რეგიონების პირველობებს, დიდად ვართ დამოკიდებულნი ისრაელის ნაკრებზე და ასე განსაჯეთ, 73 კილოგრამში განვითარებულ მოვლენებზეც, მაგრამ ყველაზე რეალური გზაა, კოზლოვსს ვაჯობოთ და ჩვენი სიძლიერით დავიმსახუროთ ოლიმპიადაზე გამოსვლა.

**ირაკლი თავაძე**

სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

# გაგამარუმ ყველა უნდა მოიგოს

ელიტის ყველაზე მძიმე ფალავანმა, 210-კილოგრამიანმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** დასავლეთის სეკივაკე **ამინიშიკი** დაამარცხა მძლავრი ოშიდაშით. გაგამარუს 2-7 ბალანსი აქვს და კომუსუბის ტიტულის შესანარჩუნებლად ყველა დარჩენილი ორთაბრძოლა უნდა მოიგოს, დღეს მისი მეტოქე მონღოლი **ტოკიტენკუა**.

**ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ძალიან ცუდად ასპარეზობს და აი, ლოგიკური შედეგიც - გუშინ მან მე-8, გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო და აუცილებლად დაქვეითდება რანგში. არადა, ტოჩინოშინმა წააგო სუმოისტთან, რომელსაც აქამდე ერთი გამარჯვებაც არ ჰქონდა მოპოვებული - **კიოკუტენჰოსთან**.


მარჯვნივ - ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

გუშინ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** 8-მოგებიანი სერია შეწყვიტა, მან ისევ თანამემამულე **კაკურიუსთან** წააგო (როგორც იანვრის ბაშოზე). ამ ორის გარდა 8-8 გამარჯვება ესტონელ **ბარუტოსა** და რიგით მაეგაშირა **შოტენროს** აქვთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**IX დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): კაკურიუ-ჰაკუჰო (იორიკირი), კოტოოშუ-კისენოსატო (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ტოჩინოვაკა (იორიკირი), ბარუტო-ტოიონოშიმა (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-არანი (იორიკირი), **გაგამარუ**-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოჩიოძანი-ტოკიტენკუ (ოშიდაში), იოშიკაძე-მიოგირიუ (ჰიკიოტოში), კიოკუტენჰო-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ვაკაკოიუ-ჩიონოკუნი (ჰატაკიკომი). ძურიო: ჩიოოტორი-კოკაი (ოშიტაოში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**8-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ბარუტო (ოძეკი), კაკურიუ (სეკივაკე), შოტენრო (მაეგაშირა 16).
**7-2:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), ტაკაიასუ (მ 7)... **2-7:** გაგამარუ (კომუსუბი)... **1-8:** ტოჩინოშინი (მ 3).

**X დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ბარუტო-ამინიშიკი, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, ბარუტო-ტოჩიოძანი, მიოგირიუ-კისენოსატო, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, კაკურიუ-ტოჩინოვაკა, **გაგამარუ-ტოკიტენკუ**, კიოკუტენჰო-იოშიკაძე, **ტოჩინოშინი**-ჰომაშო, ტაკაიასუ-არანი. **ძურიო: კოკაი-ოივატო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

# გეოგრაფია იზრდება, ოსტატობა მაღლდება

გასულ უქმეებზე საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" 1996 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის ორი ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. კვლავ წარმატებით ითამაშეს ფავორიტებმა: „ლიგამუსმა" ორივე შეხვედრა, ისევე როგორც „ივერია-1"-მა, სოლიდური ანგარიშებით მოიგო: ჯერ „ივერია-2-"ს 13:4, შემდეგ - „თბილისს" 15:3 აჯობა, ხოლო „ივერია-1"-მა „ბათუმი" (24:2) და „ივერია-2" (22:5) დაჯაბნა. დანარჩენი პაექრობები კი ასე დამთავრდა: „ბათუმი" - თბილისი" 10:7, „ქუთაისი" - „ტონუსი" 25:0, „ქუთაისი" - ბათუმი" 7:7, „ბათუმი" - „ტონუსი" 29:0. ამ გუნდების მომდევნო ტურის შეხვედრები 20 აპრილს გაიმართება. მანამდე, როგორც გაუწყეთ, 24 მარტს 1998 წელს დაბადებულთა და უმცროსთა საქართველოს პირველობის ფინალური მატჩები ჩატარდება. 30 მარტს ექვსი გუნდის მონაწილეობით სტარტს აიღებს ეროვნული ჩემპიონატი, 6-8 აპრილს კი „ოლიმპიკი" საერთაშორისო ტურნირს - სახელოვანი ქართველი წყალბურთელის ნოდარ გვახარიას თასის გათამაშებას უმასპინძლებს.


ალექსანდრე ბითაძე

საქართველოს პირველობებთან და საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსანდრე ბითაძეს:**

- წლეულს პირველად ვატარებთ 1998 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა ოფიციალურ შეჯიბრებას. გვინდა პერსპექტიული სპორტსმენები გამოვავლინოთ. ორი ტურის შემდეგ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქუთაისის გუნდმა, არადა, ამ ქალაქში მეორე წელიწადია, რაც წყალბურთის სექცია აღდგა და უკვე საგრძნობი წინსვლა ემჩნევათ. არც გვიკვირს - ქუთაისი ხომ ყოველთვის იყო ჩვენთან წყალბურთის მექა, აქაურ წარმომადგენლებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი საერთაშორისო სარბიელზე და, მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება. სასიამოვნო სიურპრიზია ტურნირში საჩხერელთა მონაწილეობა. ასე რომ, ჩვენთან წყალბურთის გეოგრაფია იზრდება, ოსტატობის დონეც მაღლდება. პირველობის დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდება 1998 წელს და გვიან დაბადებულთა საქართველოს ნაკრები და აქედანვე დაიწყებს მზადებას 2015 წლის ევროპის პირველობისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ამ ასაკიდან რამდენიმე მოთამაშე ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოხვდეს.

1996 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა გუნდი გაისად 17-წლამდელთა ევროპის პირველობაში მოსინჯავს ძალებს. ფინალური ეტაპი ზაფხულში მალტაზე გაიმართება, საკვალიფიკაციო ტურნირი კი მაისშია დაგეგმილი, თუმცა ჯერ არ ვიცით, ვისთან მოგვიწევს პაექრობა. ნაკრები უკვე ემზადება სერბი იოვან პოპოვიჩისა და ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით. ძალიან გვინდა, ბიჭებს რაც შეიძლება მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ. ახლახან სერბეთში ვიყავით ერთკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე და რამდენიმე ტესტ-მატჩიც გავმართეთ. ჩვენი გუნდისთვის ეს იყო პირველი შეხვედრები, თორემ სერბ თანატოლებს იანვრიდან უკვე 60-მდე პაექრობა ჰქონდათ გამართული. ნოვი სადში ჩაფრენის დღესვე მომქანცველი მგზავრობის შემდეგ (7 საათი სტამბოლის აეროპორტში ისხდნენ - ვ.დ.) ჩვენი დროით ღამის 12 საათზე სერბეთის ახალგაზრდული პირველობის ვერცხლის პრიზიორს - მასპინძელთა „ვოივოდინას" დავუპირისპირდით და 8:13 დავმარცხდით, სამაგიეროდ, მომდევნო მატჩებში ვაჯობეთ - 10:7 და 9:8. ერთი ორთაბრძოლა უმაღლესი ლიგის „დუნავთან" ჩავატარეთ. ამ გუნდში ყველაზე ახალგაზრდა 25 წლისაა. ჩვენი ნაკრები კი 15-17 წლის ბიჭებით იყო დაკომპლექტებული. ამის მიუხედავად, ორი პერიოდის განმავლობაში სერბებს მედგარი წინააღმდეგობა გავუწიეთ, ბოლო ორი რვაწუთიანი მონაკვეთი დავთმეთ და 2:6 წავაგეთ. ბოლო მატჩი ბელგრადის „პარტიზანის" ახალგაზრდულ გუნდთან გვქონდა. შეხვედრა ფრედ - 13:13 დამთავრდა. არადა, „პარტიზანის" მთავარი გუნდი 2010 წლის ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულია. ამ კლუბში რვა ასაკის 2500-მდე მოზარდი ვარჯიშობს. ბელგრადელთა მთავარმა მწვრთნელმა, ორგზის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, მსოფლიოს სამგზის საუკეთესო წყალბურთელმა იგორ მილანოვიჩმა გვითხრა, რომ 17-წლიანებში ისეთი კარგი თაობა გვეზრდება, მომავალში ერთ ევროპის ჩემპიონთა ლიგას მოგვაგებინებენო.

**- სერბეთში წრთობამიღებული ჩვენი ბიჭები ნოდარ გვახარიას თასზე თუ ითამაშებენ?**

- აუცილებლად. 6-8 აპრილს "ოლიმპიკში" ეს საერთაშორისო ტურნირი მეორედ გაიმართება ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ეგიდით. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში მეტოქეობას გაგვიწევენ თურქები, ყაზახები და ბელარუსები. თანაც ბელარუსებმა გვთხოვეს, 1993-1994 წლებში დაბადებულთა ნაკრებს ჩამოვიყვანთო. დავყაბულდით, რადგან ჩვენი ბიჭების უფროსებთან პაექრობაში გამოცდაც გვსურს.

**- ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყვით?**

- შარშან მსგავს შეჯიბრებაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონობა ლიგამუსელებმა მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე „თბილისი", „ივერია" და „ზვიგენები" გავიდნენ. წლეულს ამ ოთხ გუნდს „ბათუმი" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დაემატება და მედლებისთვის ბრძოლა უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ჭადრაკი

# ვაჟები დღეს იწყებენ


ბაადურ ჯობავა

ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი დღეიდან პირველ აპრილამდე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-13 ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 39 ქვეყნის 350 წარმომადგენელი ჩაებმება, მათ შორის - 182 დიდოსტატი, მათგან 15-ის რეიტინგი 2700 პუნქტს აჭარბებს. ტურნირის საპრიზო ფონდია 100.000 ევრო, საიდანაც გამარჯვებული 14.000-ს მიიღებს, მეორე-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 11.000 და 9.000 ევროთი დაჯილდოვდებიან. სულ გათვალისწინებულია 25 ფულადი პრიზი 1.000-დან 15.000 ევრომდე. მოჭადრაკეებს თითოეულ პარტიაში 40 სვლისთვის მიეცემათ 90 წუთი, ყოველ სვლაზე 30-30 წამის დამატებით. შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება, 26 მარტი დასვენების დღეა.

ჩემპიონატის რეიტინგფავორიტია იტალიელი ფაბიანო კარუანა (2767). ჩემპიონობისთვის მას უპირველესად 2700-იანთა კლუბის წევრები - შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2752), დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2729), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2717), ალექსანდრ რიაზანცევი (რუსეთი, 2710), ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი, 2709), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი, 2706), ბაადურ ჯობავა (საქართველო, 2706), ბორის გრაჩევი (რუსეთი, 2705), ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი, 2705), ვიქტორ ლაზნიჩკა (ჩეხეთი, 2702), სერგეი მოვსესიანი (სომხეთი, 2702), არკადი ნაიდიჩი (გერმანია, 2702), დავიდ ნავარა (ჩეხეთი, 2700) და ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2700) გაუწევენ კონკურენციას.

ჩვენებურთაგან საპრიზო ადგილებისთვის, ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა - (2010) და ბრინჯაოსმედალოსან (2009) **ბაადურ ჯობავას** გარდა, ითამაშებენ: 71 (კოეფიციენტით განთესვის ნომერი). **მიხეილ მჭედლიშვილი** (2626), 102. **ლევან ფანცულაია** (2595), 156. **დავით ბენიძე** (2530), 182. **ლუკა პაიჭაძე** (2491), 191. **გაიოზ ნიგალიძე** (2472), 222. **შოთა აზალაძე** (2419), 271. **დავით ლომსაძე** (2338), 332. **გიორგი ხელაია** (2080). აქვე შეგახსენებთ ევროპის წინა 12 ჩემპიონატში გამარჯვებულთა ვინაობას: 2000 წ. - პაველ ტრეგუბოვი (რუსეთი), 2001 - ემილ სუტოვსკი (ისრაელი), 2002 - ბართლომეი მაჩეია (პოლონეთი), 2003 - ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო), 2004 - ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), 2005 - ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი), 2006 - ზდენკო კოჟული (ხორვატია), 2007 - ვლადისლავ ტკაჩევი (საფრანგეთი), 2008 - სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), 2009 - ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი), 2001 - იან ნეპომნიაშჩი (რუსეთი), 201. - ვლადიმირ პოტკინი (რუსეთი).

დღეს პირველი ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

რეგიონი

# კახეთმა რჩეულები გამოავლინა

თელავის, საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების 14-წლამდელ მოჭადრაკეთა მონაწილეობით 17-18 მარტს სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა კახეთის რეგიონის პირველობას უმასპინძლა. გოგონებში თელაველი **მარიამ ჩომახიძე** გავიდა პირველ ადგილზე, მეორე იყო საგარეჯოელი **ნინო გელაშვილი,** მესამე - წნორელი **თეონა ჯავაშვილი.** საგულისხმოა, რომ სამივე 12 წლისანები არიან.

ბიჭებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ილია კურდღელაშვილი** (საგარეჯო), 2. **არჩილ ლეკიაშვილი** (წნორი), 3. **გიორგი ჯალიაშვილი** (სიღნაღი). ამ ჭაბუკების ასაკიც ერთნაირია - 13-13 წელი.

გამარჯვებულები და პრიზიორები მაისში თბილისში გამართულ 14 წლამდელთა საქართველოს პირველობაში იასპარეზებენ.

ზემოაღნიშნული პირველობა სიღნაღში ჭადრაკის კახეთის რეგიონულმა ფედერაციამ ჩაატარა.

**ლელა ხეჩოშვილი**

ჩოგბურთი

# გორგოძის მესამე ტიტული

20 წლის **ეკა გორგოძემ** (420) სეზონის პირველი ტიტული მოიგო - ჩვენებური ამერიკაში ქლეარ უოთერის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) ასპარეზობდა. ქართველმა წყვილთა თანრიგში იმარჯვა უკრაინელ **ალიონა სოტნიკოვასთან** (483) დუეტში. ფინალში გორგოძემ და სოტნიკოვამ მე-3 ნომრად განთესილი ბრიტანელები (**ბროდი, უოტსონი**) დაამარცხეს - 6:3, 6:2. ეს გორგოძისთვის მე-3 ტიტულია კარიერაში. მანამდე მან ანთალიის ტურნირში იმარჯვა, როგორც ერთეულებში, ასევე წყვილებში (2011 წ).


მარცხნივ - ეკა გორგოძე

გუშინ ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა, რომელშიც ჩვენი პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** 4 საფეხურით დაქვეითდა. ანა 834 ქულით მსოფლიოს 77-ე ჩოგანია. სხვები: 181 (+4) **მაკა ჩახნაშვილი** - 340 ქულა; 264 (-1) **სოფიო შაფათავა** - 208; 365 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 122; 377 (+4) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 111; 418 (+2) ეკა გორგოძე - 93; 485 (-) **თათია მიქაძე** - 70; 824 (-4) **ნათია გეგიძე** - 20; 1016 (-1) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 235 (-10) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 333 (-2) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 470 (-) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფარიკაობა



# მეოთხედფინალს ვერ უწია

საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა რუსეთის დედაქალაქში დამთავრებულ მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში („მოსკოვის ხმლები"). სხვებზე უკეთ **სანდრო ბაზაძე** გამოვიდა. ჯგუფში მიღწეული წარმატების შემდეგ მან პლეი ოფებში ასპარეზობის უფლება მიიღო, სადაც დაუბრკოლებლად განვლო ორი წრე - ჯერ ჩინელ ჰი ვიეს აჯობა 15:9, შემდეგ უკრაინელ დმიტრო პუნდიკს დააყრევინა ფარ-ხმალი - 15:13, აი, მეოთხედფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა კი რუმინელ რარეს დუმიტრესკუსთან დათმო 7:15 და 165 მოხმალავეს შორის საბოლოოდ მე-14 ადგილს დასჯერდა. დანარჩენი ქართველი სპორტსმენები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ: 87. **კახაბერ მაღრაძე, 98. მიხეილ მარდალეიშვილი, 124. ბექა ბაზაძე.**

მთავარი პრიზი ნიკოლაი კოვალიოვმა (რუსეთი) მოიპოვა, რომელმაც ფინალში ჟულიან პილეტი (საფრანგეთი) დაამარცხა - 15:8. მესამე ადგილებზე ადამ სკროდსკი (პოლონეთი) და ნიკოლას ლოპესი (საფრანგეთი) გავიდნენ.

გუნდურ შეჯიბრებაში პირველობისთვის 22 ნაკრები იბრძოდა. ჩვენმა ბიჭებმა სტარტზევე იტალიელებთან წააგეს 29:45. დამამშვიდებელ ჯგუფში კი 45:43 სძლიეს კორელეებს, რომლებიც მხოლოდ ქულით დამარცხდნენ (44:45) მომავალ ჩემპიონ ჩინელებთან. მომდევნო ორი შეხვედრა ქართველებმა კანადელებთან (27:45) და უნგრელებთან (39:45) დათმეს და მე-12 ადგილი დაიკავეს. ტურნირის გამარჯვებულებმა გადამწყვეტ პაექრობაში მასპინძლებს აჯობეს 45:44, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობაში ამერიკელებმა ბელარუსები დაჯაბნეს - 45:41.

**ვაჟა დანელია**

ბილიარდი


დავით ავაკიანი

# მრავალგზის ჩემპიონი შეიცვალა

საბილიარდო კლუბი „რიო" ამ დღეებში საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა „პულში" (სახეობა 8-იანი).

წინასწარ შეხვედრებში 52 მონაწილიდან შეირჩა 16 უძლიერესი, რომლებმაც ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით იასპარეზეს.

საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა **დავით ავაკიანმა**, რომელმაც ამ ტიტულის მრავალგზის მფლობელ **ომარ გელაშვილს** 7-3 მოუგო. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში **ნოდარ ბაქრაძემ** 7-4 აჯობა **გიორგი კორძაიას.**

ჩემპიონატი საქართველოს ბილიარდის ეროვნულმა ფედერაციამ ჩაატარა.

**„ლელოს" კორ.**

# კალათბურთი

## ქართველი NBA-ში


ზაზა კავალერთა გარემოცვაში

# ორწუთიანი უფაჩულიო ეპიზოდი, რომელმაც დაგვანახვა რეალიზებული შანსი

მას შემდეგ, რაც **ელ ჰორფორდმა** მხრის ტრავმა მიიღო, **ზაზა ფაჩულიას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. 28 წლის ქართველმა ცენტრმა აღნიშნა, რომ ადამიანს ცხოვრებაში შანსი შესაძლოა ერთხელ მიეცეს და მისი გამოყენებისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. ფაჩულიას სასტარტო ხუთეულში თამაშის შანსი გაუჩნდა და თამამად შეიძლება ითქვას, იგი გამოიყენა. ამერიკელი მიმომხილველები ამბობენ: ელ ჰორფორდი რომ გამოჯანმრთელდება, ფაჩულია სათადარიგოთა სკამზე არ გადავა - სასტარტო ცენტრად დარჩება, ელი კი მძიმე ფორვარდის პოზიციას დაიკავებს და მწვრთნელს წინა ხაზში ვარირების კარგი შესაძლებლობა მიეცემაო.

„კლივლენდი"-"ატლანტას" მატჩი სხვებთან შედარებით ადრე დაიწყო და დაინტერესებულ ქართველ გულშემატკივარს მისი ხილვის საშუალება ჰქონდა. დაკვირვებულ ქომაგს კი აუცილებლად ემახსოვრება ერთი ეპიზოდი: მესამე პერიოდის დასრულებამდე 2:30 წუთით ადრე ზაზა ფაჩულია მწვრთნელმა დასვენების მიზნით მოედნიდან გაიყვანა. თუმცა დასვენება არც აცალა - ორ წუთში დააბრუნა. მიზეზი მარტივია: ზაზას არყოფნაში „კლივლენდის" კალათბურთელებმა 11-ქულიანი ჩამორჩენა 6-მდე შეამცირეს. მათ ფაჩულიას არყოფნაში „ატლანტას" ფარქვეშ გაილაღეს. მას მერე მწვრთნელ **ლარი დრიუს** ქართველის შეცვლა აზრად მანამ არ მოსვლია, ვიდრე მატჩის ბედი ჯორჯიელთა სასარგებლოდ არ გადაწყდა - საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე „ატლანტა" 97:81 დაწინაურდა.

ზემო აბზაცში განხილული ეპიზოდი ნათლად გვიჩვენებს, რომ ფაჩულია „ატლანტას" წინა ხაზში ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. გუნდში, სადაც „ოლ სტარის" ექვსგზის მონაწილე **ჯო ჯონსონია**, ყველაზე მეტი სათამაშო დრო ზაზას ერგო - კლივლენდში 40 წუთი ითამაშა.

საქართველოს ნაკრების კაპიტნისადმი კომპლიმენტებს ერთი უარყოფითი ფაქტიც უნდა მივაყოლოთ: „კლივლენდ კავალიერსთან" ზაზამ კარგად შეუტია პირველ ტაიმში, რომლის შემდეგ მის ანგარიშზე 8 ქულა იყო. მეორე ნახევარში კი ერთადერთი ქულა მოინაგრა და ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა. უარყოფითი ის გახლდათ, რომ მეორე ნახევარში შეტევაში სათანადოდ ვერ გაისარჯა - საბოლოოდ 11 ორქულიანიდან მხოლოდ 3 გამოიყენა. ამის მიუხედავად, მწვრთნელი მისით უკმაყოფილო არ დარჩენილა. არადა, შარშან „ჩიკაგოსთან" წაგებულ შეხვედრაში, მაშინ როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო, დრიუმ ქართველს ერთი შორიდან აცილება არ აპატია. ამ მომენტს მწვრთნელ-კალათბურთელს შორის შელაპარაკებაც მოჰყვა.

დავუბრუნდეთ „კავალერებთან" დაპირისპირებას, რომლის პირველ ტაიმში **ჯო ჯონსონმა** 13 ქულა მიითვალა. საბოლოოდ ჯო მატჩის ბომბარდირი გახდა - 28. ამ შეხვედრაში „ატლანტას" აკლდნენ ტრავმირებულები: **გრინი, პარგო, ჰორფორდი, რადმანოვიჩი** და **უილიამსი.** სამაგიეროდ, ბოლო წამებზე ზაზა შეცვალა სათადარიგო ცენტრმა **ჯეისონ კოლინზმა**, რომელმაც ტრავმის გამო კლივლენდამდე 21 შეხვედრა გამოტოვა.

**კლივლენდი-ატლანტა 103:87**

**ზაზა ფაჩულია:** 40 წუთი, 9 ქულა (11-დან 3 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 12 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 2 შეცდომა, 4 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 9:52 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 2-4 |
| 9:07 | ჩაჭრა: 1 (გის აართვა) | 4-4 |
| 8:52 | პასი: 1 (ჯონსონი 3ქ) | 7-4 |
| 8:22 | საჯარიმოები: 2/2 | 9-4 |
| 7:47 | შეცდომა: 1 | 9-7 |
| 7:30 | ორქულიანი: 4ქ | 11-7 |
| 5:24 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 16-11 |
| 5:11 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 | 16-11 |
| 3:33 | ორქულიანი: არაზუსტი | 19-13 |
| 1:51 | ფოლი: 1 | 26-17 |
| 1:51 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 26-17 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:00 | ზაზამ სმიტი შეცვალა | 36-19 |
| 10:37 | ორქულიანი: არაზუსტი | 36-19 |
| 7:28 | პასი: 2 (ჰაინრიხი 2ქ) | 42-28 |
| 5:11 | ორქულიანი: 6ქ | 46-33 |
| 0:53 | დაფარება: 1 (ტომპსონს დაუფარა) | 57-43 |
| 0:27 | ორქულიანი: არაზუსტი | 57-43 |
| 0:27 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 | 59-43 |
| 0:27 | ორქულიანი: 8ქ | 59-43 |
| **III პერიოდი** | | |
| 10:30 | ორქულიანი: არაზუსტი | 59-47 |
| 9:56 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 | 62-47 |
| 9:37 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 | 62-47 |
| 9:07 | ფოლი: 2 | 64-47 |
| 8:55 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ) | 65-49 |
| 8:37 | მოხსნა: შეტ-3, დაც-4 | 65-49 |
| 7:37 | მოხსნა: შეტ-3, დაც-5 | 67-50 |
| 5:48 | ორქულიანი: არაზუსტი | 72-56 |
| 4:41 | მოხსნა: შეტ-4, დაც-5 | 72-58 |
| 2:30 | ფოლი: 3 | 74-63 |
| 2:30 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა | 74-63 |
| 0:33 | ზაზამ სმიტი შეცვალა | 74-68 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:03 | მოხსნა: შეტ-5, დაც-5 | 78-68 |
| 9:30 | ორქულიანი: არაზუსტი | 82-68 |
| 9:27 | ორქულიანი: არაზუსტი | 82-68 |
| 9:27 | მოხსნა: შეტ-6, დაც-5 | 82-68 |
| 7:48 | მოხსნა: შეტ-6, დაც-6 | 86-72 |
| 6:05 | შეცდომა: 2 | 92-76 |
| 4:13 | ფოლი: 4 | 94-78 |
| 3:49 | ორქულიანი: არაზუსტი | 94-79 |
| 3:01 | კოლინზმა ზაზა შეცვალა | 97-81 |

## ლეგიონერი

# ლეჟავას წლის მატჩი 20 მარტსაა


აპოლონის ქართველმა მეცხრე ნომერმა 9 ქულა ჩააგდო

კვიპროსის ჩემპიონატის ფინალში გასვლის შანსს კვლავ ინარჩუნებს **ბესიკ ლეჟავას** „აპოლონი". ნახევარფინალურ სერიაში 0:2 ჩამორჩენის შემდეგ აპოლონელებმა ეთა-ს შინ 83:75 აჯობეს და სერიაში ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანეს. ვიდრე გამარჯვებაში ბესოს წვლილზე გეტყოდეთ, მოგახსენებთ, რომ „აპოლონისა" და ეთა-ს მეოთხე დაპირისპირება ამ უკანასკნელის მოედანზე გაიმართება (20 მარტს). მოგების შემთხვევაში ეთა ფინალში გავა, ხოლო თუ სტუმრად „აპოლონი" იმარჯვებს, გადამწყვეტი, მეხუთე მატჩი მის მოედანზე გაიმართება.

სერიის მესამე მატჩში ლეჟავას გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა **იოანის გაგალუდისმა**. მის ანგარიშზე 32 ქულაა. ვიცე-ბომბარდირი ბესო გახდა - 9 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა. 25 წლის ქართველმა თავდამსხმელმა (28 წუთში) 6-დან 3 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი გამოიყენა.

## საქართველოს ნაკრების წევრი

# ელის...

საქართველოს ნაკრების 30 წლის ფორვარდი **ვლადიმერ ბოისა** გაურკვევლობაშია. მას კონტრაქტის მიხედვით „პანიონიოსში" სეზონის ბოლომდე უნდა ეთამაშა, მაგრამ კლუბის უფროსობამ განაცხადში **ნიკოს ბარლოსი** შეიყვანა და ვოვასთან კონტრაქტის გაწყვეტა სურს. ამ საკითხზე ბოისას ნაკრების პრესატაშე **ირაკლი პერტაია** ელაპარაკა და ინტერვიუ ფედერაციის საიტზე გამოაქვეყნა. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს.

- მას შემდეგ, რაც გუნდს ტრავმამოშუშებული ნიკოს ბარლოსი დაუბრუნდა, მწვრთნელმა დამიბარა და მითხრა, რომ კლუბის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განაცხადში ჩემს ადგილს ბარლოსი დაიკავებს. მწვრთნელ გიორგოს ბარძოკასთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საკითხს ის არ წყვეტს. კლუბის მფლობელს არ სურს, რომ ხელფასი გადამიხადოს, - ამბობს ვლადიმერ ბოისა და განაგრძობს:

- მართალია, გუნდმა 3 თვის წინ ტრავმირებული ბარლოსის ნაცვლად ამიყვანა, მაგრამ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გამიფორმა და ვალდებულია, პირობები შეასრულოს. ათენში, ჩემს ბინაში ვცხოვრობ და ვარჯიშებზე დავდივარ. ერთი ისაა, რომ შემადგენლობაში აღარ ვარ და თავისთავად არც სამატჩო განაცხადში ვხვდები. თუ გუნდი ხელფასს 30 დღის განმავლობაში დააგვიანებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ზომების მიღება. ჯერჯერობით ველოდები და თუ აღნიშნულ ვადაში ხელფასს არ მომცემენ, შემდეგ ფიბა-ს არბიტრაჟს მივმართავ. გუნდის ხელმძღვანელ ელიას ლიანოსს სურს, რომ აქაურობა დავტოვო. თუმცა სიმშვიდეს ვინარჩუნებ, ვარ კლუბში და ვასრულებ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რადგან თუ საქმე სასამართლომდე მივა, კლუბის ხელმძღვანელებს თავის გამართლების არგუმენტი არ ჰქონდეთ.

ბერძნულ პრესაში დაიწერა, რომ „პანიონიოსის" [illegible] ვლადიმერ ბოისას მენეჯერს ახალი კლუბის მოძებნა სთხოვა...

- ჩემი აგენტი კლუბის ძიებას უკვე შეუდგა და თუ შესაფერის ვარიანტს იპოვის, „პანიონიოსს" უმტკივნეულოდ დავშორდები. კონტრაქტი კიდევ 2 თვე მაქვს და თუკი რომელიმე გუნდი დარჩენილი ხელფასის ანაზღაურებას დათანხმდება, ბუნებრივია, იქ გადავალ.


ვლადიმერ ბოისა

## ესპანეთი

# კანარია, კატალონიელთა რისხვა


ჰეინსი (00) სტუმრად გამარჯვებას ზეიმობს

საინტერესო მდგომარეობაა ესპანეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში. საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **მარკიზ ჰეინსის** „გრან კანარიას" დარჩენილ 9 ტურში კარგი შედეგის შემთხვევაში მეოთხედფინალში გასვლა შეუძლია, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ლიგიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრება. მოკლედ, „კანარიას" 10 მოგება აქვს და სამით ჩამორჩება პლეი ოფის ზონაში მყოფ გუნდებს. ხოლო გასავარდნი ზონის წარმომადგენლებს ოდენ 2 მოგებით უსწრებს.

ბოლო დროს კუნძულელებმა თამაში გამოასწორეს და იმედი დავიტოვოთ, რომ ჰეინსის თანაკლუბელებს მეოთხედფინალში ვიხილავთ. ბოლო ტურში მათ სტუმრად კატალონიური „ხუვენტუდი" დაამარცხეს - 81:73. იმასაც შეგახსენებთ, რომ „გრან კანარიამ" ერთი კვირის წინ „ბარსელონას" ორმაგ ოვერტაიმში სძლია.

ქართული პასპორტის მქონე მარკიზ ჰეინსი „ხუვენტუდთან" თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაება და მოედანზე 24 წუთი გაატარა. ამერიკელმა უკანახაზელმა 10 ქულა, 5 მოხსნა მიითვალა და საკუთარ გუნდში სარგებლიანობის კოეფიციენტით მხოლოდ ორ კალათბურთელს ჩამორჩა. ჰეინსმა 3-დან 1 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო მიითვალა.

მომდევნო მატჩს „გრან კანარია" 25 მარტს, შინაურ არენაზე „ფუენლაბრადასთან" გამართავს.

■ ■ ■

„გრან კანარიადან" თურქულ „ტოფაზში" გადასულ კიდევ ერთ ქართულპასპორტიან ამერიკელს **ტორინ გრინს** გასულ ტურში არ უთამაშია. მისმა გუნდმა სტამბოლში „ეფესთან" 58:70 დათმო.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ბრიტანული ტურნე

# საქართველო A ინგლისსა და უელსში

საქართველოს A ნაკრები გუშინ ბრიტანეთში გაემგზავრა. ჩვენი მორაგბეები, რომლებსაც მთავარი მწვრთნელის **ლევან მაისაშვილის** გარდა თან ეროვნული ნაკრების დამრიგებლები, **მილტონ ჰეიგი, კრის გიბსი** და **ტონი ბარჯესი** გაჰყვნენ, ინგლისსა და უელსში სამ შეხვედრას გამართავენ.

საქართველოს A ნაკრები ხვალ, პირველ შეხვედრაში ინგლისის პირველი ლიგის გუნდ „ეიშერს" დაუპირისპირდება. ამ თამაშის შემდეგ ჩვენი გუნდი უელსში გადაინაცვლებს, სადაც 27 მარტს ადგილობრივ კლუბებს, ოთხი დღის შემდეგ კი ჩრდილოეთ უელსის ნაკრებებს დაუპირისპირდება.

ლევან მაისაშვილმა ბრიტანულ ტურნეში 26 მორაგბე იახლა. მათგან რვას წლეულს ერთა თასის გათამაშებაში ეროვნულ ნაკრებში უთამაშია. ესენია: **შალვა მამუკაშვილი** (არმია), **კარლენ ასეიშვილი** (ორიაკი), **ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე** (ორივე-ტულონი), **გივი ბერიშვილი** (ლოკომოტივი), **ბიძინა სამხარაძე** (არმია), **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) და **ირაკლი ჩხიკვაძე** (არმია).

აღსანიშნავია, რომ ნაკრებში ამდენივე ლეგიონერი მოხვდა. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა საქართველოს A ნაკრებში ითამაშებენ: **გიორგი მენაბდიშვილი** (გრენობლი), **ირაკლი მირცხულავა** (ტარბი), **გიორგი ტყეშელიაძე, სანდრო ნიჟარაძე** (ორივე-გლოსტერი) და ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი).

გუნდის შემადგენლობაში ყველაზე ახალგაზრდა **ზურაბ ძნელაძე** (აია), **გიგა გაგოშვილი** და **საბა ნიკოლავა** (ორივე-არმია) არიან. ისინი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც ირიცხებიან, რომელიც ივნისში ამერიკის შეერთებული შტატებში გასამართავ მსოფლიოს ახალგაზრდულ „ალაფაზე" იასპარეზებს.

**საქართველო A**

პირველი ხაზი: შალვა მამუკაშვილი, ბექა მეკოკიშვილი (ორივე-არმია), გიორგი მენაბდიშვილი (გრენობლი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), კარლენ ასეიშვილი (ორიაკი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი).

მეორე ხაზი: კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), დავით ჩიტიძე (არმია), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია).

მესამე ხაზი: გიორგი თხილაიშვილი, ლაშა თავართქილაძე, ბექა ბიწაძე (სამივე-არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ტყეშელიაძე (გლოსტერი).

№9: გიორგი კაჭარავა (ლელო), ბიძინა სამხარაძე (არმია).

№10: გიორგი ჯიმშელაძე (არმია), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

№12-13: ირაკლი ჩხიკვაძე, გიგა გაგოშვილი (ორივე-არმია), ზურაბ ძნელაძე (აია).

№11-14: ლექსო გუგავა, ირაკლი გეგენავა (ორივე-ლელო), სანდრო ნიჟარაძე (გლოსტერი).

№15: ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), საბა ნიკოლავა (არმია).

**21 მარტი**

საქართველო A-ეიშერი

**27 მარტი**

საქართველო A-უელსი XV

**31 მარტი**

საქართველო A-ჩრ.უელსი XV

ევროპის ჩემპიონატი. U-18

# მადრიდამდე გზად კლერმონში

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 18 მარტს საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა. „უმცროსი ბორჯღალოსნები", რომლებსაც **ილია მაისურაძე** (მთავარი მწვრთნელი), **ირაკლი ჭყონია** და **ზურაბ ამონაშვილი** ხელმძღვანელობენ, 30 მარტამდე **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონის" საწვრთნელ ბაზაზე ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან.

ჩვენი 18-წლამდლეთა ნაკრები აქვე ერთ საკონტროლო შეხვედრას გამართავს „კლერმონის" ახალგაზრდულ გუნდთან და მერე ესპანეთის დედაქალაქ მადრიდისკენ აიღებს გეზს. აქ პირველად გაიმართება შეჯიბრება, რომელშიც ექვსი ერის სარაგბო ქვეყნების 18-წლამდელთა გუნდებიც იასპარეზებენ.

საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე ინგლისის 18-წლამდლეთა გუნდი იქნება. ამ მატჩში გამარჯვებული უელსისა და იტალიის ნაკრებებს შორის უძლიერესს დაუპირისპირდება, დამარცხებული კი, შესაბამისად წაგებულს.

ამ გუნდების გარდა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ საფრანგეთის, ირლანდიის, შოტლანდიისა და პორტუგალიის 18-წლამდელთა ნაკრებები. აღსანიშნავია, რომ ეს შეჯიბრება ექსპერიმენტულია. დადგენილია, რომ მას სამჯერ ჩაატარებენ. მისი მომავალი ბედი მეორე დონის ქვეყნების მიერ ნაჩვენებ შედეგებზე იქნება დამოკიდებული. ერთი სიტყვით, სიმართლეს რომ თვალი გავუსწოროთ, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა უნდა იყოჩაღოს და ბობოლებს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს.

ილია მაისურაძემ, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტიცაა, ევროპის ჩემპიონატისთვის 25 მორაგბე შეარჩია. ამათაგან ერთი ლეგიონერია. მეორეხაზელი **გიორგი სორდია** საფრანგეთში თამაშობს. საკმაოდ საინტერესოა ნაკრების წევრთა გეოგრაფიაც, თბილისელ მორაგბეებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ღირსებას ევროპის ჩემპიონატზე ქუთაისელი, ფოთელი და პატარძეულელი 18-წლამდელებიც დაიცავენ.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ბექა ფირიაშვილი (ყოჩები), ბადრი ალხაზაშვილი (აკადემია), მიხეილ ზურიკაშვილი (ხარები), ლექსო ცისკარიშვილი (არმია), ზურაბ ხარებავა (რაინდები), გიორგი მარგველანი (ივერია).

მეორე ხაზი: გიორგი სორდია (საფ), მიხეილ მასხარაშვილი (ჯიქები), შალვა შაშიაშვილი (აია).

მესამე ხაზი: საბა შუბითიძე, გიორგი გოგლიძე (ორივე-აკადემია), ვახტანგ ამირანაშვილი (ივერია), ონისე მოგელაშვილი (ჯიქები), ფარნავაზ გასვიანი (ლოკომოტივი).

№9: რევაზ ბროძელი (არმაზი),

№10: იოსებ ტუკვაძე (ყოჩები), გიორგი ტალახაძე (ხულიგანა).

№12-13: ნიკა ამაშუკელი (ჯიქები), გიორგი ნათელაშვილი (ხარები), მურაზ გიორგაძე (ვეფხვები).

№11-14: დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), იოსებ კიკვაძე, გიორგი ფრუიძე (აია).

№15: გიორგი აფციაური (არმია).

**ევროპის ჩემპიონატი**

**30 მარტი**

საქართველო-ინგლისი
ირლანდია-პორტუგალია
უელსი-იტალია
საფრანგეთი-შოტლანდია

**3 აპრილი**

ნახევარფინალი

**7 აპრილი**

ფინალი



ექვსი ერი



# წითელი ურჩხულები ევროპას დაეპატრონნენ

ექვსი ერის წლევანდელ გათამაშებაში უელსის ეროვნულმა ნაკრებმა დიდი სლემი შეასრულა. „წითელმა ურჩხულებმა" ახალზელანდიელი თავკაცის **უორენ გეთლენდის** ხელმძღვანელობით ხუთიდან ხუთივე თამაში მოიგეს.

უელსელთა ბოლო მეტოქე კარდიფში, მილენიუმზე საფრანგეთის ნაკრები იყო, რომელთანაც შარშან, ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ნახევარფინალში დამარცხდნენ. მასპინძლებმა ამჯერად რევანშის აღება შეძლეს, 13:6 გაიმარჯვეს და ექვს ერზე პირველობა არავის დაანებეს.

მატჩის გმირად თამამად შეიძლება ვაღიაროთ უელსის ნაკრების ფულბეკი **ლეიგ ჰალპფენი**, რომელმაც 3 საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (11 ქულა). სამიდან ერთი საჯარიმო ჰალპფენმა 52 მეტრიდან დაარტყა.

უელსელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და დამსახურებულად გაიმარჯვეს, რითაც დაამტკიცეს, რომ მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხი უსამართლობა იყო. შეგახსენებთ, რომ მაშინ უელსის ნაკრებმა თითქმის ტაიმ-ნახევარი კაცნაკლულმა ითამაშა.

„წითელი ურჩხულების" მომავალი სამიზნე ახლა სამხრეთნახევარსფეროელი ბობოლები არიან. მათ ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი ბოლოს 1953 წელს დაამარცხეს. სამხრეთ აფრიკისთვის კი უელსის ნაკრებს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოუგია. ხოლო ავსტრალიის ეროვნულ გუნდთან ბოლო შვიდი შეხვედრიდან ექვსი წააგეს.

*„ჩვენი მთავარი მიზანი ახლა სამხრეთ ნახევარსფეროს ელიტური ქვეყნების დამარცხებაა. უელსის ნაკრები ძირითადად ახალგაზრდა მორაგბეებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც უახლოესი წლების განმავლობაში უფრო მოუმატებენ და უკეთ თამაშს შეძლებენ"*, - თქვა უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უორენ გეთლენდმა.

ექვსი ერის გათამაშებაში მეორე საფეხურზე ინგლისის ეროვნული ნაკრები გავიდა, რომელსაც დროებითი მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ ნალკასტერი** ავარჯიშებდა. „პომებმა" ბოლო მატჩში, შინ, „თვიქნემზე" ირლანდიის ნაკრები 30:9 დაამარცხა.

ინგლისელთა შორის გამორჩეული იყო მგეზავი **ოუენ ფარელი,** რომელმაც გუნდს 20 ქულა მოუტანა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა). ყოველივე ამის გამო ლანკასტერის შანსი, ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს, საგრძნობლად გაიზარდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ფავორიტია. მას კონკურენციას უწევენ იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ნიკ მალეტი** და სამხრეთ აფრიკის ეროვნული გუნდის ყოფილი დამრიგებელი **ჯეკ ვაითი.**

„ყველა ნაკრებში მუშაობის გამოცდილებაზე ლაპარაკობს. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ თუ გინდა ინგლისის ნაკრებს დაკარგული რენომე ალუდგინო, საჭიროა, კარგად იცნობდე ამ ქვეყნის საკლუბო რაგბს, იქ მოთამაშეთა შესაძლებლობებს, ახალგაზრდა, ნიჭიერ ბიჭებს.

ვფიქრობ, რომ ყველა ამ პირობას ვაკმაყოფილებ, ნაკრებში მუშაობის გამოცდილებაც მივიღე და დარწმუნებული ვარ, ინგლისის ნაკრებთან ერთად წარმატებებს მივაღწევ", - თქვა სტიუარტ ლანკასტერმა.

ექვსი ერის წლევანდელი გათამაშების „ხის კოვზი" კი შოტლანდიის ნაკრებს ერგო. „სკოტებმა" ყველა მატჩი წააგეს. ბოლო შეხვედრაში, მათ სტუმრად, რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე" ვერაფერი გააწყვეს იტალიის ეროვნულ გუნდთან – 6:13.

**V ტური**

**იტალია-შოტლანდია 13:6, უელსი-საფრანგეთი 16:9, ინგლისი-ირლანდია 30:9.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. უელსი - 10 ქულა, 2. ინგლისი - 8, 3. ირლანდია - 5, 4. საფრანგეთი - 5, 5. იტალია - 2, 6. შოტლანდია - 0.**

ზე რაგბი

# დაუმარცხებელი ორია: ჰაილენდერზი და სტორმერზი

ზე რაგბის გათამაშების მეოთხე ტურში რამდენიმე შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. A ჯგუფში მოასპარეზე ტურნირის ფავორიტმა, სიდნეის „ვორათაზმა" შინ წააგო პერთის „ფორსთან" მინიმალური ანგარიშით 20:21. სიდნეელთა ასეთ ცუდ სტარტს არავინ ელოდა. მათ ოთხ მატჩში მხოლოდ ერთი მოიგეს. თუმცა არც „ფორსი" ბრწყინავს, მისთვის ეს წლეულს პირველი გამარჯვება იყო.

ამავე ჯგუფში „მელბურნ რებლზმა" ასევე შინ წააგო ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან" - 26:33. სტუმრები დასაწყისშივე დაწინაურდნენ და 23-ე წუთისთვის უკვე 20:7 იგებდნენ. მელბურნელებმა ჯეიმზ ოკონორის მეთაურობით ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს, 64-ე წუთზე ანგარიშში დაწინაურებაც მოახერხეს -26:23, თუმცა მაინც დამარცხდნენ.

შესანიშნავად ასპარეზობს B ჯგუფში დანიდინის „ჰაილენდერზი", რომელიც კეიპთაუნის „სტორმერზთან" ერთად ჯერაც დაუმარცხებელია. დანიდინელებმა ამჯერად სტუმრად დაამარცხეს ველინგთონის „ჰარიკენზი" - 19:17. „სტორმერზმა" კი, რომელიც C ჯგუფის ლიდერია, შინ მოუგო ოქლენდის „ბლუზს" - 27:17.

**A ჯგუფი**

**ვორათაზი-ფორსი 20:21, მელბურნ რებლზი-ჩიტაზი 26:33.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 13 ქულა, 2. ბრამბიზი - 9, 3. ვორათაზი - 8, 4. ფორსი - 5, 5. მელბურნ რებლზი - 2.

**V ტური**

მელბურნ რებლზი-ფორსი, ვორათაზი-ნატალ შარქსი, ბრამბიზი-ჰაილენდერზი.

**B ჯგუფი**

ჩიფსი-ბრამბიზი 29:22. ჰარიკენზი-ჰაილენდერზი 17:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰაილენდერზი - 16 ქულა, 2. ჩიფსი - 14, 3. ჰარიკენზი - 10, 4. კრუსეიდრზი - 6, 5. ბლუზი - 5.

**V ტური**

ბლუზი-ჰარიკენზი, კრუსეიდერზი-ჩიტაზი.

**C ჯგუფი**

სტორმერსი-ბლუზი 27:17, ნატალ შარქსი-რედსი 27:22.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 12 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 11, 3. ბლუ ბულზი - 10, 4. ლაიონზი - 5, 5. ჩიტაზი - 2.

**V ტური**

ბლუ ბულზი-რედსი, ლაიონზი-სტორმერზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი


დანიშნულები

# 10 ნოემბერს, სტამბოლში

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** გამოაცხადა საკუთარი ქორწილის თარიღი. მისი და სლოვენიელი კალათბურთელის **საშა ვუიაჩიჩის** ქორწინების ცერემონია 10 ნოემბერს სტამბოლში გაიმართება.

როგორც სააგენტო AP წერს, ქორწილის ადგილის არჩევა, სავარაუდოდ იმით არის განპირობებული, რომ ვუიაჩიჩი დღეისთვის სტამბოლის „ეფეს პილსენში" თამაშობს, შარაპოვამ კი ოქტომბრის ბოლოს WTA-ის წლის შემაჯამებელ ტურნირზე უნდა ითამაშოს, რომელიც ასევე სტამბოლში ჩაივლის.

შეგახსენებთ, რომ მარია და საშა 2009 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს, როცა სლოვენიელი ამერიკაში ცხოვრობდა და NBA-ის კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" თამაშობდა. ქორწილის თარიღი რამდენჯერმე გადაიტანეს იმის გამო, რომ სპორტსმენებს გადატვირთული კალენდარი ჰქონდათ.

# ვოზნიაცკი მეექვსემდე დაეშვა

ტრადიციულად, ორშაბათს გამოქვეყნდა ATP-სა და WTA-ის განახლებული რეიტინგები. ქალთა კლასიფიკაციაში ყველაზე სერიოზული ცვლილება ის არის, რომ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** მეოთხედან მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა. ამის წყალობით თითო საფეხურით ავიდნენ მაღლა პოლონელი **აგნიეშკა რადვანსკა** და ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, რომლებიც, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ადგილებზე განლაგდნენ. სერიოზული პროგრესი განიცადა ინდიან უელსის ტურნირის ნახევარფინალისტმა, გერმანელმა **ანჟელიკ კერბერმა**, რომელიც მეცხრამეტედან მე-14 პოზიციაზე გადავიდა.

რეიტინგის სათავეში ცვლილება არ მომხდარა. **ვიქტორია აზარენკამ** ინდიან უელსში გამარჯვების წყალობით გაზარდა უპირატესობა **მარია შარაპოვასთან.**

ინდიან უელსის მასტერსის ფინალისტი **ჯონ ისნერი** პირველად შევიდა ტოპათეულში. ATP-ის რეიტინგის ახალ ვერსიაში ამერიკელმა არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** გაუსწრო, რომელიც მე-11 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ტოპ-ოცეული დატოვა ავსტრიელმა **იურგენ მელცერმა**, რომელიც ინდიან უელსში მეორე წრეს ვერ გასცდა.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 670 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 10 175 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 350 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 450 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 700 |
| 6(6). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 4 535 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 3 860 |
| 8(8). მერდი ფიში (აშშ) | 2 910 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 730 |
| 10(11). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 675 |
| 11(9). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 2 660 |
| 12(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 205 |
| 13(13). ჟილ სიმონი (საფ) | 2 140 |
| 14(14). გაელ მონფილსი (საფ) | 1 970 |
| 15(15). ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 1 890 |
| 16(17). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 685 |
| 17(16). რიშარ გასკე (საფ) | 1 595 |
| 18(21). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 540 |
| 19(18). ფლორიან მაიერი (გერ) | 1 540 |
| 20(19). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 530 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 730 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 7 930 |
| 3(3). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 7 170 |
| 4(5). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 5 960 |
| 5(6). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 5 825 |
| 6(4). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 5 410 |
| 7(7). მარიონ ბარტოლი (საფ) | 4 710 |
| 8(8). ნა ლი (ჩინ) | 4 635 |
| 9(9). ვერა ზვონარევა (რუს) | 4 340 |
| 10(10). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 880 |
| 11(11). სერენა უილიამსი (აშშ) | 3 580 |
| 12(12). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 3 515 |
| 13(13). საბინ ლისიცკი (გერ) | 3 141 |
| 14(19). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 2 820 |
| 15(14). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 2 815 |
| 16(16). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 785 |
| 17(15). იულია გორჯესი (გერ) | 2 785 |
| 18(17). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 485 |
| 19(21). დან. ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2 450 |
| 20(22). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 395 |

| ATP. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2 664 106 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 293 375 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 1 556 985 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტ) | 731 491 |
| 5. ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 725 868 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპ) | 689 728 |
| 7. ჯონ ისნერი (აშშ) | 684 491 |
| 8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 494 786 |
| 9. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 434 408 |
| 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 413 561 |
| 11. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 384 743 |
| 12. მილოშ რაონიჩი (კან) | 377 568 |
| 13. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 362 298 |
| 14. კეი ნიშიკორი (იაპ) | 282 875 |
| 15. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 267 815 |
| 16. ლეანდერ პაესი (ინდ) | 264 008 |
| 17. რიშარ გასკე (საფ) | 241 228 |
| 18. ფ. კოლშრაიბერი (გერ) | 238 987 |
| 19. მიკაელ ლოდრა (საფ) | 238 968 |
| 20. მიხაილ იუჟნი (რუს) | 227 634 |

| WTA. ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 3 927 423 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 1 731 350 |
| 3. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 932 084 |
| 4. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 520 965 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 492 691 |
| 6. იულია გორჯესი (გერ) | 465 570 |
| 7. სარა ერანი (იტა) | 439 040 |
| 8. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 432 188 |
| 9. ანჟელიკ კერბერი (გერ) | 401 482 |
| 10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 375 938 |
| 11. ანა ივანოვიჩი (სერ) | 372 784 |
| 12. ვერა ზვონარევა (რუს) | 349 083 |
| 13. მარიონ ბარტოლი (საფ) | 337 216 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 313 883 |
| 15. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 300 969 |
| 16. ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 284 218 |
| 17. რობერტა ვინჩი (იტა) | 280 205 |
| 18. ნა ლი (ჩინ) | 277 223 |
| 19. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 272 308 |
| 20. ლიზა რეიმონდი (აშშ) | 272 308 |

# ლოგიკური ფინალები

ინდიან უელსში დასრულდა უმაღლესი კატეგორიის ტურნირი მამაკაცებსა და ქალებს შორის.

ქალთა ტურში გრძელდება ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** დომინირება. გერმანელ **მონა ბარტელთან** პირველ წრეში სამსეტიან მატჩს თუ არ ჩავთვლით, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ფინალამდე ყველა მეტოქე იოლად დაამარცხა და გადამწყვეტ მატჩშიც არ შექმნია პრობლემა რუსი **მარია შარაპოვას** წინააღმდეგ. ამ უკანასკნელს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ნაგებისთვის რევანშის შანსი ჰქონდა, მაგრამ დღეს აზარენკას დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ბელარუსმა ფინალი ბრეიკით დაიწყო. მომდევნო გეიმში შარაპოვამ ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა, შემდეგ კი მეტოქის გეიმებზე წარმატების შანსი აღარ ჰქონია. თავის მხრივ, აზარენკამ მეშვიდე გეიმში მეორე ბრეიკი აილო და სეტი 6:2 დაასრულა თავის სასარგებლოდ.

მეორე პარტია პირველის ანალოგიურად განვითარდა – ბელარუსმა ისევ ბრეიკით დაიწყო სეტი, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა, კიდევ ორი გეიმი მოიგო და 3:0 წაიყვანა ანგარიში. ამის შემდეგ მეტოქეებმა ბრეიკები გაცვალეს, ცოტა ხანში კი მარიამ პირველად აილო სეტში საკუთარი მოწოდება და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა – 3:4. მაგრამ მეტის გასაკეთებლად მას ძალა აღარ ეყო. ვიქტორიამ ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და მატჩში ბრეიკების რაოდენობა ექვსამდე აიყვანა.

საათსა და 26 წუთში დაფიქსირდა საბოლოო ანგარიში – 6:2, 6:3 მსოფლიოს პირველი ჩოგანის სასარგებლოდ. აზარენკამ ზედიზედ 23-ე მატჩი მოიგო და ჯერ სეზონში არც ერთი წაგება არ აქვს. ბელარუსმა მეოთხე ტიტული მიითვალა და ამ გამარჯვებისთვის მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

რამდენიმე დღეში დაიწყება ანალოგიური კატეგორიის ტურნირი მაიამიში და იქ უკვე **სერენა უილიამსი** ჩაებმება ბრძოლაში. საინტერესოა, ისინი თუ შეძლებენ ვიქტორიას ბრწყინვალე სვლის შეჩერებას.

■ ■ ■

მოგვიანებით გაიმართა ინდიან უელსის მასტერსის ფინალი, რომელშიც ერთმანეთს **როჯერ ფედერერი** და **ჯონ ისნერი** შეხვდნენ.

ისნერმა ნახევარფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** დაამარცხა და პირველად გავიდა მასტერსის ფინალში, ფედერერს კი ამ კატეგორიის მე-19 ტურნირის მოგების შანსი ჰქონდა.

ჯოკოვიჩთან მატჩში ისნერმა ორი ტაი-ბრეიკი მოიგო. ამჯერადაც, მეტოქეებმა პირველ სეტში შეინარჩუნეს საკუთარი მოწოდებები და საქმე მე-13 გეიმამდე მივიდა, ოღონდ ამჯერად იქ ფედერერის უპირატესობა შეინიშნებოდა. შვეიცარიელმა ოთხი სეტბოლი მიიღო, მაგრამ ამერიკელი უძალიანდებოდა და როჯერმა მხოლოდ 8:7-ზე მოახერხა გადამწყვეტი ქულის აღება და სეტის მოგება.

მეორე სეტი პირველის ანალოგიურად დაიწყო – პირველ ექვს გეიმში მეტოქეები ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებებს. ამის შემდეგ, ისნერის თამაში მოულოდნელად მოიშალა – მომდევნო სამ გეიმში ამერიკელმა ორი ბრეიკი დაუთმო მეტოქეს და ფედერერმა ეს საჩუქარი კარგად გამოიყენა. 6:3 – ასეთი იყო მეორე სეტის ანგარიში შვეიცარიელის სასარგებლოდ.

თამაში საათი და 21 წუთი გაგრძელდა და ფედერერს მხოლოდ სამი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია. როჯერმა კარიერაში მე-19 მასტერსი მოიგო და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა **რაფაელ ნადალსა** და ლეგენდარულ **ჯონ მაკინროის**. რეკორდსმენი გახლავთ ჩეხი **ივან ლენდლი**, რომელსაც კარიერაში 22 მასტერსი აქვს მოგებული.

სულ მალე ფედერერს ექნება შანსი, მაიამიში მიუახლოვდეს ლეგენდარული ჩეხის მაჩვენებელს.


როჯერ ფედერერი

ფორმულა 1

# კორეამ ივაჭრა და მოიგო

კორეის გრანპრის ორგანიზატორებმა შეძლეს **ბერნი ექლსტოუნთან** მოლაპარაკება რბოლის ჩატარებისთვის საჭირო გადასახადის შემცირებასთან დაკავშირებით. როგორც გაზეთი Korea Herald წერს, კონტრაქტის პირობები გადაიხედა და ეს კორეულ მხარეს უკვე წელს 20 მილიონი დოლარის ეკონომიის საშუალებას მისცემს. მოქმედი ფინანსური ხელშეკრულება 2016 წლის ბოლომდე იქნება ძალაში. ასე რომ, კორეას ხუთი სეზონი გარანტირებული აქვს ფორმულა 1-ის კალენდარში ყოფნა.

იმავე გამოცემის ცნობით, შარშან კორეის გრანპრის ორგანიზატორებმა რბოლის ჩატარების სანაცვლოდ დაახლოებით 40 მილიონი დოლარი გადაიხადეს, რაც 10 პროცენტით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე.

კრივი


მენი პაკიაო

ფილიპინელმა **მენი პაკიაომ**, რომელსაც ხშირად თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივეს უწოდებენ, უახლოეს პერიოდში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. პაკიაოს თქმით, მან კრივიდან წასვლის რჩევა სიზმარში ღმერთისგან მიიღო - ეს 2012 წელს მოხდა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთ ფილიპინურ რადიოსადგურზე დაყრდნობით სააგენტო „ფრანს პრესმა" დაწერა. მოკრივეს არ დაუდასტურებია, კიდევ რამდენი ბრძოლის ჩატარებას აპირებს პროფესიულ რინგზე.

# ღმერთის რჩევით

პაკიაოს თქმით, სიზმარში ღმერთმა მას შემდეგი უთხრა: *„შენ საკმარისი გააკეთე. შეძლი გამხდარიყავი სახელგანთქმული, მაგრამ ეს ვნებს შენს ჯანმრთელობას".* როცა მოკრივეს ჰკითხეს - ხომ არ იმოქმედებს მომხდარი მის გამოსვლაზე, მენიმ თქვა, რომ ის მომავალშიც თავის სამუშაოს გააკეთებს რინგზე.

მოკრივემ დაამატა, რომ მას სჯერა - ღმერთმა ის ქრისტიანობის მქადაგებლად აირჩია. *„როცა მე ვლაპარაკობ, ბევრი ყურადღებით მისმენს"*, - განაცხადა მოკრივემ. პაკიაომ გამოაცხადა, რომ მარტის ბოლოს ის მნიშვნელოვან განცხადებას გააკეთებს, რომელიც რელიგიასთან იქნება დაკავშირებული.

33 წლის პაკიაომ რვა წონით კატეგორიაში მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. სულ პროფესიულ რინგზე 59 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 54 (38- - ნოკაუტით), სამჯერ დამარცხდა და ორი ბრძოლა ფრედ დაასრულა.

ამ მომენტისთვის პაკიაოს ეკუთვნის WBO-ის ტიტული 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. 9 ივნისს ის ამ ტიტულს დაიცავს ამერიკელ **ტიმოტი ბრედლისთან** ბრძოლაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობის ცუდი მატჩი



კობი ბრაიანტი

**კობი ბრაიანტმა** სეზონში თავისი ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შეხვედრა ჩაატარა. „ლეიკერსის" ლიდერმა 20-დან 17 ტყორცნა ააცილა და ექვსიდან მხოლოდ ერთი სამქულიანი გამოიყენა. მან ჯამში 15 ქულა დააგროვა, შვიდი შეცდომა დაუშვა და რაც ყველაზე გასაკვირია, კინალამ მატჩის გმირი გახდა.

**მილსეპის** საჯარიმოს შემდეგ „იუტას" უპირატესობა საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე 6 ქულას შეადგენდა. საპასუხოდ, ბრაიანტმა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ორქულიანი ჩააგდო და თან მცველს ჯარიმა მიაღებინა. ამით კობიმ სამ ქულამდე დაიყვანა ჩამორჩენა. „ლეიკერსმა" დაცვაშიც იყოჩაღა - **ბარნსმა** იმავე მილსეპის ტყორცნა დაბლოკა. მასპინძლებს ცხრა წამი რჩებოდათ თამაშის ოვერტაიმში გადასაყვანად. მაგრამ კობიმ, ისევე როგორც მთელი მატჩის განმავლობაში, ამჯერადაც არადამაჯერებლად ითამაშა და წყალში ჩაყარა **ბინუმის** 33 ქულა და **სეშენსის** ექვსი შედეგიანი პასი. სხვათა შორის, „ლეიკერსის" ახალწვეულს არც ერთი შეცდომა არ დაუშვია, არადა, მთლიანად გუნდმა 24-ჯერ დაკარგა ბურთი.

■ ■ ■

„მაიამიმ" ზედიზედ მე-13 საშინაო მოგება დამაჯერებლად და ლამაზად მოიპოვა, თანაც მოუგო აღმოსავლეთში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს „ორლანდოს", რომელთანაც ხუთი დღის წინ დამარცხდა. სხვათა შორის, მარტში „ჰიტმა" არა მხოლოდ „ორლანდოსთან", არამედ „ჩიკაგოსთან" და „ლეიკერსთან" წააგო და ბოლო დროს ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ „დიდი ტრიო" მხოლოდ სუსტ მეტოქეებთან გამოიყურება შთამბეჭდავად.

გასულ საღამოს **სპოელსტრას** შეგირდებმა დაამტკიცეს, რომ ეს მოსაზრება მინიმუმ საკამათოა. თავიდან საქმეს მიხედა **კრის ბოშმა**, რომელმაც 18 ქულა დააგროვა სადებიუტო მეოთხედში, **დუეინ უეიდმა** კი ბოლო მეოთხედში 14 ქულა მიითვალა. ამ დუეტს ჯამში 54 ქულა დაუგროვდა, ასე რომ, **ლებრონ ჯეიმსი** ამჯერად თითქმის შეუმჩნეველი იყო - „მეფეს" „მხოლოდ" 14 ქულა, 12 მოხსნა, 7 შედეგიანი პასი და 5 ჩაჭრა ჰქონდა. თუმცა ლებრონი ამის გამო დიდად არ განაწყენებულა.

ძირითადი დროის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე კრის დუჰონმა „მეჯიქის" ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა - 68:69, მაგრამ ამას უეიდმა ზედიზედ 12 (!) ქულით უპასუხა, რამაც ფაქტობრივად მოუსპო სტუმრებს ბრძოლის სურვილი. „მაიამიმ" „ორლანდოს" წინააღმდეგობა საბოლოოდ მას შემდეგ გატეხა, რაც საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 45 წამით ადრე ბოშმა ერთ შეტევაში სამი ქულა აილო და ანგარიში გახდა 84:73 „მაიამის" სასარგებლოდ.

**კლივლენდი-ატლანტა 87:103**

19:31, 26:28, 23:17,19:27

კ: გი (20+9 მოხსნა), ირვინგი (19+10 პასი), ჯეიმისონი (17+7 მოხსნა).

ა: ჯ. ჯონსონი (28+5 პასი), ტიგი (18), პაინრიხი (14), ა. ჯონსონი (10), ფაჩულია (9+12 მოხსნა).

**საკრამენტო-მინესოტა 115:99**

28:31, 29:26, 33:25, 25:17

ს: ტორნტონი (24+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), ტომასი (18), სალმონსი (15), ტომპსონი (13+10 მოხსნა), ჰეიესი (12+8 მოხსნა), გრინი (11+7 მოხსნა).

მ: ლავი (21+11 მოხსნა), უილიამსი (16+9 მოხსნა), უებსტერი (14), რიდნური (13+5 მოხსნა), ბიზლი (13+7 მოხსნა), რენდოლფი (10+9 მოხსნა).

**მაიამი-ორლანდო 91:81**

31:22, 19:25, 17:16, 24:18

მ: უეიდი (31+6 მოხსნა), ბოში (23+7 მოხსნა), ჯეიმსი (14+12 მოხსნა+7 პასი+5 ჩაჭრა).

ო: ჰოვარდი (18+11 მოხსნა), კ. რიჩარდსონი (15), ნელსონი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯ. რიჩარდსონი (12).

**ლეიკერსი-იუტა 99:103**

20:23, 24:22, 25:30, 30:28

ლ: ბინუმი (33+11 მოხსნა), გასოლი (18+10 მოხსნა), ბრაიანტი (15+6 მოხსნა), ბარნსი (12+8 მოხსნა+6 პასი), სეშენსი (10+6 პასი).

ი: მილსეპი (24+9 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), კანტერი (17+8 მოხსნა), ბერქსი (17), ჰოვარდი (12+6 მოხსნა), ფეივორსი (12+10 მოხსნა), ჰარისი (12+9 პასი+3 ჩაჭრა).

**კლივლენდი-დეტროიტი 87:83 (ო)**

24:18, 14:23, 19:24, 17:9, 13:9

კ: ჰოლი (19+15 პასი+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), გრიფინი (17+11 მოხსნა), ფოიე (14).

დ: მონრო (23+15 მოხსნა), პრინსი (20+7 მოხსნა), ყერებკო (14+8 მოხსნა).

**მემფისი-ვაშინგტონი 97:92**

21:20, 24:28, 29:18, 23:26

მ: გეი (27+9 მოხსნა), კონლი (17+6 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (15+9 მოხსნა), რენდოლფი (13+9 მოხსნა), მაიო (10).

ვ: უოლი (25+6 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კროუფორდი (22), სერაფინი (12+12 მოხსნა).

**ფინიქსი-ჰიუსტონი 99:86**

26:13, 26:23, 28:28, 19:22

ფ: რედი (25), ფრაი (19+8 მოხსნა), გორტატი (15+10 მოხსნა), ჰილი (10+7 პასი+5 მოხსნა), ნეში (4+11 პასი).

ჰ: სკოლა (18+7 მოხსნა), დრაგიჩი (16+8 პასი+4 ჩაჭრა), პატერსონი (13), დალემბერი (12+6 მოხსნა), ბადინგერი (11+7 მოხსნა).

**ოკლაჰომა-პორტლენდი 111:95**

31:15, 26:27, 27:28, 27:25

ო: უესტბრუკი (28+5 პასი), დურანტი (26+7 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ჰარდენი (14+7 პასი), სეფოლოშა (11+5 მოხსნა).

პ: კროუფორდი (23), ფელტონი (19+7 პასი), მეტიუზი (16+4 ჩაჭრა), ოლდრიჯი (15+6 მოხსნა), პრჟიბილა (6+11 მოხსნა).

# ფიშერმა ჰიუსტონი დატოვა

## ლეიკერსის ყოფილ გამთამაშებელზე გრანდებმა ნადირობა გამოაცხადეს

„ჰიუსტონროკეტსის" ახალბედა **დერეკ ფიშერი** მოელაპარაკა კლუბს კონტრაქტის გამოსყიდვაზე, - წერს ამერიკული პრესა. ასე რომ, 37 წლის ვეტერანი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ „ლეიკერსმა" ცოტა ხნის წინ ტრეიდის მეშვეობით გაუშვა „ჰიუსტონში" ფიშერი და სანაცვლოდ ფორვარდი **ჯორდან ჰილი** მიიღო.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, ფიშერი ვერ შეძლებს მიმდინარე სეზონში „ლეიკერსში" დაბრუნებას.

კალათბურთელის მენეჯერმა **ჯეიმი უიორმა** ჟურნალისტებს მოუყვა იმ მიზეზების შესახებ, რომლის გამოც მისმა კლიენტმა თხოვა „ჰიუსტონის" ხელმძღვანელობას მისი კონტრაქტის გამოსყიდვა.

*„მადლობას ვუხდით „ჰიუსტონის" შეფობას, რომ გაგებით მოეკიდნენ ჩვენს თხოვნას. დერეკმა ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მეექვსე ტიტულის მოგება აქვს ჩაფიქრებული"*, - ამბობს უიორი.

მოგვიანებით გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ NBA-ის ხუთგზის ჩემპიონის ხელში ჩაგდება სურთ „ოკლაჰომას", „ჩიკაგოსა" და „მაიამის".

„თანდერს" სჭირდება სარეზერვო პლეიმეიკერი, რადგან **რასელ უესტბრუკის** შემცვლელი **ერიკ მეინორი** ტრავმირებულია და ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

ასევე წერენ, რომ „კლიპერსი" და „სან ანტონიო" არიან დაინტერესებული „ლეიკერსის" ყოფილი მოთამაშის გაფორმებით.




● ამბები

## ჩენდლერი დენვერს დარჩა

გუშინ ცნობილი გახდა, რომ „დენვერ ნაგეტსის" ხელმძღვანელობამ მრავალწლიანი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა **უილსონ ჩენდლერთან**.

ფორვარდი ამ სეზონის დარჩენილ ნაწილსა და კიდევ ოთხ წელს „დენვერის" რიგებში გაატარებს. ამ დროის განმავლობაში ჩენდლერი 37 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ლოკაუტის პერიოდში უილსონი ჩინეთის ჩემპიონატში თამაშობდა და ცოტა ხნის წინ დაბრუნდა ამერიკაში.

## მემფისი სან ხოსეში გადადის?

ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ბიზნესმენი **ლარი ელისონი** დაინტერესებულია „მემფის გრიზლისის" შეძენით.

ელისონის რეზიდენცია კალფიფორნიაში, ქალაქ სან ხოსესთან ახლოს მდებარეობს. ბიზნესმენის სურვილია შეიძინოს „გრიზლისი" და ის კალიფორნიაში, კერძოდ, კი სან ხოსეში გადაიყვანოს.

მაგრამ „მემფისის" ამჟამინდელმა მფლობელმა **მაიკლ ჰეისლიმ** აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ აპირებს კლუბის გაყიდვას. „გრიზლისს" 2012 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი მემფისის მთავრობასთან არენა „ფედექსფორუმის" გამოყენებაზე.

*„ვერ ვიტყვი, რომ ასეთი რამ არასოდეს მოხდება. მაგრამ თუ ეს უახლოეს დროში მოხდა, გაკვირვებული დავრჩები"*, - განაცხადა ჰეისლიმ.

## ლიტვა ტეხასში მოემზადება

ლიტვის კალათბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება ამერიკის ქალაქ ჰიუსტონში გაიაროს. შეგახსენებთ, რომ ლიტველები განიხილავდნენ შეკრების ბრაზილიაში ჩატარებას, მაგრამ, საბოლოოდ, ტეხასზე შეაჩერეს არჩევანი. 27 ივნისს ლიტვის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ.

როგორც იცით, ლონდონის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი ვენესუელაში გაიმართება და იქ სამი დარჩენილი საგზური გათამაშდება. ლიტვა ჯგუფში მოხვდა ტურნირის მასპინძელთან და ნიგერიის ნაკრებთან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ანგელჰოლმი-ჰელსინგბორგი | 4:4 |
| **იტალია** | |
| რომა-ჯენოა | 1:0 |
| **სერია B** | |
| პესკარა-ბრეშია | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ლანჩანო-კრემონეზე | 2:1 |
| **ესპანეთი** | |
| ესპანიოლი-რასინგი | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კოტბუსი-ფორტუნა | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლე მანი-რეიმსი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტოპ ოსი-ცვოლე | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| ჟილ ვისენტე-სპორტინგი | 2:0 |
| **დანია** | |
| კიოგე-ოლბორგი | 1:1 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| არაუ-ლოკარნო | 4:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვიცასი-ლარისა | 1:0 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-მანისა | 4:1 |
| [illegible] | |
| [illegible] | 0:0 |
| **რუსეთი** | |
| სპარტაკი-ცსკა | 1:2 |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-კარპატი | 3:1 |
| **პოლონეთი** | |
| ლეჩია-კორონა | 0:0 |
| **რუმინეთი** | |
| ჩახლაული-ვასლუი | 1:3 |
| **ბულგარეთი** | |
| ცსკა-მონტანა | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| ბეითარი-ბნეი იეჰუდა | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| ნიმბურკი-სპარტაკი | 64:68 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-სკა | 1:5 |
| დინამო (მ)-ტორპედო | 3:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სპარტა | 4:1 |
| ზლინი-პლზენი | 4:2 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-ფრიოლუნდა | 1:2 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 3:5 |

● TV პროგრამა

**20 მარტი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**11:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. დორტმუნდი-ვერდერი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. უდინეზე-ნაპოლი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. სენტ ეტიენი-ლიონი.
**18:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ვულვზი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**23:30** გერმანიის თასი. 1/2 ფინალი. ფიურტი-დორტმუნდი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპონატი. დენ ჰააგი-აიაქსი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. ინგლისი-ირლანდია.
**18:45** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**21:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ბარსელონა-უნიქსი. I მატჩი.
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-გრანადა (LIVE).
**01:50** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III წრე. ინდიანა უელსი. აშშ.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. იტალია-შოტლანდია.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III წრე. ინდიანა უელსი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ორლანდო.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. III წრე, 1/8 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ფილადელფია-პიტსბურგი 3:2 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ადამსი-5 (ლეტანგი-24, დუპუი-25), 0:2 მალკინი-41 (ლეტანგი-25, ადამსი-10), 1:2 ტიმონენი-3 (კ. ჟირუ-57, ვორაჩეკი-25), 2:2 ჰარტნელი-34 (კ. ჟირუ-58, სიმონდსი-20), 3:2 ჰარტნელი-35 (ბრიერი-26, ტიმონენი-36).

**ანაჰაიმი-ნეშვილი 1:3**

1:0, 0:0, 0:3

**გოლები:** 1:0 სმიტ-პელი5 (გეტცლაფი-41, ბრუკბანკი-10), 1:1 ჰორნკვისტი-23 (ლეგუანდი-30, გ. ბურკი-8), 1:2 ფიშერი-23 (რ. სატერი-36, ერატი-38), 1:3 ლეგუანდი-16 (ს. კოსტიცინი-26, კლეინი-13).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 5:2**

2:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 შოუ-8 (კეიტი-32, ბიკელი-12), 2:0 სტალბერგი-18 (შარპი-34, ლედი-29), 2:1 ნუბლი-5 (კ. ოკუანი-6), 3:1 პ. კეინი-19 (ბრუნეტი-14, მარიან ჰოსა-43), 4:1 შოუ-9 (სიბრუკი-23, ბიკელი-13), 4:2 ოვეჩკინი-30 (ნოივირტი-1, ორლოვი-15), 5:2 ბიკელი-8 (შოუ-6).

**კალგარი-კოლამბუსი 1:2 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ნიკიტიკი-5 (ლებდა-3, ბოისი-2), 1:1 სტაიანი-7 (გლენკროსი-20, კომო-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ატკინსონი (კოლამბუსი).

**ედმონტონი-ფინიქსი 2:3 (ბ)**

0:0, 2:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ებერლე-32 (რ. ჯონსი-13), 2:0 ჰემსკი-6 (პეტრი-18, შმიდი-9), 2:1 რეი უიტნი-22, 2:2 ტორესი-14 (ბრული-6).

**ბულიტები გაიტანეს:** ბოდკერი (ფინიქსი), სემ განიე (ედმონტონი), რეი უიტნი (ფინიქსი).

**ვინიპეგი-კაროლინა 3:4**

1:1, 2:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ი. იოკინენი-11, 1:1 ანტროპოვი-13 (სტეპლტონი-14, მ. სტიუარტი-9), 1:2 ე. სტაალი-20 (ბრენტი-12, ტლუსტი-18), 2:2 მიეტინენი-1 (ე. კეინი-23, ენსტრიომი-22), 3:2 მიეტინენი-2 (მაჩარეკი-1), 3:3 ე. სტაალი-21 (ი. იოკინენი-29), 3:4 ლაროუზი-17 (ე. სტაალი-43, ი. იოკინენი-30).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. ავსტრალიის გრანპრის შედეგი



# ფერარიში კრიზისია?

ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** პოზიტიურად შეაფასა ავსტრალიის გრანპრის შედეგები, მაგრამ იტალიურ გაზეთებს მიაჩნიათ, რომ „ფერარი“ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება.

*„წარუმატებელი კვალიფიკაციის შემდეგ ჩვენ ათი ქულის მოპოვება შევძელით და მხოლოდ ტოპ-გუნდებთან დავმარცხდით. ეს კარგი ამბავია“*, - მოჰყავს ალონსოს სიტყვები „გაძეტა დელო სპორტს“.

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **იარნო ტრულიმ** იტალიურ ტელეარხ RaiUno-სთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას: *„ფერარის“ გულშემატკივრებს ვურჩევ, კიდევ რამდენიმე რბოლა მოიცადონ. ალონსომ შეძლო ღირსეული შედეგის ჩვენება, მაგრამ „სკუდერიამ“ სასწრაფოდ უნდა მიიღოს გარკვეული ზომები“.*

ყველანაირი გართულების მიუხედავად, ალონსომ შეძლო მე-5 ადგილის დაკავება და ათი ქულის მოხვეჭა, მაგრამ გუნდის მეორე პილოტისთვის **ფელიპე მასასთვის** ავსტრალიური უქმეები ძალიან წარუმატებელი გამოდგა. ის აშკარად ჩამორჩებოდა მეწყვილეს სისწრაფეში, დაიჩივლა საბურავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო და საბოლოოდ, ფინიშამდე ვერ მიაღწია: F2012 **ბრუნო სენას** „უილიამსთან“ შეჯახების გამო დაზიანდა.

*„ჩვენ უნდა დავეხმაროთ ფელიპეს, რადგან ცხადია, რომ ის პრესინგს განიცდის,* - ამბობს გუნდის შეფი **სტეფანო დომენიკალი.** - *ვთხოვე ინჟინრებს, გააანალიზონ ტელემეტრია მასას მანქანიდან, თუნდაც იმიტომ, რომ დაამშვიდონ ბრაზილიელი პილოტი“.*

როგორც ბრიტანელი ექსპერტი და კომენტატორი **ჯეიმს ალენი** ამბობს, F2012-ის მართვა რთულია და ჯერჯერობით მანქანა შედარებით კარგ შედეგებს აღწევს იმ შემთხვევაში, თუ პილოტი და ინჟინრები მაქსიმალურად ზუსტად შეარჩევენ მახასიათებლებს. ბოლიდის სამუშაო დიაპაზონი ძალიან ვიწროა და ეს მხოლოდ საბურავის ტემპერატურას არ ეხება, არამედ ბევრ სხვადასხვა ასპექტს. ალონსო ამას უკეთ უმკლავდება, ვიდრე მასა, თუმცა ამ უკანასკნელს რბოლის მსვლელობისას მართლაც ჰქონდა სერიოზული გართულებები. საკმარისია გავიხსენოთ კვალიფიკაციის დროს ტრასიდან გადავარდნა.

ალენის აზრით, ბრაზილიელისთვის აუცილებელია სწრაფად და ადეკვატურად მოახდინოს რეაგირება სიტუაციაზე და გაუმკლავდეს საკუთარ პრობლემებს. თუ გასულ წელს მას პატიობდნენ ალონსოსთან დაახლოებით ნახევარწამიან ჩამორჩენას, ამ სეზონში კონკურენციის დონე აშკარად უფრო მაღალია და მასას ჩამორჩენა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება, რაც ვნახეთ კიდეც ავსტრალიაში.

ასე რომ, პრესინგი, რომელზეც დომენიკალი ლაპარაკობს, მართლაც სერიოზულია. ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე „ფერარის“ პრეზიდენტი **ლუკა დე მონტეძემოლო** ამბობდა: *„მომდევნო ჩემპიონატი ფელიპესთვის განმსაზღვრელი იქნება. ჩვენ უკმაყოფილო ვართ იმით, როგორ ჩაატარა მან გასული სეზონი...“*

თუ მასა ვერ შეძლებს ავსტრალიაში განცდილი კრახის გამო უახლოეს რბოლებში რეაბილიტაციას, „ფერარიში“ აუცილებლად დაფიქრდებიან მის სასწრაფოდ შეცვლაზე, თუმცა ბრაზილიელის ადგილზე აშკარა კანდიდატები ჯერჯერობით არ არიან.

„ფერარიში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ **სერხიო პერესს**, მაგრამ, ჯერ ერთი მექსიკელს კონტრაქტი აქვს „ზაუბერთან“, გარდა ამისა, მას ჯამში 20 რბოლა აქვს ჩატარებული, „ფერარიში“ კი გამოუცდელი პილოტი არ აჰყავთ. ნებისმიერ შემთხვევაში, „ფერარიში“ საკადრო პრობლემა აშკარად შეინიშნება და ამ მხრივ, მართლები არიან ისინი, რომლებიც ლაპარაკობენ იტალიურ გუნდში არსებულ კრიზისზე.

# რაიკონენი: პოდიუმისთვის ბრძოლა შესაძლებელია

ფინელმა კიმი რაიკონენმა ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ, პირველივე რბოლაში მოიპოვა ქულები. წარუმატებელი კვალიფიკაციის მიუხედავად (მე-17 პოზიცია სასტარტო ბილიკზე), მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონმა რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა...

**- თქვენ პირველი ეტაპის ერთ-ერთი გმირი აღმოჩნდით...**

- დღეს მართლაც კარგად ჩაიარა ყველაფერმა. მეტის მიღწევაც შეიძლებოდა, მაგრამ წინა დღეს გარკვეული შეცდომები დავუშვი, დღეს კი უსაფრთხოების მანქანა არასასურველ დროს გამოვიდა ტრასაზე.

სტარტი კარგად ავიღე, მაგრამ ჩემ წინ მოსახვევში ინციდენტი მოხდა, რის გამოც ბევრმა დაკარგა პოზიცია - თითქმის გავაჩერე მანქანა და ბალახზე გადავედი, რათა ავარია ამეცილებინა თავიდან. ამან კიდევ უფრო გაართულა რბოლა - მანქანა სწრაფი იყო, მაგრამ მჭიდრო ტრაფიკში გასწრება შეუძლებელია.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით გასაგები ხდება - უკეთესი შედეგის მიღწევა შესაძლებელია, მაგრამ უქმეებს იდეალურად არ ჩაუვლია. მთავარია, მანქანა იყო სწრაფი და მე მეშვიდე ადგილი დავიკავე - საკმაოდ კარგი შედეგია. ქულები მოვიპოვე და შაბათთან შედარებით, სერიოზულ პროგრესს მივაღწიე.

**- რა იგრძენით ორწლიანი შესვენების შემდეგ ფორმულა 1-ში დაბრუნებისას? იოლი იყო ახალ მანქანასთან, „პირელის“ საბურავებთან და KERS-ის სისტემასთან შეგუება?**

- სიმართლე გითხრათ, დიდი განსხვავება არ მიგრძვნია იმასთან შედარებით, რაც ჩემი წასვლის დროს დავტოვე. წესები ოდნავ შეიცვალა, მაგრამ რბოლები იგივე დარჩა.

DRS-ის (მოძრავი უკანა ანტიფრთა) სისტემის რბოლაში გამოყენება იოლია, ვიდრე თავისუფალი პრაქტიკებისა და კვალიფიკაციის დროს, რადგან მისი გააქტიურება მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთებზეა შესაძლებელი, სხვა სესიებში კი პილოტები მას ყველგან იყენებენ, ამან კი შეიძლება შეცდომა გამოიწვიოს იმ დროს, როცა ზედმეტად აგრესიულად უტევთ.

ვერ ვიტყვი, რომ ფორმულა 1-ის მანქანამ დიდი ცვლილება განიცადა. დიახ, 2009 წელთან შედარებით ის უფრო სხვანაირი გახდა, მაგრამ გუნდები ყოველ წელს ახალი მანქანებით იწყებენ. საბურავებთან დაკავშირებით პრობლემა ჯერ არ მქონია. შეიძლება ითქვას, ყველაფერმა უპრობლემოდ ჩაიარა.

**- რბოლაში თქვენი შედეგისა და კვალიფიკაციაზე გროსჟანის მესამე ადგილის გათვალისწინებით, როგორ აფასებთ E20-ის პოტენციალს?**

- როგორც ზამთრის ტესტებისას ვთქვი და მელბურნშიც გავიმეორე, მანქანა შესანიშნავად გამოიყურება. რბოლის დროს ბევრი დავკარგე ტრაფიკში და ვერ შევძელი ბოლიდის პოტენციალის რეალიზება. ვინ იცის, რა შედეგი მექნებოდა უკეთეს სასტარტო პოზიციაზე რომ ვყოფილიყავი, მაგრამ უნდა გავიმეორო, რომ მანქანა ძალიან სწრაფია. არ უნდა დავუშვა ის პრობლემები, რომელმაც საკვალიფიკაციო რბოლაში შემიშალა ხელი.

**- პირველი ეტაპი უკან დარჩა, წინ არის მზადება მალაიზიის გრანპრისთვის...**

- მოხარული ვარ, რომ ეს უქმეები უკან დარჩა, მალაიზიაში კი უფრო მეტის მიღწევას ვეცდებით. ჯერჯერობით არ ვიცით, როგორ მოიქცევა მანქანა სეპანგში, მაგრამ დღემდე ის სხვადასხვა ტრასაზე იყო ეფექტური და იმედია, ასე იქნება მალაიზიაშიც. წინ ცხელი და ნესტიანი ამინდი გველის. ეს ერთგვარი გამოწვევაა, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ კვალიფიკაციას შეცდომების გარეშე გავივლი და პოდიუმისთვის ბრძოლის შანსი მექნება.


კიმი რაიკონენი


ბატონი ჯერ მაღლა დგას

# რედ ბული თავს იმშვიდებს

„რედ ბულის“ ხელმძღვანელის **კრისტიან ჰორნერის** აზრით, ავსტრალიაში „მაკლარენის“ პილოტების დამაჯერებელი გამოსვლა (**ჯენსონ ბატონი** პირველ ადგილზე გავიდა, **ლუის ჰემილტონი** - მესამეზე) სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომდევნო ეტაპებზე საერთო სურათი ზუსტად ასეთივე იქნება.

*„შარშან ჩვენ ვნახეთ, რომ ყოველ პილოტს ჰქონდა აღმასვლისა და დაცემის პერიოდები,* - აღნიშნა ბრიტანელმა „ავტოსპორტთან“ კომენტარში. - *თითოეულ ტრასას საკუთარი მახასიათებლები გააჩნია, ამიტომაც ის უფრო მეტად ერგება ერთ რომელიმე ბოლიდს და ნაკლებად მეორეს. შესაბამისად, ეტაპიდან ეტაპამდე ძალთა თანაფარდობა შეიცვლება. შეიძლება გავიხსენოთ, რომ გასულ წელს „მაკლარენი“ კარგად გამოიყურებოდა მელბურნში, სადაც ლუისი ბოლო მომენტამდე ავიწროებდა სებასტიან ფეტელს.*

*ასე რომ, ჩემი აზრით, წელსაც ბევრი რამ ტრასაზე იქნება დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალის მიხედვით გუნდები ძალიან მიუახლოვდნენ ერთმანეთს. ასევე, როგორც ყოველთვის, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული კონსტრუქტორთა დუელზე, რომლებიც სეზონის მსვლელობისას სრულყოფენ ტექნიკას. ის, ვინც თავის მანქანას მეტ სისწრაფეს შესძენს, სოლიდურ უპირატესობას მოიპოვებს“.*

კრისტიან ჰორნერის აზრით, ავსტრალიაში „რედ ბულის“ პილოტებმა ვერ გამოიყენეს მანქანის მაქსიმუმი, ამიტომაც გუნდმა უნდა მოუმატოს მუშაობას, რათა შეძლოს „მაკლარენის“ გასწრება: *„ტესტების შემდეგ ვხვდებოდით, რომ ისინი ძალიან სწრაფები იქნებოდნენ და ჩვენი მოსაზრების სისწორეში ამ უქმეების მსვლელობისას დავრწმუნდით. მაგრამ კვირას, ჩვენი მანქანის სიჩქარე სულ მცირედით ჩამორჩებოდა, ამასთან, განვლილი სამი დღის განმავლობაში არც ერთი პილოტი ბოლომდე კმაყოფილი არ ყოფილა მანქანით.*

*ჩვენ ზუსტად ვიცით, რა მიმართულებით გვჭირდება მუშაობა, თითქმის მზად გვაქვს რამდენიმე ტექნიკური სიახლე, ასე რომ, გასულმა უქმეებმა არაერთი პოზიტიური ემოცია მოგვიტანა. მეორე და მეოთხე ადგილიც - კარგი შედეგია“.*

უახლოეს უქმეებზე გაიმართება ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი, რომელსაც სეპანგის ავტოდრომი უმასპინძლებს. „რედ ბულის“ ხელმძღვანელის აზრით, იქაური სწრაფი მოსახვევები სწორედ „რედ ბულს“ მოუტანს უპირატესობას: *„მე ამის იმედი მაქვს. ვფიქრობ, მალაიზიაში განსხვავებულ სურათს ვიხილავთ. მელბურნში მოკლე მოსახვევები, უსწორმასწორო ასფალტი და არც ისე ბევრი სწრაფი ვირაჟია. სეპანგში კი ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, ამიტომაც საინტერესო იქნება ძალთა თანაფარდობაზე დაკვირვება.*

*ველით, რომ „მაკლარენი“ შემდეგ ეტაპზეც სწრაფი იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ უფრო უკეთ გამოვალთ, ვიდრე ეს ავსტრალიის კვალიფიკაციაზე გავაკეთეთ“.*

შეგახსენებთ, რომ მელბურნის კვალიფიკაციაში **უებერმა** და **ფეტელმა** მხოლოდ მეხუთე და მეექვსე დრო აჩვენეს. პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში, სასტარტო ბილიკის პირველ ორ ხაზზე ვერ ვიხილეთ „რედ ბულის“ მანქანა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**;
ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია